პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კანტს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 10 ნოემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 259 (2605)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- პოლონეთში გაფიცულია რამდენიმე ათი ათასი მეტალისტი
- ტარდიეს მთავრობის დეკლარაცია
- კომუნისტური რაზმების გამარჯვება ჩინეთში
- ნანკინის ჯარების დამარცხება
- დამცველებმა გაასაჩივრეს განაჩენი საბჭოთა მოქალაქის საქმეზე
- ავსტრო - მარქსისტების შეთანხმება ბურჟუაზიასთან

დიადი დღის შედეგები

ოქტომბრის რევოლიუციის თორმეტი წლის თავი, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი პროლეტარული ზეიმისა და კლასობრივი ბრძოლის შეუჩერებელი ზრდის საერთაშორისო დემონსტრაციად გადაიქცა. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა ცენტრებიდან მიღებული დეპეშების თანახმად, რომელთაც მკითხველი დღეს ჩვენს გაზეთში გაეცნობა, ერთხელ კიდევ აშკარად სჩანს, რომ მიუხედავად ბურჟუაზიული პოლიციების მიერ მიღებულ ყოველგვარ გამაფრთხილებელ ზომებისა, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ისედაც აღვირაწყვეტილი ფაშისტური ტერორი კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნა ოქტომბრის დღეებში, მუშათა მასები ორგანიზაციულად და მასიურად გამოვიდნენ კომპარტიის დროშის ქვეშ თავიანთ საერთაშორისო კლასობრივ სოლიდარობის სადემონსტრაციოთ.

1 აგვისტოს ანტი-იმპერიალისტურ მძლავრ დემონსტრაციების შემდეგ, რომელთაც ცხადჰყვეს, თუ რამდენად გაიზარდა და განმტკიცდა კომუნისტური ინტერნაციონალის რაზმები კაპიტალისტურ ქვეყნებში, სრულიად გასაგები ხდება, რომ ოქტომბრის ზეიმობამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ასე ფართო და მასიური ხასიათი მიიღო. რევოლიუციონური ტალღა შეუჩერებლად იზრდება, ის დღითი-დღე იკრებს პროლეტარიატის ძალებს, ბოლშევიკური სიმართლე შეუპოვრად იკვლევს გზას მთელი ქვეყნის ჩაგრულ კაცობრიობის ახალ და ახალ ფენებში. ნიადაგი ეცლება საერთაშორისო სოც.-მოღალატეების დამღუპველ გავლენას, მუშათა კლასის დღემდე გაურკვეველი ნაწილი თანდათან აღწევს თავს იმ ბურუსს, რომელსაც ჰქმნიან უსირცხვილო ცილისწამებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ყველა ჯურის მენშევიკები. ამას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, რევოლიუციის ძლევამოსილი განვითარება თვით საბჭოთა კავშირში, ჩვენი უდიდესი მიღწევები სოციალისტური აღმშენებლობის ყველა ფრონტზე და, მეორე მხრივ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის გამწვავება მთელ მსოფლიოში და კლასობრივი ბრძოლის გამძაფრება, რომელშიაც ბურჟუაზიის მესამე პარტია — მენშევიზმი ფაშისტური მეთოდებით გამოდის მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ.

ამიტომ სრულიადაც შემთხვევითი არაა, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლის ხუთწლიანი გეგმა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის განსაკუთრებულ ყურადღების საგანს წარმოადგენდა ოქტომბრის ზეიმზე. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ მასებს ღრმად სწამთ სოციალიზმის მშენებლობის სიდიადე საბჭოთა კავშირში, ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული ჭორები იმსხვრევა ხუთწლიანი გეგმის ურყევ გატარების და თავის მიღწევებით განმაცვიფრებელ ფაქტების წინაშე. კაპიტალისტური მსოფლიოს მუშათა კლასს, რომელიც გმინავს დაუნდობელ ეკონომიურ ექსპლოატაციისა და თეთრი ტერორის ქვეშ, მტკიცედ სწამს, რომ მისი ხსნა მხოლოდ საერთაშორისო ოქტომბერშია. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის თეორია და პრაქტიკა, შექმნილი სახელოვან ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით რევოლიუციონურ ბრძოლის ქარცეცხლში, ერთად ერთი გზაა, რომელიც დაამხობს სულისშემხუთავ ბურჟუაზიულ დიქტატურას და ასპარეზს გაუხსნის მსოფლიო პროლეტარიატს ახალი ქვეყნის მშენებლობისაკენ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი უძლიერესი რაზმის— გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს „როტე ფანე“-ს წერილი მიძღვნილი ოქტომბრის რევოლიუციისადმი.

„ჩვენ აშკარად და გარკვეულად ვაღიარებთ, სწერს გაზეთი, პროლეტარული დიქტატურის ლოზუნგს. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიო რევოლიუციის მეორე ლაშქრობას მეორე ოქტომბრის ბრძოლისაკენ გერმანიაში ოქტომბრის რევოლიუციის განსახორციელებლად...

თავისი არსებობის პირველ დღესვე გერმანიის საბჭოთა მთავრობა ნაკუწნაკუწად აქცევს იუნგის გეგმას, გაბათილებულად გამოაცხადებს უცხოეთის ვალებს, განახორციელებს ფაბრიკების, ბანკებისა და რკინისგზების ნაციონალიზაციას, საჯაროდ გაჰკიცხავს და დახვრეტს უკანასკნელი მსოფლიო ომის და მომავალი ომის გენერლებს, საკონცენტრაციო ლაგერში გაგზავნის და კედელთან დააყენებს მრეწველობის მაგნატებს და ბანკირებს, ნოსკესა და ურიხებს თავს დაატეხს ისეთ მეხს, როგორიც ჩეკამ განუმზადა რუს კონტრ-რევოლიუციონერებს“.

შემდეგ „როტე ფანე“ ჩამოსთვლის, თუ რა უდიდეს გამარჯვებას მოასწავებს ოქტომბერი გერმანიის მუშათა კლასის შრომის პირობების გარდაქმნის დარგში და დასძენს: „გერმანიის საბჭოთა მთავრობა შეაიარაღებს 10-დან 15 მილიონამდე კლასობრივად შეგნებულ გერმანელ მუშას და შეჰქმნის წითელ არმიას და გერმანიის პროლეტარულ ჩეკას“.

ასეთი რევოლიუციონური დაუნდობლობით პირში ახლის გერმანიის კომპარტია თავის ქვეყნის ბურჟუაზიას და მის დამქაშ სოციალ-ფაშისტებს, თუ რას უმზადებს მათ ოქტომბერი გერმანიაში. „როტე ფანე“-ს ენით ლაპარაკობს არა მარტო ბუნებრივი კლასობრივი შურისძიება თავის ისტორიულ მტერზე, არამედ პროლეტარიატის ურყევი რწმენა, რომ მომავალი უთუოდ მისია, რომ დამყაყებული კაპიტალისტური რეჟიმის დამსხვრევა შეუძლებელია პროლეტარული დიქტატურის გარეშე.

ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავმა საქვეყნოდ ცხადჰყო, რომ შეუჩერებლად იზრდება და ფართოვდება კომუნისტური პარტიის გავლენა მთელ მსოფლიოში. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავი კომუნისტურ ინტერნაციონალის ძლიერების მრისხანე დემონსტრაციად გადაიქცა კაპიტალისტურ ქვეყნებში. არ არის ძალა, რომელიც შეაჩერებს მსოფლიო ოქტომბრის მოახლოების დროს, რადგან ასეთია ისტორიული აუცილებლობა.

ახალი ფურცელი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობაში

8 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ინგლის-საბჭოთა ოქმს, რომელიც ითვალისწინებს დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას ორი ქვეყნის შორის და სადავო საკითხების მოწესრიგების პროცედურას. ინგლისის კონსერვატორები ცდილობდნენ გაეჩაღებიათ კამპანია ამ ოქმის წინააღმდეგ და ჰენდერსონს სდებდნენ ბრალს, რომ მან კაპიტულიაცია გამოაცხადა მოსკოვის წინაშე. ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ უნდა დაემტკიცებია პარლამენტს, და შუბლმაგრებმა დაიქადნეს, რომ რუსეთის საკითხის ირგვლივ კამათის დროს მოახდენენ მთელი თავიანთი ძალების და მჭერმეტყველობის მობილიზაციას. წინააღმდეგ მთავრობის რეზოლიუციისა, რომელიც იწონებს დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას, კონსერვატორებმა შეიტანეს „შესწორება“, რომლის თანახმადაც „თემთა პალატა მწუხარებით აღნიშნავს, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობამ არ შესრულა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის პირობები... და გმობს ამ ურთიერთობის აღდგენას, სანამ ეს წინასწარი პირობები არ იქნება შესრულებული“.

არ იყო საჭირო პოლიტიკური წინასწარმეტყველების განსაკუთრებული უნარი იმისათვის, რომ წინასწარ გვცოდნოდა პარლამენტში ამ საკითხის გამო კენჭის ყრის შედეგები. ინგლისში აღარავისათვის სადავო აღარ არის, რომ არკოსზე თავდასხმა და ურთიერთობის შეწყვეტის პოლიტიკა კონსერვატორების უდიდესი პოლიტიკური შეცდომა იყო და რომ ეს პოლიტიკა სამარცხვინოდ დამარცხდა. ხანგრძლივი კრიზისებით გამოფიტულ ინგლისის იმპერიალიზმს არ შეუძლია უარი სთქვას საბჭოთა კავშირთან საქმიან ურთიერთობაზე და იმ შესაძლებლობებზე, რომლებსაც მისთვის ჰქმნის საბჭოთა ბაზარი. მაგრამ კონსერვატორების თეზისი, რომელიც, სხვათა შორის, გამოხატული იყო ჩემბერლენის 1927 წლის 27 მაისის ცნობილ ნოტაში ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ და რომლის თანახმადაც ვაჭრობა შეიძლება განვითარდეს დიპლომატიური ურთიერთობის დამოუკიდებლად და ამ ურთიერთობის არსებობის გარეშე, ისევე უარჰყო ცხოვრებამ, როგორც მთელი მათი ანტისაბჭოთა პოლიტიკა. ინგლისის მრეწველობის და ინგლისის ვაჭრობის ზარალი, გამოწვეული ამ პოლიტიკით, ყველასათვის ცნობილია. ინგლისის მრეწველთა დელეგაცია, რომელიც ამა წლის აპრილში იყო საბჭოთა კავშირში, იძულებული გახდა ოფიციალურად „დაედასტურებია ის დასკვნა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის შეუძლებელია ეკონომიური ურთიერთობის განვითარება ნორმალური ურთიერთობის არსებობის გარეშე“.

ასევე უსაფუძვლო აღმოჩნდა შუბლმაგართა თეზისი იმის შესახებ, რომ შეიძლება დაუსჯელად აწარმოო ანტისაბჭოთა ინტრიგები დედამიწის ყველა ნაწილში და ეს ინტრიგები დაფარო სოციალისტური ქვეყნის „გვერდის ახვევით“, იმ ქვეყნის, რომელსაც დედამიწის ერთი მეექვსედი უჭირავს. ინგლისმა ვერ მოახერხა შეექმნა ისეთი ანტისაბჭოთა ბლოკი, რომელიც საკმაოდ ძლიერი იქნებოდა იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი დაეხრჩო ახალი ბლოკადის მუხრუჭებში. სამაგიეროდ ინგლისის იმპერიალიზმის აქტიურმა ანტისაბჭოთა პოლიტიკამ პირველხარისხოვანი როლი ითამაშა იმ მხრივ, რომ ინგლისის საგარეო დიპლომატიური ურთიერთობაში შეიქმნა მეტად დაძაბული მდგომარეობა, რომელმაც რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლისის ბურჟუაზია და წვრილი ბურჟუაზია სერიოზულად შეაშფოთა, რამაც ბოლოს და ბოლოს გამოიწვია კონსერვატორების მთავრობის დამხობა.

უკვე გაზაფხულის არჩევნების წინ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა, როგორც ეს იწინასწარმეტყველეს ზოგიერთმა გაზეთებმა, ინგლისის ყოველგვარი მთავრობა იძულებული იყო აღედგინა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ლეიბორისტების მთავრობამ თავის ამომრჩევლებს პირდაპირი დაპირებანი მისცა ამ მხრივ. მას შეეძლო ეს საარჩევნო დაპირება განეხორციელებია ხელისუფლების სათავეში ყოფნის პირველსავე დღეებში. მან თვითონ გააჭიანურა და გაართულა საკითხის გადაწყვეტა გაუფრთხილებელი და ორჭოფული განცხადებებით პარლამენტის პირველ სესიაზე, კონსერვატორების წინაშე მორცხვობით ნაკარნახევი მანევრებით საბჭოთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს. როგორც სავსებით სწორად აღნიშნა კონსერვატორმა დეპუტატმა ბუტბიმ, 5 თვე ტყუილად დაიკარგა. მაგრამ, როცა, ბოლოს ლეიბორისტულმა კაბინეტმა გაბედა ეთქვა ის გადამწყვეტი სიტყვა, რომლის თქმაც მას უნდოდა იმ თავითვე და რომლისაც დაჟინებით მოითხოვდნენ არა მარტო ინგლისის მუშათა მასები, არამედ ინგლისის კაპიტალის სწორად გაგებული ინტერესები, მაშინვე გამოირკვა, რომ არავითარი დაბრკოლება არ ელობება მათ მიერ არჩეულ გზას. საბჭოთა მთავრობამ არ მოისურვა მთავარი საკითხი, ორი დიდი ქვეყნის შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხი, გაერთულებია წინასწარი მოთხოვნილების წაყენებით, თუმცა ამ მოთხოვნებს სავსებით ამართლებდნენ ის აღმაშფოთებელი ამბები, რომლებიც თან სდევდა ურთიერთობის გაწყვეტას 1927 წელს.

ინგლისში შუბლმაგართა ოპოზიცია სრულიად ფორმალური ხასიათისა იყო და მას არავითარი გამარჯვების იმედი არა ჰქონდა, თუმცა შუბლმაგარნი იძულებულნი იყვნენ დაეცვათ თავიანთი შემცდარი პოლიტიკა. გადამწყვეტ დღეს მთავრობას მხარი დაუჭირა ლეიბორისტულმა და ლიბერალურმა უმრავლესობამ, ხოლო ამ უმრავლესობას მიემხრო ნაწილი კონსერვატორებისა, რომლებმაც, ამგვარად, აშკარად დაჰგმეს თავიანთი წარსული შეცდომები. 5 ნოემბრის კენჭის ყრა მთავრობის მარტო თვალსაჩინო გამარჯვებას არ წარმოადგენს; იგი საპარლამენტო ცხოვრების თითქმის ერთად-ერთი მოვლენაა, რომელიც მაკდონალდის მთავრობა იმის საბუთად შეუძლია გამოიყენოს, რომ იგი თავის საარჩევნო დაპირებას ასრულებს, თუმცა დაგვიანებით.

ეს კენჭის ყრა ამთავრებს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ისტორიის შავბნელ ფურცელს, რომელსაც ზედ ამჩნევია კვალი ინგლისის იმპერიალიზმის გაფთრებულ ანტისაბჭოთა გამოსვლებისა და ინტრიგებისა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეს ფურცელი დაიწყო საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ურთიერთობის შეწყვეტის აქტამდე, რომელსაც ინგლისის მთავრობა დიდხანს ამზადებდა ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტებით, ურთიერთობის მოწესრიგების ყოველგვარი ცდის დაჟინებული საბოტაჟით, ყალბი ანტისაბჭოთა დოკუმენტების საშუალებით. ისტორიის ამ ფურცლის ბოლო სტრიქონებში შეჯამებულია იმ ზარალის სამწუხარო ანგარიში, რომელიც ორივე ქვეყანას დააწვა და რომლის თვალსაჩინო ნაწილი ინგლისის დაავადებულ მეურნეობას ხვდა.

საბჭოთა საზოგადოებრიობა გულწრფელად ესალმება ამ კენჭის ყრის შედეგებს და იმ ახალ პერსპექტივებს, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ორივე ქვეყნის ურთიერთობაში იქმნება. ჩვენ ყოველთვის ვიცავდით იმ თვალსაზრისს, რომ საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების, კერძოდ, საბჭოთა კავშირისა და ინგლისის საქმიანი თანამშრომლობა და საქმიანი კონტაქტი საჭიროა და მიზანშეწონილი ორივე მხრის ინტერესებისათვის, მათი საზოგადოებრივ წყობილებათა დიდი განსხვავების მიუხედავად. ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა მშვიდობიანობის უშუალო საფრთხეს წარმოადგენდა და ამ მშვიდობიანობის დასაცავად საჭირო იყო მისი საჩქარო ლიკვიდაცია. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ წარსული წლების გამოცდილებას აშაოდ არ ჩაუვლია, როგორც ეს კენჭის ყრის შედეგმა დაგვანახვა; ახლა ამ საკითხში ჩვენს თვალსაზრისს მარტო ინგლისის მუშათა მასები კი არ იზიარებენ, არამედ ამ ქვეყნის გაბატონებული კლასების თვალსაჩინო ნაწილიც.

ინგლის-საბჭოთა 8 ოქტომბრის ოქმის დამტკიცება გულისხმობს, რომ უახლოეს ხანს საბჭოთა კავშირი და ინგლისი ერთმანეთს ელჩებს გაუგზავნიან, ამავე დროს დაადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას პროპაგანდის შესახებ. ეს ვალდებულება ეხება ინგლისის მთავრობისა და მისი ორგანოების იმ ანტისაბჭოთა ხრიკებსაც, რომლებიც უკანასკნელ წლებში ყველგან წინ გვეღობებოდა. ამ ოქმის დამტკიცება გულისხმობს აგრეთვე მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებას სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად. როგორც ვიცით, ეს მოლაპარაკება ერთხელ უკვე სწარმოებდა და მას 1924 წლის აგვისტოს იმ ხელშეკრულების დადება მოჰყვა, რომელიც შემდეგ კონსერვატორების მთავრობამ უარჰყო. ჩვენ აღვნიშნავთ ამ ფაქტს, რომელიც ამოწმებს, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა სადაო საკითხების მოუწესრიგებლობისთვის და ვაცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ გულწრფელად ესწრაფის მშვიდობიანობას. თუ, როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ, ინგლისის ეხლანდელი მთავრობა ამ მოლაპარაკებას იმ განზრახვით შეუდგება, რომ გამოიძებნოს ისეთი საფუძველი, რომელიც ყველა სადაო საკითხს ორივე ქვეყნის საკეთილოდ გადასწყვეტს, ჩვენის მხრით იგი კეთილსინდისიერ და კეთილმოსურნე კონტრაგენტს დაინახავს.

„იზვესტია“, 7 ნოემბერი.

მსოფლიო პროლეტარიატი საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე

მასიური გაფიცვები, მიტინგები და დემონსტრაციები ოქტომბრის XII წლისთავზე უცხოეთში

კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი აღფრთოვანებით ადევნებს თვალყურს საბჭ. კავშირის მშრომელთა მიღწევებს სამეურნეო-კულტურულ ფრონტზე და აღუთქვამს მედგარ ბრძოლას იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ინტრიგების და საომარი გეგმების ჩასაშლელად

როგორ ჩატარდა ოქტომბრის 12 წლისთავი უცხოეთში

გერმანიაში

საბჭოთა კოლონიის საზეიმო სხდომა

ბერლინი, 8 ნოემბერი. საბჭოთა კოლონიამ ბერლინში იდღესასწაულა ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავი. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა **კრესტინსკიმ** გააკეთა მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ხუთწლედის პირველ წელს. აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პერსპექტივებს. გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ის სახელით კრებას მიესალმა **ნეიმანი.** კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიას. მთელმა კომუნისტურმა პრესამ და მუშათა მემარცხენე გაზეთებმა ოქტომბრის 12 წლის თავს უძღვნეს სპეციალური დამატებები, რომლებშიაც მოთავსებულია წერილები სოციალისტური მშენებლობის მიღწევების შესახებ საბჭოთა კავშირში.

გამოწვევა რევოლიუციონურ სოც. შეჯიბრებაში

ბერლინი, 8 ოქტომბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავთან დაკავშირებით, კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგიის საოლქო კომიტეტმა და პარტმუშაკთა კრებამ ბერლინში რევოლიუციონურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოსკოვის, პარიზის, ჰამბურგის და ზღვის სანაპირო ოლქის პარტორგანიზაციები. შეჯიბრების საგანს შეადგენს ხსენებული ორგანიზაციების ბრძოლის უნარიანობის გაძლიერება. (ადს).

„წითელი ვედინგი იბრძოლებს საბჭოთა კავშირისათვის“

ბერლინი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის გამო, ბერლინში და გერმანიის ყველა დიდ ქალაქებში გაიმართა დიდი მასიური კრებები და რევოლიუციონური მუშების დემონსტრაციები შემდეგი ლოზუნგებით: ბრძოლა სოციალიზმისათვის და საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობისათვის. **განსაკუთრებით ძლიერი იყო ბერლინის მუშების დემონსტრაცია ლიუსტ ჰარტენის მოედანზე.** მუშათა კოლონები, ახალგაზრდათა ანტი-ფაშისტური გვარდიისა და რევოლიუციონურ ქალთა და მუშა - ქალთა კავშირის რაზმები, რემედასის და მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტის ორგანიზაციები გამოვიდნენ მრავალი წითელი დროშებით, ტრანსპარანტებით და ბრძოლის ლოზუნგებით. ლოზუნგებში მუშები აცხადებდნენ, რომ **ისინი ერთგულნი არიან რუსეთის რევოლიუციისა და მზად არიან დაიცვან საბჭოთა კავშირი იმპერიალისტების თავდასხმისაგან.** ვედინგის მუშათა რაიონი გამოვიდა დიდი წითელი დროშით, რომელზედაც ასეთი წარწერა იყო: „წითელი ვედინგი იბრძოლებს საბჭოთა კავშირისათვის“. 12 ტრიბუნაზე გამოვიდნენ კომუნისტი ორატორები **შტეკერი, ლეოვი, ნეიმანი და სხ.**

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელმა **ლოგანმა** და ინგლისელმა კომუნისტმა **ბროუნმა.** მიტინგზე მოვიდა ამერიკიდან ჩამოსული გასტონიის ფეიქართა დელეგაცია. (ადს)

სისხლიმღვრელი შეტაკება პოლიციასთან

ბერლინი, 9 ნოემბერი. ჰამბურგის პოლიციის უფროსის (სოციალ - დემოკრატი) აკრძალვის მიუხედავად, ჰამბურგში გაიმართა რევოლიუციონური დემონსტრაციები საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგით. დახოცილ მებრძოლ რევოლიუციონერთა საფლავებთან მოხდა კომუნისტური დემონსტრაცია.

ტელმანის სიტყვის შემდეგ დემონსტრანტები მჭიდრო რიგებით დაიძრნენ ქალაქისაკენ, სადაც შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. პოლიცია ცდილობდა დემონსტრანტების გაფანტვას. მან სროლა ასტეხა. ბევრი მუშა დაიჭრა. (ადს).

საფრანგეთში

მასიური მიტინგები და დემონსტრაციები

პარიზი, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა დარბაზობა. დაესწრნენ საფრანგეთის პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწენი (ადს).

პარიზი, 8 ნოემბერი. პარიზის დიდ საწარმოებში დიდის წარმატებით ჩატარებულ იქნა ოქტომბრის რევოლიუციის მე-12 წლის თავისადმი მიძღვნილი სახელდახელო მიტინგები. დიდი საწარმოების მახლობლად თავმოყრილი იყო პოლიციის რაზმები. მუშები და მუშა - ქალები ყველგან იცავდნენ კომუნისტ - ორატორებს და აცხადებდნენ, რომ პოლიციას არ მისცემენ მათი დაპატიმრების ნებას (ადს).

პარიზი, 8 ნოემბერი. **პარიზის და საფრანგეთის დიდი სამრეწველო ცენტრების რევოლიუციონურმა მუშებმა ოქტომბრის რევოლიუციის მე-12 წლის თავი აღნიშნეს მასიური მიტინგებით, დემონსტრაციებით და გაფიცვებით.** პარიზში მიტინგზე, რომელსაც 30.000 მუშა და მუშა-ქალი დაესწრო, სიტყვა წარმოსთქვა **დორიომ.** დორიო შეეხო სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებს, იმპერიალისტური ომის საფრთხეს და კომპარტიის ამოცანებს.

მიტინგზე დამსწრენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ ფაქტებს და ციფრებს საბჭოთა კავშირის მიღწევათა შესახებ.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კომკავშირის წარმომადგენელმა, რომელიც შეეხო აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტს და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხეს.

კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს (ადს).

პარიზი, 8 ნოემბერი. პარიზის მელითონეებმა, მათ შორის სამხედრო მრეწველობის საწარმოების მუშებმა, აგრეთვე რკინისგზელებმა და მშენებლებმა, კომპარტიის და რევოლიუციონური პროფკავშირების მოწოდების თანახმად, 7 ნოემბერს მოაწყეს მიტინგები და გამართეს ერთი საათის გაფიცვა. ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული აღინიშნა მასიური გამოსვლებით საწარმოებში და დემონსტრაციებით ქუჩებში (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის ც. კ.-ის და კომკავშირის ც. კ.-ის მიმართვა.

პარიზი, 8 ნოემბერი. საფრანგეთის კომპარტიის ც. კ.-მა გამოაქვეყნა მიმართვა საბჭოთა კავშირის მშრომელთადმი.

ც. კ.-ი ამ მიმართვაში აცხადებს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის გამო, საფრანგეთის კომპარტია, საფრანგეთის პროლეტარიატთან ერთად, სიხარულით ესალმება სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს საბჭოთა კავშირში.

„სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ყოველი ახალი მიღწევის შემდეგ,—ნათქვამია მისალმებაში,— მსოფლიო იმპერიალიზმი, კერძოდ, საფრანგეთის იმპერიალიზმი აძლიერებს ბრძოლას ამ მშენებლობის ჩასაშლელად და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადებას. მაგრამ იმპერიალიზმის ცდებს—განახორციელოს თავისი ბოროტი ზრახვები, მკაცრ წინააღმდეგობას გაუწევენ არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები და მათი სახელოვანი წითელი არმია, არამედ საფრანგეთის მთელი რევოლიუციონური პროლეტარიატიც კომპარტიის ხელმძღვანელობით“.

საფრანგეთის კომკავშირის ც. კ.-მა გამოაქვეყნა მიმართვა საბჭოთა კავშირის მუშებისა, გლეხებისა და მშრომელი ახალგაზრდობისადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის კომკავშირი საფრანგეთის ახალგაზრდა მუშებს შორის აწარმოებს ფართო ახსნა-განმარტებით კამპანიას ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების შესახებ.

„საფრანგეთის მუშა ახალგაზრდობა,—ნათქვამია მიმართვაში,—მზად არის არა მარტო დაიცვას საბჭოთა კავშირი, არამედ აქტიურადაც დაეხმაროს სოციალისტური შეჯიბრების მეთოდებით. ამიტომ საფრანგეთის კომკავშირის ც. კ.-მა ურალის კომკავშირელებთან დასდო ხელშეკრულება შეჯიბრების შესახებ და იკისრა ფართოდ გაშალოს რევოლიუციონური მუშაობა მუშა ახალგაზრდობის უმრავლესობის დაპყრობისათვის იმპერიალისტური ომის მომზადების წინააღმდეგ საბრძოლველად და საბჭოთა კავშირის დასაცავად“ (ადს).

ჩეხო-სლოვაკიაში

დემონსტრატიული გაფიცვები

პრაღა, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს, ჩეხო-სლოვაკიის ქალაქებში, ოქტომბრის 12 წლის თავის გამო, ფაბრიკებსა და ქარხნებში გაიმართა მუშათა მიტინგები და დემონსტრატიული გაფიცვები; პოლიციამ ჯერ კიდევ წინა დღეს გაჩხრიკა ჩეხო - სლოვაკიის კომპარტიის ც.-ის სამდივნო და პრაღის ორგანიზაციის კომიტეტი. 7 ნოემბერს გამოაცხადეს პოლიციის მთელი ძალების მობილიზაცია, რათა თავიდან აეცილებიათ დემონსტრაციები, მაგრამ ბევრ ადგილას პოლიციამ მაინც ვერ შესძლო დემონსტრაციების ჩაშლა.

პრაღაში კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო მუშათა ექვსი კრება, რომელთაგან ორი პოლიციამ გარეკა.

ჩრდილოეთ - ჩეხიაში, მემაღაროეთა გაფიცვის რაიონში, 6 ნოემბერს სამთამადნო საწარმოებში მიღებულ იქნა ზომები დემონსტრაციებისა და გაფიცვების ასაცილებლად. 7 ნოემბერს, ჟანდარმებმა დაიჭირეს მაღაროებში შესავალ - გამოსავალი გზები. ისინი ქუჩაში ერეკებოდნენ შემთხვევით შეგროვილ მუშებსაც კი. ამიტომ, სადემონსტრაციო გაფიცვა აქ მხოლოდ ნაწილობრივ ჩატარდა (ადს).

პრაღა, 8 ნოემბერი. საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას ეწვიენ პრაღის და პროვინციების დელეგაციები, რომლებიც არჩეულნი იყვნენ სამშენებლო, რკინის გადამმუშავებელი და მანქანათ მშენებელი ქარხნების და სტამბების მუშების მიერ. დელეგაციებმა სრულუფლებიან წარმომადგენელს აროსევს სთხოვეს — საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს გადასცეს მილოცვა ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის გამო. (ადს).

ავსტრიაში

მუშები ესალმებიან საბჭოთა კავშირს

ვენა, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს ავსტრიის კომპარტიამ გამართა კრება, რომელსაც დაესწრო 2.000 მუშა, მათ შორის ბევრი სოციალ - დემოკრატი და უპარტიო მუშა. **მოხსენებას სოციალისტური მშენებლობის წარმატებისა და ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციის შესახებ დამსწრენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.** კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იგი ესალმება საბჭოთა მუშებსა და გლეხებს.

კრების დამთავრების შემდეგ მუშებმა განიზრახეს ქალაქში გასვლა, მაგრამ პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები (ადს).

ვენა, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები, ავსტრიის მთავრობისა და ავსტრიისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელნი (ადს).

პოლონეთში

შეტაკებები პოლიციასთან

ვარშავა, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის აღსანიშნავად გაიმართა მუშათა დემონსტრაციები, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ დაიჭირა ყველა პუნქტი, სადაც კი შეიძლებოდა დემონსტრაციის მოწყობა, დემონსტრაციები მაინც მოეწყო. ზოგიერთ ფაბრიკაში მოხდა შეტაკება ოქტომბრის დღესასწაულის გამო, ერთი დღით გაფიცვის გამოცხადების მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის. ქალაქში მოხდა მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება. დარიგდა ოქტომბრის უამრავი სპეციალური ლიტერატურა.

შემოსულია ცნობები, რომ დემონსტრაციები მოეწყო ლოძში, ვილნოში, ლვოვში, კატოვიცში და დომბროვის რაიონში. პოლიცია ყველგან დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოდიოდა და ჰფანტავდა მათ. (ადს).

შვეციაში

კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენლის გამოსვლა

სტოკჰოლმი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის დღესასწაულის გამო კომპარტიამ მოაწყო ორი მიტინგი. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და უბრძანა — შეეწყვიტათ „ინტერნაციონალი“-ს სიმღერა და დაშლილიყვნენ, მიუხედავათ ამისა, მიტინგი მაინც შესდგა. გამოვიდნენ შვეციის კომპარტიის ც. კ.-ის კომკავშირისა და კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელნი.

კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა გერმანულ ენაზე მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვის შემდეგ პოლიციის საიდუმლო აგენტებმა დაუყოვნებლივ დააპატიმრეს და პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელი.

სტოკჰოლმი, 8 ნოემბერი. შვეციის კომპარტიის მემარჯვენე ოპორტიუნისტები განაგრძობენ გამთიშველ მუშაობას. ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით, მემარჯვენეებმა მოაწყეს ცალკე კრება, რომელზედაც ჩილბუმი გამოვიდა (ადს).

ჩინეთში

ჩინელი მუშები მხარს უჭერენ საბჭ. კავშირს

შანხაი, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის გამო, ჩინელი მუშებისა და სტუდენტების ჯგუფებმა მოაწყეს ქუჩებში დემონსტრაციები და მიტინგები. ისინი ავრცელებდნენ მოწოდებებს ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ. მოწოდებები ადასტურებენ, რომ **ჩინელი მუშები მზად არიან მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირის მშრომელებს.** პოლიციამ მრავალნი შეიპყრო, ზოგ მათგანს უკვე გადაუწყვიტა პატიმრობა სხვადასხვა ვადით (ადს).

იტალიაში

დარბაზობა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

რომი, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იტალიაში გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ საზღვაო მინისტრის ამხანაგი, არმიის წარმომადგენლები და საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის და ავსტრიის ელჩები.

ინგლისში

ბროშიურა ხუთწლიანი გეგმის შესახებ

ლონდონი, 8 ნოემბერი. კომპარტიის ორგანომ „უორკერს ლაიფ“-მა გამოუშვა სპეციალური ნომერი, რომლის წერილები და ილუსტრაციები მიძღვნილია ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავისათვის. კომპარტიამ გამოაქვეყნა ბროშიურა ხუთწლიანი გეგმის შესახებ (ადს).

ლატვიაში

პოლიციის თავდასხმა მუშებზე

რიგა, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს მუშები საფაბრიკო რაიონებში შეეცადნენ დემონსტრაციების გამართვას ოქტომბრის რევოლიუციის მე-12 წლის თავის აღსანიშნავად. პოლიცია ერეკებოდა დემონსტრანტებს, ხოლო მუშათა უბნებში ხსნიდა წითელ დროშებს. ქალაქში ავრცელებდნენ ლატვიის არალეგალურ კომპარტიის მოწოდებებს (ადს).

მონღოლეთში

ულან-ბატორი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა ჯარის აღლუმი და მიტინგი, რომელსაც 12.000 კაცი დაესწრო.

სიტყვები წარმოსთქვეს მონღოლეთის მთავრობის წევრებმა და პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ოხტინის სიტყვა, „ინტერნაციონალი“-ს სიმღერამ და „ვაშა“-ს ძახილმა დაფარა. (ადს).

რუმინეთში

მასიური გაფიცვები

ვენა, 8 ნოემბერი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავი რუმინეთში აღინიშნა ფართო საგაფიცვო მოძრაობით და მრავალრიცხოვანი რევოლიუციონური მანიფესტაციებით.

გაფიცვებს ყველგან ხელმძღვანელობენ უნიტარული (რევოლიუციონური) პროფკავშირები. რუმინეთის მთელი ბურჟუაზიული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს მასიური გაფიცვების პოლიტიკურ ხასიათს, რომლებიც ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის წინ დაიწყო (ადს).

ბელგიაში

ბრიუსელი, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო ბელგიის კომპარტიამ ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის გამო. დემონსტრაციამ დიდის წარმატებით ჩაიარა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ათას მუშაზე მეტმა. დემონსტრაცია ჩატარებულ იქნა შემდეგი ლოზუნგებით: გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, ბრძოლა საბჭოთა კავშირზე იმპერიალისტური თავდასხმის წინააღმდეგ. (ადს).

იაპონიაში

ტოკიო, 8 ნოემბერი. იოკაგამაში დააპატიმრეს პროფკავშირთა მუშაკები, რომლებიც ამზადებდნენ საგიტაციო ფურცლების გავრცელებას ოქტომბრის 12 წლისთავისათვის. (ადს).

საბჭოთა კავშირში

მოსკოვსა და ლენინგრადში

მოსკოვი, 9 ნოემბერი. 7 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა წითელი არმიის აღლუმი და მშრომელთა დემონსტრაცია. ჯარსა და დემონსტრანტებს მიესალმნენ ამხ. **სტალინი, კალინინი, ვოროშილოვი, რუძუტაკი, მიქოიანი, ორჯონიკიძე,** კომინტერნის აღმასკომის წევრები, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მუშათა და უცხოეთის დელეგაციების წარმომადგენელნი.

ამხ. ვოროშილოვმა შემოიარა ჯარის რიგები და მიესალმა მათ. შემდეგ დაიწყო ჯარის გავლა. ჯარის ნაწილებს წითელ მოედანზე მიჰყვნენ მუშათა დემონსტრაციის კოლონები. პლაკატების და ლოზუნგების უმეტეს ნაწილში ლაპარაკია ხუთწლედის ძლევამოსილ მსვლელობაზე და მტკიცე გადაწყვეტილებაზე, რომ გაფართოვდეს სოციალისტური მშენებლობა. ლოზუნგებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა: „გაუმარჯოს ოთხწლიან ხუთწლედს“, „ბრძოლა პროლეტარული რევოლიუციის შტრეიკბრეხერების და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ“, „ზიზღი მოწუწუნეებს და უიმედოებს“.

დემონსტრაციაში წითელ მოედანზე მონაწილეობა მიიღო 800.000 კაცმა. (ადს).

მოსკოვი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს დიდ თეატრში შესდგა მოსკოვის საბჭოს სხდომა. მოხსენება 12 წლის თავის შესახებ გააკეთა ამხ. კალინინმა. (ადს).

ლენინგრადი, 9 ნოემბერი. დემონსტრანტებს და წითელ არმიას მიესალმნენ ამხ. **სირცოვი, ლობოვი, კიროვი, ტუხაჩევსკი და სხვ.,** აგრეთვე შუა - აზიის მეზამბეობის და უცხოელი მუშების დელეგაციები. დემონსტრაციამ ჩაიარა სამეურნეო ზრდის ხუთწლედის ნიშნით.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 800.000 კაცმა. (ადს).

საქართველოში

ადგილებზე

ოქტომბრის დღესასწაული კახეთში

გურჯაანი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის დღესასწაულმა კახეთის ოლქში დიდის აღფრთოვანებით ჩაიარა. გლეხები მასიურ მონაწილეობას იღებდნენ დემონსტრაციებსა და მიტინგებში. თელავში მოხდა პარტსკოლის საზეიმო გახსნა. გურჯაანში საძირკველი ჩაუყარეს საავადმყოფოს და აფთიაქის ახალ შენობებს. წინანდალში გახსნეს მუშათა ახალი კლუბი. სოფ. ახალგავაზში გაიხსნა აფთიაქი (ადს).

ახალ-სენაკი. 9 ნოემბერი. სენაკში ოქტომბრის თორმეტი წლის თავთან დაკავშირებით მოხდა რენტგენის კაბინეტის საზეიმო გახსნა, საქართველოს და ამიერ - კავკასიის მთავრობის და ამიერ - კავკასიის პარტორგანიზაციის სახელით მიტინგს მიესალმა ამხ. ვანო სტურუა. შემდეგ თითქმის მთელი მიტინგი გაემართა ნოსირისაკენ, სადაც გაიხსნა და ამუშავდა ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც წლიურად დაამზადებს ხუთ მილიონ აგურ-კრამიტს. მიღებულ იქნა მისალმების დეპეშა — საქართველოს სახკომსაბჭოსაგან. ქარხნის მუშებს ვანო სტურუამ დაპირდა ათას მანეთის კულტურულ მუშაობისათვის, იმ პირობით, რომ ქარხანა მოწყობილ იყვანს სამ უპატრონო ბავშს. ქარხნის დირექციამ მადლობა გამოუცხადა მშენებლობის ხელმძღვანელს რამიშვილს, დააჯილდოვა საუკეთესო მუშები და ორასი მანეთი გადასდო თვითმფრინავ „წითელი სამეგრელოს“ საამშენებლო ფონდში. მიტინგი დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა.

ბარამია.

ახალ-სენაკი, 9 ნოემბერი. გუშინ, სალამოს სენაკის მუშა - მოსამსახურეთა, ქალაქის საბჭოს წევრების და მშრომელ მოსახლეობის გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე ოქტომბრის რევოლიუციის თორმეტი წლის თავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვანო სტურუამ, რომელიც ამჟამად სენაკში იმყოფება. შემდეგ ძველ რევოლიუციონერ მუშაობის მოგონებით გამოვიდა ამხ. ანდრო ფირცხალავა.

ბარამია.

გერმანია უნდა დაადგეს ბოლშევიზმის გზას

„როტე ფანე“-ს წერილი

ბერლინი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავთან დაკავშირებით გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში „როტე ფანე“-ში მოთავსებულია წერილი ამ სათაურით: „მსოფლიო რევოლიუციის მეორე ლაშქრობა“.

გაზეთი ჩამოსთვლის საბჭოთა კავშირის მიღწევებს 12 წლის განმავლობაში და აღნიშნავს, რომ გერმანია დაადგა არა ლენინის, არამედ ებერტისა და შეიდემანის გზას. პროლეტარიატისათვის არსებობს ერთად ერთი გამოსავალი— ეს არის ბოლშევიზმის გზა, რევოლიუციონური პროლეტარიატის გზა. „ჩვენ აშკარად და გარკვეულად ვაღიარებთ პროლეტარული დიქტატურის ლოზუნგს. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიო რევოლიუციის მეორე ლაშქრობას მეორე ოქტომბრის ბრძოლისაკენ გერმანიაში, ოქტომბრის რევოლიუციის განსახორციელებლად.

როდესაც გერმანიაში პროლეტარული დიქტატურა გაბატონდება, კაპიტალისტურ რეჟიმს შესცვლის რევოლიუციონური წესრიგი, რომელიც გატარებული იქნება რკინის მტკიცე ხელით.

თავისი არსებობის პირველ დღესვე გერმანიის საბჭოთა მთავრობა ნაკუწ-ნაკუწად აქცევს იუნგის გეგმას, გაბათილებულად გამოაცხადებს უცხოეთის ვალებს, განახორციელებს ფაბრიკების, ბანკებისა და რკინისგზების ნაციონალიზაციას, საჯაროდ გაჰკიცხავს და დახვრეტს უკანასკნელი მსოფლიო ომის და მომავალი ომის გენერლებს, საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნის და დახვრეტს მრეწველობის პატრონებსა და ბანკირებს, ნოსკესა და ურიხებს თავს დაატეხს ისეთ მეხს, როგორიც ჩეკამ განუმზადა რუს კონტრ-რევოლიუციონერებს. ყველა სამრეწველო საწარმოებში შემოღებული იქნება 7 საათის სამუშაო დღე და ოთხდღიანი სამუშაო კვირა; უმუშევრები მიიღებენ სრულ სამუშაო ხელფასს, ხოლო მუშა-ქალები და მუშა-ახალგაზრდობა— თანაბარ ხელფასს თანაბარი შრომისათვის; გერმანიის საბჭოთა მთავრობა იზრუნებს, რომ მუშების შვილებს ჰქონდეთ ყველაფერი, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის. რათა ამ ბოლშევიკური პოლიტიკის გატარება უზრუნველჰყოს მტრის პოლიტიკისაგან და მტრის თავდასხმისაგან, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი, გერმანიის საბჭოთა მთავრობა შეაიარაღებს 10-დან 15 მილიონამდე კლასობრივად შეგნებულ გერმანელ მუშას და შეჰქმნის წითელ არმიას და გერმანიის პროლეტარულ ჩეკას.

ასეთია პროგრამა, რომლის განხორციელებისათვის იბრძვის კომუნისტური პარტია, იბრძვის მტერთა მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ და იტანს ყოველგვარ დევნასა და ცილისწამებას. ამ ბრძოლაში იგი ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ რევოლიუციონური პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას, ეყრდნობა ამ პროლეტარიატის ნებისყოფას, რომელიც ძალა-უფლების დაპყრობისკენაა მიმართული, ეყრდნობა პროლეტარიატის რწმენას, რომ იგი გაიმარჯვებს“. (ადს)

თბილისში

დიდი ოქტომბრის წლისთავი, როგორც გასულ წლებშიაც თბილისის პროლეტარიატმა აღნიშნა გრანდიოზული დემონსტრაციით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა.

ქალაქი დილა ადრიანათ შეუდგა სადღესასწაულო ფუსფუსს და ათი საათისათვის უკვე ცენტრალური ქუჩები ველარ იტევდნენ მოზღვავებულ ხალხს.

სასახლის წინ ორ საბარგო ავტომობილზე მოწყობილია ტრიბუნები. ერთზე მოთავსებულია დიპლომატიური კორპუსი, ხოლო მეორეზე მეზობელ რესპუბლიკებიდან ჩამოსული დელეგაციები. აქვე არიან ამხ. მ. კახიანი, ვანო ბოლქვაძე, შ. ლეჟავა, შავერდოვი და სხვები.

12 საათზე იწყება დემონსტრანტების მსვლელობა. გუგუნებენ ორკესტრები, ტრიბუნიდან. ისმის მისალმების შეძახილები და მრავალ ათასიანი მასა მქუხარე „ვაშა“-თი აყრუებს მიდამოს.

კოლონა კოლონას მისდევს, რაზმი რაზმს, და ადამიანთა ეს უსაზღვრო ტალღა განუწყვეტლივ მოაგორებს ახალ და ახალ ზვირთებს.

გაუმარჯოს ოქტომბრის 12 წლის თავს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! — ისმის ტრიბუნებიდან და დემონსტრანტებიც ერთსულოვნად ეხმაურებიან ორატორების სიტყვებს.

აი დაიწყო პიონერ - რაზმების მსვლელობა, მრავალი ათასი ბავში მხიარულათ მიაბიჯებს ქუჩაზე თავისი დროშებით და პლაკატებით და ქუჩასაც რაღაც თავისებური სიხალისე და ჟრიამული ეფინება.

— ოქტომბრის რევოლიუციისათვის იყავი მზად, — ესალმება პიონერებს ამხ. კახიანი და ისინიც მქუხარე „მზად ვართ“-ით უპასუხებენ.

პიონერებს მოსდევენ მოსწავლეები, შემდეგ ისევ პიონერები, ფიზკულტურისნები და ასე დაუსრულებლივ.

დემონსტრანტების კოლონებს შუა მძიმედ მიაბიჯებენ საბარგო ავტომობილები, რომლებიც ამ დღეს უჩვეულოთ არიან მორთული.

აი აგერ მოდის ავტომობილი — გემი თეთრხალათიან მეზღვაურებით. გემიდან ორი უზარმაზარი ზარბაზანი გამოიყურება. ეს ხომ ცნობილი კრეისერი „ავრორაა“, რომლებმაც ზარბაზნები დაუშინა ზამთრის სასახლეს ოქტომბრის დაუვიწყარ დღეებში.

აი კიდევ ავტომობილი, რომელიც ჩვენს შრომას და შინაურ სიმტკიცეს გამოხატავს: ახლად ამუშავებული მაუდის ფაბრიკა, პურის ქარხანა, აბრეშუმის მრეწველობა — ყველა ამათი სხვადასხვა საწარმოო პროცესები გადატანილია ავტომობილებზე და თვალნათლივ აშკარავებენ ჩვენს მიღწევებს ამ დარგებში.

კარნავალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებასაც.

აი გველივით დაკლაკნილი, კბილებ -გადმოყრილი ჩან-კაი-ში, რომელსაც ამოწვდილი ხმალი უჭირავს ხელში. ერთ ავტომობილზე გამოხატულია ჩინეთ - საბჭოთა საზღვარი. ერთ მხარეზე სდგას წითელარმიელი, ხოლო მეორე მხრიდან მას ულრენს ჩინელი ბანდიტი. ამ დროს საბჭოთა კავშირის შიგნით კი გაჩაღებულია შრომა; ბოლავენ ქარხნები და მაგრათ სცემს გრდემლზე ჩაქუჩი.

საბჭოთა კავშირში მოსახლე ერთი ძმურმა კავშირმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კარნავალში: ერთი ავტომობილი სავსეა სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით თავიანთ ნაციონალურ კოსტიუმებში, რომლებიც ხელიხელ გადახვეული მიიმღერიან რევოლიუციონურ სიმღერებს.

აქა-იქ კარნავალში ჩართულია კარიკატურები კაპიტალზე და ბურჟუაზიულ მოღვაწეებზე. ერთ-ერთი ავტომობილი იძლევა პოლონეთის სეიმის გახსნის სურათს. პოლიციელებით გარშემორტყმული პილსუდსკი მათრახით ხელში სდგას შიშით აკანკალებულ დეპუტატების წინაშე და ამბობს: „სეიმს გახსნილად ვაცხადებ“.

აი გრძელ ჯოხზე წამოცმული ჩვენი ძველი ნაცნობი ჩემბერლენი მაგრათ ჰკუტავს მონოკლიან თვალს. მონოკლზე კი წითელი ასოებით აწერია „12“.

ბევრია კიდევ მოსწრებული და მწარე კარიკატურა კაპიტალისტურ ქვეყნებზე: აი თუ გინდ კიდევ ერთი მათგანი: ამერიკის კაპიტალს ხელში უჭირავს ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების სადავეები და მათრახით ხელში მიერეკება ევროპის ბურჟუაზიულ მოღვაწეებს, საითაც მოისურვებს.

იწყება მუშათა კოლონების მსვლელობა. მუშებს შორის არიან წითელ არმიელებიც, რომლებიც დღეს ცალკე არ გამოსულან სადემონსტრაციოდ. ისინი მუშებთან არიან, რომ ერთხელ კიდევ ნათელყონ მუშათა კლასის და წითელი არმიის განუყრელი კავშირი.

ყოველი მისალმება, ყოველი შეძახილი ტრიბუნიდან მქუხარე „ვაშა“-ს იწვევს მუშების რიგებში.

— გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას მთელ მსოფლიოში! — ესალმება ერთი მოხუცი მუშა ტრიბუნაზე მდგომ ამხანაგებს.

— „ვაშა“ — უპასუხებს ამხ. კახიანი.

დემონსტრანტებს ბოლოში მოჰყვება ცეცხლის მქრობელი რაზმი თავისი წითელი ავტომობილით, რომელზედაც დაკეცილია უზარმაზარი კიბე.

რაზმელებმა ჩაუარეს ტრიბუნას, ავტომობილი კი იქვე დადგა. უეცრად ჰაერში დაეკიდა გრძელი კიბე, რომელიც იშლება და თანდათან ზევით მიდის.

დამსწრეების ყურადღება ამ უჩვეულო სანახაობამ მიიპყრო. ჩქარა კიბე აცილდა „ორიანტი“-ს შენობას. კიბეზე შეხტა ერთი შავხალათიანი და რკინის კასკიანი რაზმელი, რომელიც მარდათ მიაბიჯებს კიბეზე. ხუთ წუთში იგი კიბის წვერზე მოექცა და მხედრული სალამი მისცა დემონსტრანტებს. ამ გაბედულმა გამოსვლამ დამსწრეთა ერთსულოვანი ტაში გამოიწვია.

დემონსტრანტების მსვლელობა დამთავრდა. ქუჩებს მოედო უამრავი ხალხი, რომლის ჟრიამული დიდხანს აყრუებდა კიდევ ჰაერს.

ჩვენი დედა ქალაქის მშრომელები იგონებდნენ იმ დაუვიწყარ დღეებს, როდესაც 12 წლის წინად ძლევამოსილმა ოქტომბრის რევოლიუციამ ბოლო მოუღო მშრომელთა მტრების ბატონობას.

შ—ა.

ტრიბუნაზე



ახალგ. ლენ. კომკავშირის ერთ-ერთი სააგიტაციო ავტომობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარდიეს მთავრობის დეკლარაცია

პარიზი, 8 ნოემბერი. ტარდიემ პარლამენტში ახალი მთავრობის დეკლარაცია გამოაქვეყნა. საგარეო პოლიტიკის სფეროში მთავრობა პირობას სდებს, რომ „უკვე განვლილ ეტაპებს არ დაუბრუნდება“ და არავითარ ვალდებულებას არ იკისრებს იმ დრომდე, სანამ პარლამენტი წინასწარ არ დაადასტურებს.

დეკლარაცია აღნიშნავს: მთავრობამ გადასწყვიტა განაგრძოს სამხედრო პროგრამის განხორციელება, რადგან საჭიროა თავდაცვის ღონისძიებათა მიღება საფრანგეთის საზღვრებზე და გზების უშიშროების დაცვა საფრანგეთის კოლონიალურ სამფლობელოებში. შინაური პოლიტიკის სფეროში დეკლარაცია ბევრს დაპირებას შეიცავს. კერძოდ, მთავრობა აპირებს გადასახადების შემცირებას და დოტაციების გადიდებას სოფლის მეურნეობისათვის.

დეკლარაცია მთავრდება განცხადებით: მთავრობამ გადასწყვიტა საფუძველი ჩაუყაროს „ქვეყნის აყვავების პოლიტიკას“-ო. (ადს).

ტარდიეს მთავრობის წინააღმდეგ

პარიზი, 8 ნოემბერი. დეპუტატთა პალატის რადიკალურმა ფრაქციამ ერთხმად დაადგინა—მთავრობის დეკლარაციის განხილვის დროს ხმა მისცეს ტარდიეს მთავრობის დეკლარაციის წინააღმდეგ (ადს).

ნანკინის ჯარების დამარცხება

შანხაი, 8 ნოემბერი. როგორც გონკონგიდან იუწყებიან, ჩან-ფა-გუას ჯარი, რომელიც ჩან-კაი-შის წინააღმდეგ იბრძვის, გუანსის პროვინციაში შეიჭრა. ნანკინის ჯარი მარცხდება ხენანის პროვინციაში და ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ-დასავლეთ რაიონში. ფინ-იუი-სიანის ჯარმა რამდენიმე ქალაქი დაიჭირა. ხანკოუში მზადებაა იმისათვის, რომ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიონ ფინ-იუი-სიანის ჯარს. (ადს).

კომუნისტური რაზმების გამარჯვება ჩინეთში

შანხაი, 8 ნოემბერი. როგორც ხანკოუდან იუწყებიან, ხუბეის პროვინციაში გაძლიერდა კომუნისტური რაზმების მოქმედება. ზოგიერთ ქალაქში ავრცელებენ ფურცლებს და პროკლამაციებს, სახლის კედლებზე აკრავენ მოწოდებებს და ლოზუნგებს. ქალაქი გუანძი კომუნისტურმა რაზმებმა დაიჭირეს. ამავე რაზმებმა დაიჭირეს ქალაქი ხუანმიო. (ადს).

მემაღაროეთა ბრძოლა

ვარშავა, 8 ნოემბერი. პოლონეთის ქვანახშირის რაიონებში მემაღაროეებმა გამოაცხადეს ერთი დღის გაფიცვა, ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ სამუშაო ხელფასი, 20 პრ.-ის ნაცვლად, გადიდებულ იქნა მხოლოდ 5 პროც. გაიფიცა რამდენიმე ათი ათასი მემაღარო. მელითონეები სოლიდარობას უცხადებენ გაფიცულებს. პროფკავშირთა მემარცხენე ფრთა მოუწოდებს მემაღაროეებს—ერთი დღის გაფიცვა გადააქციონ ბრძოლის გაფიცვად მუშათა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. (ადს).

უნგრელი მემაღაროეების გაფიცვა

ვენა, 8 ნოემბერი. პროფბიუროკრატებმა გამოჰყვეს უნგრელი მემაღაროეების მოთხოვნა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ; მიუხედავად ამისა, გაფიცვა ზაგლიაშლიანის მაღაროებში ქვა - ნახშირის მთელ რაიონს მოედო. გაფიცულია 4.000 მუშაზე მეტი. გაფიცვას ხელმძღვანელობს მემაღაროეთა კავშირის მემარცხენე ოპოზიცია. (ადს).

კონფლიქტი ინგლისის ნახშირის მრეწველობაში

ჩაიშალა მაღაროს პატრონთა და მემაღაროეთა კონფერენცია

ლონდონი, 8 ნოემბერი. მაღაროს პატრონებმა უარი განაცხადეს დასწრებოდნენ მემაღაროეთა წარმომადგენლების და მაღაროს პატრონების კონფერენციას, რომელიც მთავრობამ მოიწვია ქვა-ნახშირის მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტის გამო. მაღაროს პატრონები ვაჭრობის მინისტრთან გაგზავნილ წერილში აცხადებდნენ, რომ მათ გადასწყვიტეს არ მიიღონ მთავრობის მიწვევა. რადგან ისინი თანახმანი არ არიან გამართონ მემაღაროეებთან მოლაპარაკება მთელი ინგლისის მასშტაბით ისეთ შეთანხმებაზე, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო დღის ნაკლებ ხანგრძლივობას ხელფასის შეუმცირებლად.

სხვა და სხვა

ლოკაუტის მოხსნა. გემთსაშენის საწარმოების პატრონებმა სენ-ნაზერში მოხსნეს მათ მიერ გამოცხადებული ლოკაუტი.

ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემა. ნიუ-იორკის ბირჟაზე 7 ნოემბერს დილით ფასიანი ქაღალდების კურსი არაჩვეულებრივად დაეცა.

გემების მიმოსვლა ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატებიდან შავი ზღვის საბჭოთა ნავთსადგურებისაკენ ყოველთვიურად გაიგზავნება 3 გემის მაგიერ 4 გემი. ნოემბერსა და დეკემბერში განზრახულია ამერიკიდან საბჭოთა კავშირში გაიგზავნოს სხვადასხვა სახის ტვირთი არა ნაკლებ 3.500.000 კუბიკური ფუტის რაოდენობით.

ამხ. მიხა ცხაკაია და ს. თოდრია აჭარისტანში

ბათომი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს საღამოთი ხალხით გაჭედილ სახელმწიფო თეატრის დარბაზში, ოქტომბრის რევოლუციის 12 წლის თავის გამო, მოხდა ცაკის სახკომსაბჭოს და ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა პროფორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების მონაწილეობით. სხდომას დაესწრნენ ამხ. ცხაკაია და თოდრია, რომლებიც ამჟამად აჭარისტანში იმყოფებიან და რომელთაც დამსწრენი ტაშის ცემით მიეგებნენ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ცხაკაია, რომელმაც აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი მნიშვნელობა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. თოდრიამ, ლორთქიფანიძემ—სახკომსაბჭოს სახელით ჩახვაძემ —აჭარ. პროფკავშირთა საბჭოს სახელით, ავთანდილოვმა—აჭარისტანის კომიტეტის სახელით, ედვარტსენმა—უცხოელ მეზღვაურთა სახელით, კოვალიოვმა,—წითელი არმიის სახელით და სხვ. კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიას (ადს).

ჩაქვი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს დილით ამხ. ცხაკაია და თოდრია, აჭარისტანის მთავრობის წევრებთან ერთად, დაესწრნენ ჩაქვისა და ქობულეთის მშრომელთა მასიურ კრებებს. კრებებზე ამხ. ცხაკაია თავის მისასალმებელ სიტყვებში მოკლედ შეეხო განვლილ გზას, აღნიშნა მიღწევები, დეფექტები და ის სიძნელეები, რომლებიც ელობებიან პროლეტარიატს, და მოუწოდა მუშებსა და გლეხებს — ოქტომბრის რევოლუციის მეცამეტე წელს გაათკეცებული ენერგიით განაგრძონ მუშაობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის.

შემდეგ გამოვიდნენ გლეხები, რომელთაც აღნიშნეს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები, აჭარისტანში და ითხოვეს გზებისა და სკოლების მშენებლობის ტემპის გაძლიერება და სხვ. ჩაქვის თემის გლეხებმა ითხოვეს ყურადღება მიექცეს გადმოსახლებულებს; საჭიროდ სცნეს განსაკუთრებით ხე-ტყის მასალისა და სურსათის მიწოდება მათთვის.

გამოვიდა აგრეთვე ორი კულაკი, რომელთაც განაცხადეს, რომ ერთგულნი არიან საბჭოთა ხელისუფლების, ქება-დიდება შეასხეს მას, მაგრამ ამავე დროს შეეცადნენ ჩარჩი მოეცხოთ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. ყველა ასეთ ცდას ღარიბი და საშუალო გლეხთა მასებმა სათანადო პასუხი გასცეს.

ქობულეთში ამხ. თოდრიამ სხვათა შორის, მიმართა დამსწრეთ თხოვნით—არ დაუჯერონ პროვოკატორებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების მიერ გავრცელებული ხმები და მუშათა კლასთან ერთად განაგრძონ სოციალისტური მშენებლობა.

7 და 8 ნოემბერს ამხ. ცხაკაია და თოდრია, აჭარისტანის მთავრობის წევრებთან ერთად, დაესწრნენ ოქტომბრის სადღესასწაულო კრებებს სათემო ცენტრებში: აჭარისწყალში, მახუნცეთში, ქვანაში და ურამუაში, სადაც ისინი გამოვიდნენ მისასალმებელი სიტყვებით.

კრებების საზეიმო ნაწილის შემდეგ იმართებოდა საუბრები, საუბრების დროს გლეხები აღნიშნავდნენ აჭარისტანის მთავრობის მზრუნველობას, რომელიც გამოიხატა გზების გაყვანაში, სოფლებისათვის თესლის მიწოდებაში, სკოლების მოწყობაში და სხვ. გლეხებმა ითხოვეს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების საკითხის მოწესრიგება, გამოცდილი ტექნიკოსების გამოგზავნა, გზების გასაყვანად ასაფეთქებელი მასალების, ხოლო სოფლის კოოპერაციისათვის სადეფიციტო და გლეხებისთვის საჭირო საქონლის მიწოდება და სხვ.

გლეხების მიერ აძრულ საკითხებზე, ამხ. ცხაკაია და თოდრია, აგრეთვე აჭარისტანის მთავრობის წევრები ამომწურავ პასუხს აძლევდნენ, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდად კმაყოფილი დარჩა (ადს).

ახალი კრეკინგ-ქარხნის საძირკვლის ჩაყრა

ბათომი, 9 ნოემბერი. 7 ნოემბერს დილით, ამხ. ცხაკაიას და თოდრიას თანდასწრებით, მოხდა ახალი კრეკინგ-ქარხნის („ციკლეროვის“ სისტემის) საძირკვლის საზეიმო ჩაყრა. ქარხანა დღე-ღამეში გადაამუშავებს 460 ტონა ზეთს. ქარხნის საძირკვლის ჩაყრას აურაცხელი ხალხი დაესწრო. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ცხაკაიამ და თოდრიამ.

შემდეგ ამხ. ცხაკაიამ ბეტონის მასის რამდენიმე ნიჩაბი დააყარა საძირკვლის რკინის ფუძეს, რასაც დამსწრენი მხურვალე ტაშით შეეგებნენ (ადს).

ყოფ. ტროცკისტების განცხადება

(საქართველოს კომპარტიის ს (ბ) ფოთის კომიტეტს)

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ტროცკისტები თავისი იდეოლოგიითა და პრაქტიკით არიან წმინდა წყლის მენშევიკური კონტრ - რევოლუციონერები, რომელთა მუშაობა მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ

ჩვენ ამაზე ხელის მომწერნი ვაცხადებთ შემდეგს: ამ უკანასკნელ დრომდე ჩვენ ვეკუთვნოდით ოპოზიციას და ყოველგვარ მის დავალებას ვასრულებდით: ვავრცელებდით არალეგალურ ლიტერატურას, ვეწეოდით არალეგალურ მუშაობას ორგანიზაციის ჩამოყალიბების მხრივ და სხვა.

ჩვენ ვიცით, რომ მე-15 პარტყრილობამ შეუთავსებლად სცნო ოპოზიციონერობა პარტიაში ყოფნასთან და მიიღო სათანადო ზომები პარტიის მთლიანობის შესანარჩუნებლად. მაგრამ თავზე ხელაღებულთა ერთი ხროვა, რომელსაც ხელმძღვანელობს ტროცკი და რომლის მსხვერპლი გავხდით ჩვენც, მაინც შეეცადა კომპარტია გადაექცია სალაყბო კლუბად, რისი მოთმენა შეუძლებელი იყო. დაკვირვებამ ღრმად დაგვარწმუნა, რომ ჩვენი მუშაობა არის მიმართული კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; ხელს ვუშლით შეუგნებლად პარტიას მის მიერ დასახული გეგმების შესრულების საქმეში, საშუალებას ვაძლევთ კონტრ-რევოლუციას, როგორც გარედ, ისე შიგნითაც მიიტანოს იერიში კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ვასუსტებთ ჩვენი ფრაქციული მუშაობით პარტიას. ასეთ ანტისაბჭოთა მუშაობას ეწევიან დღეს ოპოზიციონერები.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ტროცკისტები თავისი იდეოლოგიითა და პრაქტიკით არიან წმინდა წყლის მენშევიკური კონტრ-რევოლუციონერები, რომელთა მუშაობა მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ტროცკის გამოსვლა საზღვარგარეთელ კონსერვატიულ პრესაში ამტკიცებს მის გადაჩეხვას კონტრ-რევოლუციის ბანაკში. ყოველი ასეთი გამოსვლა ეხმარება ჩვენს კლასიურ მტერს, რომ ლახვარი ჩაგვცეს.

ჩვენ, მუშები, რომლებსაც შეგვქონდა დეზორგანიზაცია პარტიის რიგებში, ვატყუებდით პარტიას და არ ვიჩენდით გულწრფელობას—ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავწყვიტოთ ყოველგვარი იდეური და ორგანიზაციული კავშირი ტროცკისტულ კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციასთან და ვსწყვეტთ კიდევაც ამ კავშირს, ხელს ვიღებთ ყოველ ფრაქციულ მუშაობაზე, რომელიც ასუსტებს კომპარტიის მთლიანობას, უსიტყვოდ ვემორჩილებით მე-15 პარტყრილობის, კონფერენციების და ცეკას პლენუმების ყველა დადგენილებებს.

საკავშირო კომპარტიის და საბჭოთა მთავრობის ორგანოების მიერ მიღებული ზომები ტროცკისტული კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციის დასამსხვრევად და გათახსირებული ფრაქციონერების ასალაგმავად მიგვაჩნია სავსებით სწორად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აღდგენილი ვიქნებით პარტიის წევრის უფლებებში, რომ დავუმტკიცოთ პარტიას ჩვენი გულწრფელობა და მზად ყოფნა მუშაობისა და ბრძოლისათვის.

მოვუწოდებთ ყველას, ვინც ჯერ კიდევ თანაუგრძნობს ან მუშაობს ოპოზიციაში, მიბაძოს ჩვენს მაგალითს.

პეტრე როსტომის ძე ჯიქია—პარტ. წევრი 1918 წლიდან (22 წლის მუშა რკ. გზელი).

თოფურია სერგო სპირიდონის ძე—1926 წლ. პარტ. წევრი (13 წლის მუშა ელ. სახ. ქარხანაში);

სიმონი ზაქურას ძე გაგუა 1925 წლ. პარტიის წევრი (13 წლის მუშა ქარხნის);

პროკოფი ბესარიონის ძე მაშავა—ხარატი, ელ. სახ. სახელოსნოს პარტ. წევრი 1924 წლიდან;

ხარბედია ლავრენტი ბიჭიას ძე—1921 წ. კომპარტიის წევრი ელ. ქარხნის მუშა 1924 წლიდან.

ჩხარტიშვილი ვალოდია ნესტორის ძე 1927 წ. კომპარტიის წევრების კანდიდატი, ქარხნის მუშა 1921 წლ.

ავსტრო-მარქსისტები შეუთანხმდნენ ბურჟუაზიას

სრული კაპიტულიაცია

ვენა, 8 ნოემბერი. სოციალ-დემოკრატებსა და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის მოხდა შეთანხმება ახალი კონსტიტუციის კანონპროექტის შესახებ. სოციალ-დემოკრატები დასთანხმდნენ ჯარის დამოუკიდებლად გამოსვლაზე ქუჩაში ბრძოლის დროს, დასთანხმდნენ აგრეთვე იმაზე, რომ ვენის პოლიციის უფროსს მიენიჭოს საგანგებო რწმუნებანი და მიეცეს გადასახლების განუსაზღვრელი უფლება.

„როტე ფანე“-ს მორიგ ნომერს კონფისკაცია უყვეს იმ წერილისათვის, რომელიც მოუწოდებს მუშებს შექმნან რევოლუციონური ორგანოები ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. პროკურატურამ აკრძალა ლენინის იმ ციტატების დაბეჭდვა, რომლებიც შეიარაღებულ აჯანყებას შეეხებიან. (ადს).

საბჭოთა 38 მოქალაქის საქმე

ტოკიო, 8 ნოემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან; საბჭოთა 38 მოქალაქის დამცველებმა განაჩენი მუკდენში განასაჩივრეს. განაჩენი პროკურორმაც განასაჩივრა, რადგან იგი მეტად მკაცრ განაჩენად მიაჩნია. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სასამართლო და ადმინისტრაცია დაბნეულნი არიან. (ადს).

შემოდგომის თესვა

დასავლეთ საქართველოში საფრთხეშია

სათესლე მასალის გაზიდვა შეფერხებულია. — ზოგიერთ რაიონებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ თესლი. — დასავლეთ საქართველოში მოხნულ მიწების დიდი რაოდენობა დაუთესავი რჩება. ტრაქტორების უმრავლესობა საწვავი მასალის მიუწოდებლობის გამო უქმად სდგას. — იარაღ - მანქანების შემკეთებელი სახელოსნოები ვერ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად.

თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის ცნობით, შემოდგომის თესვის კამპანია განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში, რაც გამოწვეულია სათესლე მასალის თავის დროზე მიუწოდებლობით.

დასავლეთ საქართველოსათვის კახეთის ოლქში უნდა დამზადებულიყო 120.000 ფუთი სათესლე მასალა. თესლი უკვე დამზადებულია, მაგრამ ტრანსპორტის მოუგვარებლობის გამო მისი გადაგზავნა დანიშნულებისამებრ დაგვიანდა. თუ აღნიშნული თესლი სასწრაფოდ არ გადაიგზავნა დასავლეთ საქართველოში მთლიანად, უკვე დახნულ მიწების დიდი რაოდენობა დაუთესავი დარჩება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ტრაქტორების უმრავლესობა მთელ საქართველოში უქმად დგას საწვავი მასალის უქონლობის გამო.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, ტრაქტორების საწვავი მასალა კოლექტივების და მშრომელ გლეხობას უნდა მიეცეს კრედიტათ ერთი წლის ვადით, მაგრამ ვინაიდან „აზნავთი“ ცეკავშირს ნისიათ არ აძლევს საწვავ მასალას, ცეკავშირმა ვერ შესძლო ადგილების უზრუნველყოფა საწვავი მასალით.

საერთოდ ტრაქტორების მომარაგების საქმე საწვავი მასალით მოუგვარებელია და ამ მხრივ ადგილი აქვს თვალსაჩინო დეფექტებს.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე თითქმის ყველგან დიდის წარმატებით ჩატარდა და ამ დღეს მოიხნა ზედმეტი მიწები საგრძნობი რაოდენობით, მაგრამ თესლის მიუწოდებლობის გამო, როგორც დასავლეთ, ისე ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოში, არა თუ ზედმეტათ მოხნული მიწები, არამედ გეგმით გათვალისწინებულ მიწებიც ვერ ითესება. ამ რიგად მოსავლის დღე კარგავს თავის მნიშვნელობას.

ვერც შემკეთებელი სახელოსნოები მუშაობენ დამაკმაყოფილებლად.

„სოფლის კავშირს“ ახალქალაქსა, ახალციხესა და ცხინვალში სასოფლო - სამეურნეო მანქანების სახელოსნოების მოსაწყობად და სხვა რაიონებში არსებულ სახელოსნოების გასაფართოებლად, გადაეცა 40.000 მანეთი. მაგრამ ეს თანხა ვერ იქნა სათანადოთ გამოყენებული.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს ადგილობრივ ორგანიზაციების უმოქმედობა და გულგრილობა თესვის კამპანიისადმი.

ყველა ამ დეფექტების გამოსასწორებლად სახალხო კომისართა საბჭოს და თესვის ჩამტარებელი რესპუბლიკანურ კომისიის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები.

თესლი ჯერ კიდევ არ მიუღიათ ადგილებზე

ქუთაისი, 8 ნოემბერი. თუმცა ამჟამად გაცხოველებულია თესვა, მაგრამ სათესლე მასალა ადგილობრივ ჯერაც არ მიუღიათ. ქუთაისის საადგილმამულო განყოფილებას სოფლის საბჭოებიდან ყოველდღე აურაცხელი დეპეშა მოსდის—თხოულობენ დააჩქარონ სათესლე მასალის გაგზავნა. ჯერ კიდევ თვენახევრის წინად ცენტრიდან მოვიდა ცნობა 248 ტონა მარცვლეულის გადადების შესახებ. როცა ეს რაოდენობა განაწილებულ იქნა რაიონებსა და სოფლის საბჭოებს შორის, მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ, მოუსავლიანობასთან დაკავშირებით, დასავლეთ საქართველოში იგზავნება სათესლე მასალის დამატებითი პარტია—930 ტონა მარცვლეული. ეს დამატებითი პარტიაც განაწილდა სოფლის საბჭოებს შორის, სიები გაეგზავნა ცენტრს, ხოლო ასლი—„სოფლის კავშირ“-ს, რომლის ხაზითაც ჩვეულებრივ ნაწილდება მარცვლეული. მიუხედავად ამისა, თვითონ ცენტრს სტიქიურად, ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად, გაუნაწილებია სათესლე მასალა. მარცვლეული გაუგზავნიათ, მაგალითად, ისეთ რაიონებში, სადაც სრულებით არ იყო საჭირო. ამ რაიონებიდან საჭირო გახდება მისი გადაგზავნა სხვა რაიონებში, ეს კი თესვას შეაფერხებს. ადგილობრივ ჯერ არაფერი მიუღიათ არც იმ პარტიიდან, რომელიც თვენახევრის წინად განაწილდა, და არც მეორე პარტიიდან (ადს).

თათბირი დაწინაურების შესახებ

გუშინ, საღამოს განათლების მუშაკთა სახლში ამხ. ხვანიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა პარტიული თათბირი მუშათა დაწინაურების შესახებ. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მაჩაიძე.

ამხ. მაჩაიძის მოხსენება

— მუშათა დაწინაურების საკითხი,—ამბობს მომხსენებელი,—ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხთაგანია ჩვენს მუშაობაში. საბჭოთა აპარატის წმინდა ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან აყენებს ჩვენს წინაშე საკითხს იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება გავაცხოველოთ მუშათა დაწინაურების საქმე საბჭოთა დაწესებულებებში.

უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებები გველობება წინ. დაწინაურების საქმეში ხშირად ვხდებით არასასურველ მოვლენებს, რომლებიც ამახინჯებენ ჩვენი პარტიის ხაზს ამ საკითხში.

ვინ უნდა აწარმოებდეს მუშათა დაწინაურებას? თავისთავად ცხადია, რომ დაწინაურება უნდა ხდებოდეს პროფორგანიზაციების საშუალებით. დასაწინაურებელი მუშა საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი მუშათა საერთო კრებებზე და მხოლოდ ამის შემდეგ წამოყენებული იქნეს ამა თუ იმ პასუხისმგებელ თანამდებობაზე.

დასაწინაურებელ მუშების შესწავლა მუშათა საერთო კრებებზე არ ხდება; არ სწარმოებს მათი სწორი შერჩევა დასაწინაურებელ თანამდებობისათვის. ასეთი დაწინაურება ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას.

1928 წლიდან დღემდე დაწინაურებულია სულ 190 მუშა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში. ამათში 10 პროცენტი უპარტიოები არიან, ეს რიცხვი სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენ უნდა გავადიდოთ უპარტიოთა რიცხვი. საბჭოთა აპარატის გამუშურებისათვის უნდა გამოვიყენოთ აქტიური, ძველი და გამოცდილი მუშები. უამისოდ ჩვენ ვერ შევსძლებთ აპარატის გაჯანსაღებას.

გარდა ამისა, მუშათა დაწინაურება უმთავრესად ხდება არა პროფორგანიზაციების საშუალებით, არამედ მის, გარეშე. ასე მაგალითად, 190 კაცში მუშათა კრების და საწარმოო თათბირების საშუალებით დაწინაურებულია მხოლოდ 14,4 პროც. დანარჩენი 86 პროც. დაწინაურებულია მასების მონაწილეობის გარეშე. ეს ფაქტი ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ მუშებს არ ვაწინაურებთ სწორად. მუშების დაწინაურებაში არ არიან ჩაბმული მუშათა ფართო მასები და საწარმოო თათბირები. მომავალში ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. მუშათა დაწინაურება უნდა ვაწარმოოთ მუშათა ფართო კრებების და საწარმოო თათბირების საშუალებით, თუ გვინდა, რომ გავწმინდოთ საბჭოთა აპარატი და გაწმენდილთა ადგილებზე წამოვაყენოთ ნამდვილი ძველი, გამოცდილი მუშები, რომლებიც სრული 100 პროცენტით გაამართლებენ პარტიისა და ხელისუფლების ამოცანებს.

დაწინაურებას ხელს უშლიან ზოგიერთი სამეურნეო ორგანოებიც; ხშირია შემთხვევა, როდესაც კავშირის მიერ წამოყენებულ კანდიდატურას ესა თუ ის ორგანიზაციები არ ღებულობენ. მაგალითად, კომუნალურ სახლების სამმართველოს, გამგე ამხ. ენუქიძე, ჩვენ მიერ დაწინაურებულ მუშას არ ღებულობს და ოფიციალურ მომართვაში აღნიშნავს, რომ ამ თანამდებობაზე არის კაცი და ამიტომ არ, შეგვიძლია მივიღოთ სხვა ვინმეო. თემქაში იყო ერთი ადგილი, სადაც დაწინაურებული იქნა მუშა, მაგრამ ქარხნის დირექტორმა განაცხადა, რომ ეს თანამდებობა ზედმეტიაო. ძეხვების ქარხნის გამგე იტყობინება, რომ საწყობების გამგეთ დანიშნულია დემობილიზაციაქმნილი ამხანაგი და ამიტომ არ შეგვიძლია საწყობის გამგეთ მუშის დანიშვნაო. ასეთივე პასუხს იძლევა თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ამხ. ფანცხავა, რომელიც აღნიშნავს, რომ საკურორტო ქვე - განყოფილების გამგე არის დემობილიზაციაქმნილი, რომლის გამოცვლის უფლებაც არ გვაქვსო. აი ის ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იცნობენ დაწინაურების საქმეს.

უნდა აღინიშნოს კიდევ ის გარემოება, რომ ჩვენ პროფორგანოებს დღემდე არა აქვთ სწორი ცნობები იმ აქტიურ მუშების შესახებ, რომლების დაწინაურება შესაძლებელია, ამა თუ იმ თანადებობაზე. ამაში პროფორგანოებმა უნდა აღიარონ თავიანთი შეცდომები და მიიღონ ზომები იმისათვის, რომ მომავალში აამოძრაონ ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუშათა დაწინაურების საქმის გასაუმჯობესებლად.

ამჟამად თბილისში შექმნილია მუშათა ხუთი ბრიგადა. უნდა აღინიშნოს, რომ პროფორგანოებმა ამ ბრიგადის წევრთა შერჩევას ვერ მიაქციეს შესაფერი ყურადღება. ბრიგადებში მეცადინეობა სწარმოებს ქართულ ენაზე, პროფორგანოებმა კი გაგზავნეს ისეთი ხალხი, რომლებმაც სრულებით არ იციან ქართული ენა. გარდა ამისა, ამ ბრიგადებში მოხვდნენ ყოფილი ვაჭრები, მემანქანეები და სხვ.

ერთი მთავარი ნაკლი ჩვენი პროფორგანოებისა კიდევ ის არის, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშა ქალთა დაწინაურების საქმეს. დაწინაურებულ მუშათა შორის ძალიან მცირე რაოდენობას წარმოადგენენ მუშა ქალები, დასაწინაურებელი კადრი კი ქალებში საკმაოდ მოიძებნება. ამ საკითხსაც მომავალში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. მაჩაიძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

დასასრულ, თათბირმა აირჩია კომისია პრაქტიკულ ღონისძიებების შესამუშავებლად. თათბირის მეორე სხდომა შესდგება დღეს საღამოს 6 საათზე იმავე შენობაში.

სოციალიზმის მშენებელთა მოწინავე რაზმების ყრილობა

პირველი და მეორე სხდომა

8 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა მუშათა დამკვრელი ბრიგადების სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მაჩაიძემ.

სოციალისტური მშენებლობა,—სთქვა ამხ. ბ. მაჩაიძემ,—წარმოუდგენელია მუშათა მონაწილეობის გარეშე. თვით მუშათა ბრიგადების წარმოშობის ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებს საკმაოდ კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი როლი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. დღევანდელ ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ მან უნდა გამოააშკარავოს ყველა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებდა დღემდე ჩვენს მუშაობას. ამასთანავე უნდა დავსახოთ ღონისძიებანი, ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ყრილობის დღის წესრიგი

ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ს. მ. უ. ს. მოხსენება 1929-30 წლ. სამეურნეო ამოცანების შესახებ და 3) სოციალისტური შეჯიბრების მდგომარეობა და პერსპექტივები. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სახელით ყრილობაზე მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხ. ლ. ღოღობერიძე.

ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელიწადში

ამხ. ლ. ღოღობერიძის სიტყვა

ჩვენს წინაშე,—სთქვა ამხ. ლ. ღოღობერიძემ,—დღეს დასმულია უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი შემდგომი წინსვლა, აგრარული ქვეყანა ჩვენ უნდა გადავაქციოთ მძიმე ინდუსტრიის ქვეყნად. სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში ჩვენ მრავალი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ეს მიღწევები ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. „დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს!“—აი ჩვენი ლოზუნგი. სახალხო მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობას ჩვენ ხშირად ვადარებთ ომის წინა დროის დონეს. დროა უკუვაგდოთ ასეთი შედარება, და საზომად ავიღოთ კაპიტალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობის დონე. ხუთწლიანი გეგმის პირველმა წელმა დაგვანახვა, რომ ჩვენ თავბრუდამხვევი ტემპით ვქმნით ახალ ქვეყანას, ახალ ცხოვრებას. დღეს საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ 5-წლიან გეგმის შესრულებას ჩვენ 4 წლის განმავლობაში შევსძლებთ, მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ გეგმის შესრულებაში უაღრეს აქტივობას გამოიჩენენ თვით მშრომელები. საბჭოთა მმართველობის სისტემა დამყარებულია მასების თვითმოქმედებაზე, მის მონაწილეობაზე ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენ უდიდეს შედეგებს მივაღწიეთ როგორც ქალაქის მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ჩვენს ხელთ მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ-კავკასიაში და რუსეთში მთელი რაიონები ერთიანდებიან კოლმეურნეობებში. მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნა ჩვენი სიძლიერის საწინდარია. თქვენ იცით, რომ ჩვენ მრავალი მტერი გვყავს. ისინი ყოველ ღონეს მიმართავენ იმისათვის, რომ ხელი შეგვიშალონ მშენებლობაში. არ მოერიდებიან ინტერვენციის განმეორებასაც. ჩვენსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის შეჯახება აუცილებელია, შესვენების პერიოდი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიურად გაძლიერებისათვის (რაც ამავე დროს ნიშნავს სამხედრო ძლიერების ზრდასაც). საბჭოთა კავშირის მშრომელებს საკმაოდ კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი ამოცანები და თავგანწირვით იბრძვიან სამეურნეო ფრონტზე ისევე, როგორც იბრძოდნენ სამხედრო ფრონტზე. გიძღვნით რა მხურვალე სალამს საქ. კომპარტიის ცეკას სახელით, გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

—.—

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ ამხ. **ჯავახიძე** (კომკავშირის ცეკა), **სამოილოვი** (საქ. პროფსაბჭო), **შოგირაძე** (ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი), **პოგორელსკი** (მეტყავეთა კავშირის ცეკა), **ხვედელიძე** (ჭიათურის მუშების), **კოხრეიძე** (ბათომის მუშების), **წიკლაური** (მოჯამაგირეების), **ხაჩიძე** (რკინისგზელების), **ღლონტი** (მშენებელთა კავშირის), **კუდრიავცევი** (სტალინის სახ. ქარხნის) და **თევდორაძე** (ფეიქარ ქალთა სახელით).

ყრილობის დელეგატები

ზევიდან ქვევით—პოიროვსკი (ბათომი), ცუცქირიძე (პერევისა-ჭიათურის რაიონი), გერვიცი (ბათომი), ანისენკო (ბათომი), კუზინოვი (თბილისი), დარაბაძე (ჭიათურა), ხვედელიძე (ჭიათურა), ლებედევი (ბათომი), ნანიკაშვილი (მარელისი), კიკნაძე (მარელისი), ბოცაკი (ბათომი), ჩუმაკოვი (თბილისი), ულენტი (ბათომი), ყრუაშვილი (მარელისი).

ხალხი, რომელსაც არ აშინებს დაბრკოლებები

ბრიგადების წარმომადგენელთა მოხსენებები



მუშათა ბრიგადები 7 ნოემბრის დემონსტრაციაზე.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან (მუშათა ბრიგადების მუშაობის შესახებ). მომხსენებლები აღნიშნავდნენ რა თავიანთ მიღწევებს, ეხებოდნენ იმ დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ მუშათა ბრიგადების ნორმალურ მუშაობას საერთოდ, და კერძოდ სოციალისტური შეჯიბრების სათანადოთ ჩატარებას.

ამხ. ხუდატოვი და ვლადიმიროვი (ამხ. სტალინის სახელობის ქარხანა) აღნიშნავდნენ, რომ მუშათა ბრიგადებს ქარხანაში ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე უხდებოდა მუშაობა. კ. პ. (ბ) უჯრედს და ქარხკომს თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მუშათა ბრიგადების რიცხვობრივად გაზრდისათვის და თუ ბრიგადებს რაიმე მიღწევები აქვს, ეს აიხსნება ბრიგადის წევრთა ინიციატივით და თავდადებული მუშაობით. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როცა ზოგიერთი სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები არამც თუ არ ეხმარებოდნენ მუშათა ბრიგადებს, არამედ ხელსაც უშლიდნენ.

ამის დასასურათებლად სოხუმის კავშირთგაბმულობის ბრიგადის წევრს ამხ. ბუმბურიძეს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: როცა ბრიგადამ ადმინისტრაციას მიმართა თხოვნით — ეწარმოებია ბრიგადის მუშაობის აღრიცხვა, პასუხად მიიღო: „მე ვცნობ მხოლოდ იმ ბრიგადას, რომელიც ჩემი სანქციით იქნება დაარსებული. თქვენ კი თქვენი სოციალისტური შეჯიბრებით მხოლოდ ართულებთ საქმესო“.

თითქმის ყველა ორატორი სჩიოდა იმაზე, რომ მათ არა აქვთ საშუალება შეამოწმონ მუშათა ბრიგადების მუშაობის შედეგები, რადგან ადმინისტრაცია არ აწარმოებს სოციალისტურ შეჯიბრების საშუალებით მიღწეულ შედეგების აღრიცხვას. ეს კი ანელებს იმ ენტუზიაზმს, რომლითაც გამსჭვალული არიან სოც. შეჯიბრებაში ჩაბმული მუშები.

მიუხედავათ ამ დაბრკოლებებისა, მუშათა ბრიგადებს მაინც მრავალი მიღწევები აქვთ წარმოების რაციონალიზაციის, პროდუქციის თვითღირებულების დაკლების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, უვარგისი პროდუქციის შემცირების და სხვა საქმეში, მაგ. ბათომის თამბაქოს ფაბრიკა „აღმოსავლეთ“-ში შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 26,7 პროცენტით, მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ქარხნის მღუნავთა საამქროში—27 პროც.-ით; 26 კომუნარის სახ. ქარხანაში პარკის სახმობი მანქანის თვითღირებულება სოციალისტური შეჯიბრების დაწყებამდე უდრიდა 180 მანეთს, ეხლა კი 130 მანეთს და სხვ. მოხსენებები ადგილებიდან გაგრძელდა 8 ნოემბრის საღამოს სხდომაზეც.

მესამე სხდომა

გუშინდელ დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. პევცოვის მოხსენება 1929-30 წლის სამეურნეო ამოცანების შესახებ და ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება სოციალისტურ შეჯიბრების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ.

1929-30 წლის სამეურნეო ამოცანები

(ამხ. ი. პევცოვის მოხსენება)

როცა ჩვენ შევიმუშავეთ ხუთწლიანი გეგმა, აქა-იქ გაისმოდა უნდობლობის ხმები. ეს ხმები ეკუთვნოდა არა მარტო ჩვენს მტრებს,

—:—

არამედ სამეურნეო ორგანოების ზოგიერთ მუშაკებსაც. მაგრამ განვლილმა წელმა დაგვანახვა, რომ 5 წლიან გეგმას რეალური საფუძველი აქვს. ჩვენ შევსძელით ოპტიმალური გეგმის შესრულება 4 პროცენტის გადაჭარბებით. რასაკვირველია, გეგმის ასე წარმატებით შესრულება ნაწილობრივად აიხსნება იმ ენტუზიაზმით, რომელიც გამოიჩინეს მასებმა და რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სოციალისტურ შეჯიბრებაში. როგორი ამოცანები გვაქვს დასახული ჩვენ 1929-30 წლისათვის? ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ამ წელს საერთო პროდუქციის ზრდა ნავარაუდევია 20,2 პროცენტით, ამავე წლის საკონტროლო ციფრები კი ითვალისწინებს ზრდას 32-35 პროცენტით. ხუთწლიანი გეგმით მიმავალ წელს მძიმე ინდუსტრიის ზრდა ნავარაუდევია 23 პროცენტით და მსუბუქი ინდუსტრიის კი 17 პროცენტით, ხოლო საკონტროლო ციფრები კი ითვალისწინებენ: მძიმე ინდუსტრიის ზრდას 42 პროცენტით და მსუბუქი ინდუსტრიის 22 პროცენტით; ამიგად, როგორც ვხედავთ, გეგმა კი არ აღმოჩნდა უსაფუძვლო, არამედ უნდობლობის ის ხმები, რომლებიც გაისმოდა ამ გეგმის შედგენის დროს. ამჟამად ცალკე რესპუბლიკებში უკვე აყენებენ საკითხს 5 წლ. გეგმის გადასინჯვის შესახებ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მუშათა კლასის ძლიერი აქტივობა 5 წლიან გეგმას 4 წლის განმავლობაში განახორციელებს. 1929-30 წელში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო თანხა მრეწველობაში გათვალისწინებულია 21.800.000 მანეთის რაოდენობით. (ე. ი. 9.500,000 მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელში). თუ მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება გასულ წელში უდრიდა 56 მილიონ მანეთს, იგი მიმდინარე წელში გაიზრდება 94 მილ. მან-დე. ცხადია, მრეწველობის ზრდა გამოიწვევს მუშათა რიცხვის ზრდასაც (ყოველწლიურად დაახლოვებით 2,000-2,500 კაცით). ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მხოლოდ კაპიტალური დაბანდებებით. ჩვენს ამოცანას შეადგენს ამ რესურსების რაციონალურად გამოყენება. დღეს ადგილი აქვს კიდევ ისეთ მდგომარეობას, როცა პროდუქციის თვისობრივად გაუმჯობესება ჩამორჩება მის რაოდენობით ზრდას. საწარმოო თათბირებმა და მუშათა ბრიგადებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და ეცადონ ამ „მაკრატელის“ წვერების დაახლოვებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მრავალი დაბრკოლებების მიუხედავად ხელისუფლება იმედოვნებს, რომ სამეურნეო გეგმა შესრულებული იქნება მთლიანად. ამ იმედს საფუძვლად უდევს რწმენა, რომ მუშათა კლასი საკმაო ინიციატივას გამოიჩენს ამ გეგმის განსახორციელებლად და ამით დააჩქარებს სოციალიზმის მშენებლობას.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

(ოქტომბრის მეთორმეტე წლის თავისათვის)

უკანასკნელი წლის განმავლობაში (1928—1929 წელი), ისე, როგორც წინად, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო კაპიტალისტურ მსოფლიოსა და ჩვენს შორის ძალთა განსაზღვრულ განწყობილების საფუძველზე დამყარებული „შესვენების“ პერიოდის გასანგრძლივებისაკენ, რათა შესაძლებლობა გვქონოდა შედარებით მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობისათვის, სანამ ორი საწინააღმდეგო სოციალ-ეკონომიური და სახელმწიფოებრივი სისტემა ძალაუნებურად არსებობს ერთი მეორის გვერდით. ამ მიზნით ჩვენი მთავრობა ერთი მხრით, აწარმოებდა მშვიდობიანობის იდეის ენერგიულ პროპაგანდას, მეორე მხრივ—ეკონომიურ ურთიერთობას ამტკიცებდა ბურჟუაზიულ ქვეყნებთან.

ამ მხრივ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია საბჭოთა მთავრობის გამოსვლა განიარაღების საკითხის ირგვლივ. როგორც ცნობილია, სრული, საყოველთაო და ერთდროული განიარაღების საბჭოთა პროექტი იმპერიალისტებმა თავის დროზე ერთხმად უარყვეს, რის შემდეგ ჩვენ წარვადგინეთ ნაწილობრივი განიარაღების წინადადება. მისი განხილვა განიარაღების მეხუთე სესიამ, „უდროობის გამო“, გადასდო თავის მეექვსე სესიისათვის. უკანასკნელის მოწვევას განზრახ ძალზე აჭიანურებდნენ, ერთი მხრით, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამო, მეორეს მხრით იმისათვის, რომ იმპერიალისტებს თავიდან აეცილებიათ მათთვის არა სასიამოვნო საბჭოთა პროექტის გარჩევა, რაც ერთხელ კიდევ ფარდას ახდიდა მათ ავაზაკურ ბუნებას.

გ. წ. 5 დეკემბერს ამხ. ლიტვინოვმა განიარაღების კომისიის თავმჯდომარე ლოუდონს მიმართა წინადადებით, სადაც გადაჭრით მოითხოვა ხსენებული სესიის სასწრაფოდ მოწვევა და მასზე განიარაღების შემცირების საბჭოთა პროექტის განხილვა. ამავე დროს ფართო მასების უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა ჟენეველ „განმაიარაღებელთა“ სრული უმოქმედობის გამო. ამიტომ ისინი ბოლოს და ბოლოს იძულებულნი შეიქნენ განიარაღების მეექვსე სესია მოეწვიათ. სესია ჟენევაში მიმდინარეობდა 1929 წ. 15 აპრილიდან 6 მაისამდე. ამხ. ლიტვინოვმა აქ პირდაპირ დასვა საკითხი, სურთ თუ არა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს განიარაღების შემცირება და, მაშასადამე, საბჭოთა პროექტის მიღება. ამ კითხვაზე მან მოითხოვა მკაფიო პასუხი. ჟენეველმა მოლაყბეებმა, რამდენიც არ ეცადნენ ისინი მიკიბულ-მოკიბული გზით ჩვენი დელეგაციის წინადადებისათვის გვერდის ავლას და თავისი ნამდვილი პოზიციის დამალვას, ვერაფერი მოახერხეს. მათ უკუაგდეს ჩვენი პროექტი და ამით საქვეყნოდ ნათელყვეს, რომ ისინი არა განიარაღების, არამედ შეიარაღების საქმეს ემსახურებიან.

ამის შემდეგ ამხ. ლიტვინოვს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა დეკლარაციის გამოქვეყნება იმპერიალისტების მიერ განიარაღების საქმის ჩაფუშვის შესახებ. საბჭოთა დელეგაციამ ჟენევაში შეუბრალებლად ამხილა მათი თვალთმაქცობა და მზადება ომისათვის. მისმა გამოსვლებმა უეჭველად ხელი შეუწყვეს მშრომელ მასების გათვითცნობიერებას და მათ ამოძრავებას ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის საფრთხის წინააღმდეგ.

⁂

იმპერიალისტები ხშირად ცდილობენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას თავისი ცრუ-პაციფისტური ჟესტები დაუპირდაპირონ. ასეთი იყო, მაგ. კელოგის პაქტი. თავის დროზე საბჭოთა მთავრობის დეკლარაციაში და ჩვენს პრესაში ამ პაქტმა შესაფერი დახასიათება ჰპოვა, და მას ეხლა არ განვიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ კელოგის პაქტის რატიფიკაცია მეტად გააჭიანურეს თვით მის ხელის მომწერ იმპერიალისტურ მთავრობებმა. მათ არ მოიწადინეს თავის თავზე იმ ყოველმხრივ შეკვეცილი სიტყვიერი ვალდებულების დაკისრებაც კი, რომელიც ამ პაქტიდან გამომდინარეობს. მხოლოდ გასულ ზაფხულზე მოხდა მისი დამტკიცება. ამავე დროს საბჭოთა კავშირმა იგი იმ თავითვე დაადასტურა. კიდევ მეტი: ჩვენმა მთავრობამ გ. წ. 29 დეკემბერს წინადადება მისცა ვარშავას, რათა საბჭოთა კავშირის და პოლონეთის ურთიერთობაში კელოგის პაქტი დაუყოვნებლივ შესულიყო ძალაში, ე. ი. მის საყოველთაო რატიფიკაციამდე. ჩვენი წინადადების მიღება თუ არ მიღება პოლონეთის მიერ რამოდენიმედ მაინც გამოაშკარავებდა მის ზრახვებს საბჭოთა კავშირის მიმართ. საბჭოთა მთავრობა ფიქრობდა პაქტის გარშემო მოლაპარაკებას რომ მისი რატიფიკაცია პოლონეთის მიერ გამოეყენებია ერთ-ერთ მომენტად აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის საკითხის აქტიურად დაყენებისათვის.

პოლონეთი ჩვენმა წინადადებამ „უხერხულ“ მდგომარეობაში ჩააგდო. ერთი მხრით, მას არ შეეძლო მასზე ხელაღებით უარის თქმა, რამდენადაც კელოგის პაქტი მასზე ხელის მოწერით მან ფორმალურად თითქოს თავის საგარეო პოლიტიკის „საფუძვლად“ აღიარა. ამ შემთხვევაში პოლონეთის მესვეურები ნიღაბს ჩამოიფხრეწდნენ. პოლონეთი დაადგა საქმის გაჭიანურების გზას. ჯერ მან მოიმიზეზა ის, რომ მას თითქოს უფლება არ ქონდა მოეხდინა პაქტის რატიფიკაცია, სანამ ამ ნაბიჯს მასზე დანარჩენი ხელის მომწერნი არ გადადგამდნენ. როცა საბჭოთა მთავრობის პასუხმა ამ „არგუმენტის“ სრული უსაფუძვლობა ცხადყო, ვარშავამ წამოაყენა წინადადება, რომ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირთან ერთად პაქტის რატიფიკაცია მოეხდინა ბალტიის ქვეყნებს და რუმინეთსაც. ფორმალურად ამ აზრს იგი იმით ასაბუთებდა, რომ საჭიროა სამშვიდობო მოლაპარაკების ბაზის გაფართოება (პილსუდსკის პოლონეთი მშვიდობიანობის დამცველის როლში!), ნამდვილად კი მისი მიზანი იყო ისევ საკითხის გადადება, ხოლო თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, ამ მოლაპარაკების გამოყენება ბალტიის ქვეყნებისგან თავისი ხელმძღვანელობით ანტისაბჭოთა ბლოკის ორგანიზაციისათვის. მაგრამ ამ მანევრმაც ვერ გასჭრა. საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა პაქტის საერთო რატიფიკაციაზე, მაგრამ ისე კი, რომ ინიციატივა ამ საქმეში ბოლომდე შეინარჩუნა და პოლონეთს თავის განზრახვის გატარების საშუალება მოუსპო. ყოველივე ამის შემდეგ ა. წ. 9 თებერვალს პოლონეთი იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა ე. წ. მოსკოვის ოქმზე კელოგის პაქტის ძალაში შესვლის შესახებ. მასთან ერთად ხელი მოაწერეს ესტონეთმა, ლატვიამ და რუმინეთმა. შემდეგ მას შეუერთდა ლიტვა, ოსმალეთი და სპარსეთი. ამგვარად, საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივა გამარჯვებით დასრულდა.

ამან იმ ხანებში გარეგნულად მაინც შეამსუბუქა აღმოსავლეთ-ევროპაში დამძიმებული ატმოსფერა.

⁂

რა თქმა უნდა, მოსკოვის ოქმს, რომელსაც ვარშაველმა იმპერიალისტებმა მხოლოდ იძულებით მოაწერეს ხელი, არსებითად არ შეუცვლია მათი ანტისაბჭოთა პოლიტიკა. თუ იმ ხანებში მისი გარეგნული გამოხატულება ცოტათი მიიჩქმალა, სამაგიეროდ შემდეგში კვლავ გაძლიერდა პოლონეთის გამოსვლები ჩვენს წინააღმდეგ. პოლონეთის შიგნით პირველ ყოვლისა ეს გამოიხატა კონტრ-რევოლუციური ემიგრაციის აშკარა მფარველობით. კერძოდ, ყველას თვალწინ გვიდგას საბჭოთა კავშირის მშრომელთა მრისხანე პროტესტები პოლონეთის მთავრობის მიმართ, რომელმაც წყალწაღებულ ქართველ მენშევიკებს დემონსტრატიულად სოლიდარობა გამოუცხადა. ამავე დროს პოლონელი ავანტიურისტები კვლავ განაგრძობდნენ ანტი-საბჭოთა ბლოკის შეკოწიწების ცდას. ამას წინადაც ზალესკიმ ახალი ნაბიჯი გადადგა რუმინეთის და უნგრეთის მოსარიგებლად, რათა უკანასკნელის მხრივ ზურგგამაგრებულ რუმინეთს ხელფეხი გაეხსნა ჩვენს წინააღმდეგ აგრესიულ მოქმედების შემთხვევაში. გარდა ამისა, პოლონეთი აძლიერებს სამხედრო მზადებას, რაც, გერმანიასთან ერთად, ცხადია, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული.

თავის თავად იგულისხმება, რომ მარტო პოლონეთი ვერ გაბედავდა ასეთი აქტივობის გამოჩენას, რომ მას ამ შემთხვევაში მფარველობას არ უწევდნენ. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს საფრანგეთი. ოფიციალურად ჩვენ მასთან თითქოს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მის მესვეურებს ნიღაბ-აუფარებელი ანტისაბჭოთა პოლიტიკა აწარმოონ. საფრანგეთის მთავრობა ამარაგებს პოლონეთს იარაღით და სხვა სამხედრო მასალით. ის ხელმძღვანელობს მის არმიის რეორგანიზაციას, პოლონეთში სამხედრო სიმაგრეების აგებას და სხვ. ამავე დროს მისი გენერლები მოგზაურობენ საფრანგეთის სხვა ვასალურ სახელმწიფოებშიაც ჩვენზე გამოლაშქრებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. „პან ევროპის“ შექმნის იდეაც, რომელიც „მშვიდობიანობის მოყვარულმა“ ბრიანმა წამოაყენა, თავისი ერთი მახვილით მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბრიანი ამას არც მალავს. ტარდიეს რეაქციონური კაბინეტი, რომელიც ამ დღეებში შესდგა, ნიშნავს არა მარტო შეტევის გაძლიერებას მუშათა კლასზე, არამედ საფრანგეთის იმპერიალისტური ექსპანსიის გაძლიერებასაც, კერძოდ საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული პოლიტიკის უფრო აქტივიზაციას. ყოველივე ამაზე ჩვენი ქვეყნის მშრომელები და თვით საფრანგეთის მუშათა კლასი სათანადო პასუხს გასცემენ.

⁂

საფრანგეთის ასეთი პოლიტიკა ნაწილობრივ გავლენას ახდენს გერმანიაზედაც. უკანასკნელი ბოლო ხანებშიც დიდ მერყეობას იჩენს ჩვენთან დამოკიდებულებაში. მართალია, გ. წ. 26 ნოემბერს განახლდა შეწყვეტილი ეკონომიური მოლაპარაკება და 21 დეკემბერს დაიდო სათანადო ხელშეკრულებები, აგრეთვე ხელმოწერილ იქნა (1929 წ. 21 იანვ.) და დამტკიცებული (12 აპრილს) კონვენცია სადაო საკითხების შეთანხმებით გადაწყვეტის შესახებ. მაგრამ შემდეგ იწყება ქანაობა. უნდა ითქვას, რომ გერმანიაში ყოველთვის იყვნენ საკმაოდ ძლიერი ჯგუფები (რეხბერგი და კომპანია), რომელნიც ჩვენთან დამოკიდებულების გამწვავებას და მის ჩაშლასაც კი მოითხოვდნენ. სხვათა შორის, ახლახან გამოქვეყნდა ცნობა იმ საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც გერმანელი ნაციონალისტები 1926-27-28 წლებში აწარმოებდნენ საფრანგეთსა და ინგლისთან ანტისაბჭოთა ფრონტის ორგანიზაციის მიზნით. მაგრამ ბოლო დრომდე ამ ჯგუფებს ფართო გასაქანი არ ქონდათ და ისინი ვერ აღწევდნენ თავის გეგმების რეალიზაციისათვის თვალსაჩინო შედეგების მომცემ პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას. უკანასკნელად მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება.

გერმანიამ მცირეოდენ დათმობებს მიაღწია ვერსალის ზავის პირობების შემსუბუქების საკითხში. უცხოეთის კრედიტებისა და მუშათა კლასის უსაზღვრო ექსპლოატაციის საშუალებით გერმანიის ბურჟუაზია [illegible] რამოდენიმედ განმტკიცდა. ის კვლავ დაადგა იმპერიალიზმის გზას. ხოლო ვინაიდან გერმანია ჯერ კიდევ ძალზე სუსტია საფრანგეთსა და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებთან შედარებით, რომ მათ პირადად შეებრძოლოს, იქ ძლიერდება მოძრაობა, რათა მათთან შეთანხმების გზით მიღწეულ იქნას გერმანიის ბურჟუაზიის ზრახვები. ერთ-ერთ მთავარ პირობად ამისათვის კი უნდა იყოს გერმანიის მიმხრობა ანტისაბჭოთა ბლოკისადმი.

ამავე დროს გერმანიის ზოგიერთ სამრეწველო წრეებში ჩვენ ვხედავთ უკმაყოფილებას ჩვენთან ვაჭრობის შედეგებით, თუმცა მისი განვითარებისათვის საბჭოთა მთავრობა სათანადო ზომებს ღებულობს, რამდენადაც ამას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ინტერესები მოითხოვენ. ჩვენ მეტი შემოგვაქვს გერმანიიდან, ვიდრე უკანასკნელს საბჭოთა კავშირიდან გააქვს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნიან ჩვენთან ალებ-მიცემობის გაშლისათვის (მაღალ ტარიფების შემოღება, ბრძოლა საბჭოთა ასანთის განსადევნად და სხვ.). საქმე ის არის, რომ გერმანიის ბურჟუაზიას გაუცრუვდა იმედი, რომ ჩვენთან ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენით ის მიაღწევდა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ სისტემის გარდაქმნას კაპიტალიზმის მიმართულებით, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას და საბჭოთა კავშირის გადაქცევას გერმანიის კაპიტალის აგრარულ დამატებად. აქედან თავი იჩინა ძალით ჩვენი დამორჩილების მიდრეკილებამ.

აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს აგრეთვე კლასთა ბრძოლის გამწვავება გერმანიაში (და საერთოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში). „საკუთარი“ პროლეტარიატის დამონებას ბურჟუაზია საბჭოთა კავშირის დამხობას უკავშირებს. გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომელსაც ნიადაგი ეცლება მუშათა კლასში, ამ აზრის განმტკიცებას უწყობს ხელს და ის ყველაზე აქტიურად გამოდის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაგრამ არიან გერმანიის ბურჟუაზიაში წრეებიც, რომელთაც საჭიროდ მიაჩნიათ ჩვენთან ნორმალური განვითარების შენარჩუნება, როგორც პირობა ქვეყნის ეკონომიური და საერთაშორისო პოზიციების გაძლიერებისა. გერმანიის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ ამ მიმართულებათა ბრძოლით ხასიათდება. ჩვენ ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური ამ ბრძოლის განვითარებას.

⁂

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ დამოკიდებულება ინგლისთან. განვლილი წელიწადი აღინიშნება შუბლმაგრების ანტისაბჭოთა პოლიტიკის სრული გაკოტრებით. მათ ვერ მიაღწიეს საბჭოთა კავშირის იზოლიაციას და მის წინააღმდეგ მთლიანი იმპერიალისტური ფრონტის ორგანიზაციას. სამაგიეროდ ამით გააღრმავეს ინგლისის ეკონომიური კრიზისი. ეს პოლიტიკა გახდა მათი დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.

30 მაისის საპარლამენტო არჩევნებმა „ძალა-უფლება“ „მუშათა“ პარტიას გადასცა. მისი გამარჯვება ბევრად აიხსნება იმითაც, რომ მან წამოაყენა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლების ლოზუნგი, რომელიც პოპულიარულია არა მარტო მუშათა მასებში, არამედ საქმიან წრეების უდიდეს ნაწილშიაც.

მაგრამ ბოლო დრომდე მაკდონალდის მთავრობა აჭიანურებდა ამ დაპირების განხორციელებას; ის ამ საკითხში მიდიოდა კონსერვატორების გზით. ჰენდერსონმა ჩვენთან დამოკიდებულების აღდგენის პირობად წამოაყენა სადაო საკითხების წინასწარ გადაჭრის მოთხოვნა. ამნაირად მას უნდოდა ზეგავლენის მოხდენა ამ საკითხების განხილვის დროს ინგლისის კაპიტალის სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, ეს პრეტენზია გადაჭრით იქნა უარყოფილი. ჩვენი თვალსაზრისი ცნობილია, ის ჩამოყალიბებულ იქნა მთავრობის სახელით ამხ. პიატაკოვის მიერ ინგლისის მრეწველთა დელეგაციასთან საუბარში: ჯერ დამოკიდებულების განახლება, შემდეგ მოლაპარაკება.

„მუშათა“ მთავრობა იძულებული შეიქნა თავისი პირვანდელი მოთხოვნა უკან წაეღო და აღნიშნულ ფორმულაზე დათანხმებულიყო. ესაა შედეგი ინგლისის მუშათა კლასში უკმაყოფილების ზრდისა მაკდონალდის ხსენებული პოლიტიკით, ამ ქვეყნის სამეურნეო გაჭირვებისა და მრეწველობის ცხოველი დაინტერესებისა ჩვენთან ურთიერთობის აღდგენით.

თემთა პალატამ ხმების უმრავლესობით ხუთ ნოემბერს მიიღო რეზოლიუცია ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის და მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ეს უეჭველად საბჭოთა კავშირის დიდი გამარჯვებაა. ახლა მთავარია მოლაპარაკება იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებიც ინგლისის ბურჟუაზიას და მის „მუშურ“ მთავრობას სადაოდ მიაჩნიათ. აშკარაა, ინგლისის იმპერიალიზმის ერთგული დამცველი „სოციალისტი“ მინისტრები შეეცდებიან ჩვენზე მიუღებელ პირობების თავზე მოხვევას. მაგრამ თუ დღემდე ასეთი ცდები უნაყოფოდ რჩებოდა, მით უმეტეს ეხლა, როცა ჩვენ ყოველ მხრივ გაცილებით უფრო მძლავრი ვართ, ასეთი ცდები მეტი მარცხით დამთავრდებიან. ინგლისის „მუშათა“ მთავრობისათვის ეს საიდუმლოებას არ უნდა წარმოადგენდეს.

⁂

წარმატებით ვითარდება ეკონომიური ურთიერთობა ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თუ ომამდე ამერიკაზე საბჭოთა იმპორტში დაახლოებით 6 პროცენტი მოდიოდა, 1926 — 27 წელს მისი ხვედრითი წონა შეადგენდა 20,4 პროც., 1927 — 28 წ. — 19,9 პროც. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში წინა წლის პირველ ნახევრის ოდენა საქონელი იქნა შემოზიდული. ამერიკას ჩვენს იმპორტში უკავია მეორე ადგილი (გერმანიის შემდეგ). ბოლო ხანებში დაიდო მრავალი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ამერიკასთან, მაგ., ელექტრო-კამპანიასთან 45 მილიონ მანეთის მოწყობილობის ხანგრძლივი კრედიტის მიღებაზე, ფორდის ფირმასთან საბჭოთა კავშირში საავტომობილო წარმოების ორგანიზაციაზე და სხვ. საყურადღებოა აგრეთვე მთელი რიგი ხელშეკრულებანი ტექნიკურ დახმარების შესახებ.

მაგრამ ამერიკა ამით არ კმაყოფილდება, ვინაიდან მისი მრეწველობის პროდუქცია გამსაღებელ ბაზრების დიდ სივიწროვეს განიცდის. ამიტომაა, რომ ამერიკის საქმიანი წრეების ინტერესი ჩვენთან ეკონომიურ ურთიერთობის გაფართოებისადმი თანდათან იზრდება. ამან, სხვათა შორის, გამოხატულება ჰპოვა ამერიკის სამრეწველო - სავაჭრო ფირმების დელეგაციის ჩამოსვლაში მიმდინარე წელს. ამერიკის საქონლის ექსპორტის (სხვადასხვა მანქანები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის) თვალსაჩინოდ გაძლიერება შეიძლება, ამ ქვეყნის კაპიტალს დიდი ასპარეზი ეშლება აგრეთვე ჩვენს საკონცესიო საწარმოებში მონაწილეობის სახით. ამავე დროს თვით ამერიკას ესაჭიროება ჩვენი მრავალი საქონელი. (დღეს საბჭოთა ექსპორტში ამერიკას 3,6 პროც. უკავია. ომამდე გაცილებით ნაკლები იყო —0,9 პროც.). მაგრამ ყოველივე ამას ხელს უშლის პირველ ყოვლისა პოლიტიკურ - უფლებრივი ბაზის უქონლობა ეკონომიური დამოკიდებულების გაშლისათვის. ამერიკის მთავრობა გაურბის ჩვენთან დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენას; მიუხედავად დაინტერესებულ საქმიან წრეების მოთხოვნისა. გარდა პოლიტიკურ მოსაზრებებისა აქ, ცხადია, მცირე როლს არ თამაშობენ სასოფლო მეურნეობასთან დაკავშირებული კაპიტალისტები, რომელთაც ამერიკაში ჩვენი სოფლის პროდუქციის ექსპორტის ზრდის ეშინიათ.

ამერიკის მმართველი წრეები ბოლო ხანებში თავს იკავებდნენ რაიმე აშკარა ანტი - საბჭოთა ნაბიჯის გადადგმისაგან. მაგრამ უკანასკნელად გავხდით ისეთი ფაქტის მოწმენი, როგორიცაა სტიმსონის საიდუმლო მემორანდუმი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ: ვაშინგტონი შეეცადა ამ გზის ხელში ჩაგდებას მისი „ნეიტრალიზაციის“ სახით. მაგრამ უშედეგოდ. ასეთი გამოსვლები, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობენ მხარეთა შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას. ამერიკის ეკონომიკის მთლიანად დადებული ინტერესები აუცილებლად მოითხოვენ ჩვენთან დიპლომატიური დამოკიდებულების განახლებას და ამ გზით ალებ - მიცემობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობების შექმნას.

⁂

ჩვენ ზევით შევეხეთ ამერიკის ნაბიჯს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საკითხში. უდავოა, რომ ნანკინ - მუკდენის ბანდიტების თავდასხმა ამ გზაზე ამერიკელ და სხვა ქვეყნების იმპერიალისტების წაქეზებით მოხდა. მათი მიზანი იყო არა მარტო ხსენებულ გზის დაუფლება, არა მარტო საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გართულებით სარგებლობა ჩინეთის დასამონებლად, არამედ, რაც მთავარია, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის ჩაბმა პროვოკაციულ ომში და მისი არსებობისათვის ლახვარის ჩაცემა.

მაგრამ ამ პროვოკაციამ ვერ გასჭრა. საბჭოთა მთავრობამ ამ კონფლიქტთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ საჯაროდ უჩვენა ყველას თავისი უაღრესი მშვიდობისმოყვარეობა. ამასთან ზედმეტჯერ გამოაშკარავდა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები თავის მთავრობასთან არიან და რომ მათ შესწევთ ძალა შრომის რესპუბლიკის დასაცავად ყოველგვარ თავდასხმებისაგან. ჩვენი წითელი არმია მედგრად სდგას საბჭოთა საზღვრების სადარაჯოზე ჩინელ ავანტიურისტების პროვოკაციულ გამოსვლების ალაკვეთად.

რა მოიგეს თავისი ავაზაკური აქტით თვით ჩინელმა მილიტარისტებმა? ნანკინის განზრახვა იყო თავის გარშემო მოეხდინა შინაურ ძალთა მობილიზაცია, გაეთამაშებია ჩინეთის „განმანთავისუფლებელის“ როლი „საბჭოთა იმპერიალიზმისაგან“ და ცოტათი მაინც განემტკიცებია თავისი ბოლომდე შერყეული პრესტიჟი ჩინეთის ფართო მოსახლეობის თვალში, რომელიც კარგად ხედავს, რომ ჩან-კაი-შის ბატონობის შედეგად იმპერიალისტები ისევ ბრძანებლობენ ჩინეთში და ქვეყნის შინაური ეკონომიურ - პოლიტიკური მდგომარეობა ძალზე აწეწილია. ამასთან, მის მიზანს შეადგენდა ანტი - საბჭოთა ავანტიურით იმპერიალისტურ ძალების გულის მოგება და მათგან რაიმე დათმობის გამოთხოვა.

სინამდვილეში ყველა ეს უბადრუკი ანგარიში მთლიანად ჩაიფუშა. ნანკინელთა თავდასხმა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე იმპერიალისტებმა თავის პრივილეგიების შესანარჩუნებლად გამოიყენეს. ამავე დროს ხსენებულ რკინის გზის მეურნეობა მთლად დაინგრა. ჩინეთ - საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტამ ჩინეთის ვაჭრობას აურაცხელი ზიანი მიაყენა. ნანკინის ირგვლივ შინაგან ძალთა თავმოყრის მაგივრად გაჩაღდა გენერლების ბრძოლა და გაძლიერდა რევოლუციონური მოძრაობა. ყოველივე ამის შემდეგ მუკდენი იძულებული ხდება ჩვენთან კონფლიქტის შეთანხმებით მოგვარების გზას დაადგეს. ჩიხში მოქცეული ნანკინი კი, ერთის მხრივ, უცხო ძალის ჩარევას ცდილობს კონფლიქტში, ხოლო მეორე მხრით კვლავ განაგრძობს პროვოკაციულ თავდასხმებს და საბჭოთა მოქალაქეების დევნას. ჩინელ მილიტარისტების ბლოკის დაშლა, ჩინეთის მასების ამოძრავება, წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ ბანაკში და საბჭოთა კავშირის სიმტკიცე იმის საწინდარია, რომ ჩინელ ავანტიურისტების სრული მარცხით დასრულდება ეს „წამოწყება“.

⁂

ჩინეთში ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაცია ერთ - ერთი გამოხატულებაა იმ საერთო ბრძოლისა, რომელსაც იმპერიალისტები ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებენ. მიღწევები ხუთწლიან გეგმის გატარების დარგში, ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში კაპიტალისტურ მსოფლიოს სულ უფრო უკარგავს წონასწორობას, ვინაიდან ჩვენი გამარჯვება მის აღსასრულს ნიშნავს. ამიტომ იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობენ, სანამ კიდევ უფრო არ განვმტკიცებულვართ, ჩაშალონ ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობა და მოამზადონ ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებული გამოლაშქრება.

კაპიტალიზმის ისედაც მერყევი სტაბილიზაცია, როგორც ეს იმ თავითვე ცხადი იყო, სულ უფრო ირყევა. მწვავე ხასიათს ღებულობს ცალკე იმპერიალისტურ ქვეყნების მეტოქეობა ბაზრებისათვის. კლასობრივი ბრძოლა თანდათან უფრო მწვავდება. მუშათა კლასის ექსპლოატაციამ უკიდურესობამდე მიაღწია. პროლეტარიატი, რომელსაც თვალწინ უდგას საბჭოთა კავშირის მაგალითი, გამოდის ფართო და გადამწყვეტ ბრძოლის გზაზე კაპიტალის ბატონობის დასამხობად.

ყოველივე აქედან გამოსავალს იმპერიალისტები ხედავენ პირველ ყოვლისა განთავისუფლებულ პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის დამხობაში. აქეთკენაა მათი გულისყური მიმართული. საბჭოთა კავშირის მშრომელნი ამ ცდებზე უპასუხებენ, სამშვიდობო პოლიტიკის გაგრძელებასთან ერთად, თავდაცვის უნარის განმტკიცებით და სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო გაძლიერებით. ამ ბრძოლაში მათ ზურგს უმაგრებენ საერთაშორისო მუშათა კლასი და კოლონიების ჩაგრულთა მილიონები. სხვათა შორის, ამას მოწმობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მათი ურიცხვი დელეგაციების დენაც ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად და საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი თავისი პროლეტარული სოლიდარობის გამოსახატავად.

გ. კ—ლი.

სოციალისტურ შეჯიბრების ფრონტზე

დაიწყო სოც. შეჯიბრების ახალი ხელშეკრულებების დადება

სოც. რაციონალიზაცია--თვითღირებულების შემცირების საფუძველია

სოციალისტური შეჯიბრება ჭიათურაში ნელი ტემპით მიმდინარეობს

სოც. შეჯიბრების დეფექტები

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმებამ ნათელჰყო ის გარემოება, რომ მასების თვითმოქმედების ეს ფორმა საუკეთესო საშუალებაა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად და საერთოდ ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნისათვის.

სოც. შეჯიბრებამ ფართოდ გაშალა თვითკრიტიკა და გააძლიერა მუშათა ინიციატივა წარმოების რაციონალიზაციისათვის. პოლიტიკურ სამეურნეო ხელშეკრულება მთელ რიგ საწარმოებში გადაჭარბებით იქნა შესრულებული; გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, შემცირდა თვითღირებულება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა და სხვ. ასეთივე მიღწევები აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას ჩვენი მეურნეობის სხვა დარგებშიაც და მუშათა გათვითცნობიერების საქმეშიც.

მაგრამ შეჯიბრების შედეგების შემოწმებიდან გამოაშკარავდა, რომ მრავალ მიღწევებთან ერთად შეჯიბრებას თან სდევს მრავალი ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლის შეჯიბრების ფართოდ გაშლას და აფერხებს წარმოების რაციონალიზაციას. ერთი მთავარი ნაკლი სოც. შეჯიბრებისა ის არის, რომ ბევრ ადგილას შეჯიბრება მუშათა ფართო მასების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს. შეჯიბრების საკითხები არ ისმებოდა მუშათა საერთო კრებებზე, პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულება არ ირჩეოდა წინასწარ თვით მასის მიერ და ამიტომ ხშირად იგი არ ეგუებოდა წარმოების ხასიათს და სამეურნეო-საწარმოო გეგმას. ბევრ ადგილას შეჯიბრებაში გამოწვევა ხდებოდა კაბინეტურად. მუშათა ფართო მასებმა, რომლებმაც უშუალოდ უნდა შეასრულონ ხელშეკრულებაში აღნიშნული პირობები, გამოწვევის შესახებ არაფერი იცოდნენ. ასეთი შეჯიბრება, რასაკვირველია, ვერ მიაღწევდა თავის დანიშნულებას.

იგივე ითქმის ზოგიერთი წარმოების ადმინისტრაციაზე და ინჟინერ-ტექნიკოსებზე. მუშათა შემმოწმებელ ბრიგადებმა აღმოაჩინეს აუარებელი ფაქტები იმისა, რომ ადმინისტრაცია და ინჟინერ-ტექნიკოსები სუსტ მონაწილეობას იღებენ შეჯიბრებაში. ამის მაგალითად მუშათა შემმოწმებელ ბრიგადამ ხაშურში აღმოაჩინა, რომ ადმინისტრაცია და ინჟინერ-ტექნიკოსები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ შეჯიბრებას და არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევდნენ მუშებს შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად. ინჟინერ-ტექნიკოსებს არ გამოუცხადებიათ ინდივიდუალური შეჯიბრებათ წარმოება ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე და მუშათა კვალიფიკაციის აწევის ირგვლივ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხაშურის თითქმის არც ერთ საწარმოებში არ არის ჩამოყალიბებული მუშათა დამკვრელი ბრიგადები.

შეჯიბრება ფართო მასიური კამპანიაა სოციალისტურ მშენებლობის განსამტკიცებლად, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დასაჩქარებლად, სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაციის გასაფართოებლად და მშრომელთა ფართო მასების კულტურულ დონის ასამაღლებლად. ამიტომ არც ერთი მუშა, არც ერთი ადმინისტრატორი და არც ერთი ინჟინერ-ტექნიკოსი არ უნდა დარჩეს შეჯიბრებაში მონაწილეობის გარეშე. ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ დიად სოციალისტურ წამოწყებაში და რაც შეიძლება მეტი პოპულარული გახადოს პარტიის ეს ლოზუნგი. პროფორგანოების ამოცანა უნდა იქნეს იმის გამორკვევა, თუ ვინ რა გააკეთა სოციალისტურ შეჯიბრების გასატარებლად და ვინ უშლის ხელს ამ საქმეს.

ვ. ნ—ლი.

შეჯიბრება წიგნის გამომცემლობების შორის

საქ. სახელგამმა შეჯიბრებაში გამოიწვია ბელორუსიის, უზბეკისტანის, თურქესტანის, აზერბეიჯანის და სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობები

სახელგამის პირობები

1. წიგნების ფასის მაქსიმალური შემცირება ხარჯების ფაქტიური შემცირების გზით, მაგრამ არა ნაკლებ 15 პროცენტისა 1928 წელთან შედარებით;
2. მასიური პოპულიარული ლიტერატურის ტირაჟის, სახელწოდებათა და ფურცლების რიცხვის გადიდება 30 პროცენტით 1928 წელთან შედარებით;
3. ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურის სახელწოდებათა და ფურცლების საერთო რიცხვის გადიდება 50 პროცენტით 1928 წელთან შედარებით;
4. წიგნების საუკეთესო მხატვრულ-ტექნიკური გამოცემა წინა წლების გამოცემებთან შედარებით;
5. „წიგნის მეგობართა საზოგადოების" შექმნის გზით ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმა ლიტერატურის მასიური გავრცელების საქმეში;
6. წიგნის დამტარებელთა ინსტიტუტის შექმნა იმ ვარაუდით, რომ ერთი სასოფლო საბჭოზე მოდიოდეს ერთი დამტარებელი.

შეჯიბრების შედეგები უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვითი სიტყვის დღეს, ე. ი. 1930 წლის 5 მაისს „პრავდა"-ში და ადგილობრივ ცენტრალურ გაზეთში.

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობის პასუხი

გამოწვევას ჯერ-ჯერობით გამოეხმაურა სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა.

„ვიღებთ საქართველოს სახელგამის სოციალისტურ შეჯიბრებაში გაწვევას,—ნათქვამია სომხეთის სახელგამის პასუხში,—და წინადადებას ვიძლევით პირობებს დაემატოს შემდეგი მუხლები:

1. სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების მთელი ასი პროცენტის თავის დროზე დამზადება და მიწოდება;
2. საწყობების განტვირთვა მაკულატურისაგან ლიტერატურის ნარჩენის გაიაფებისა და გავრცელების გზით;
3. 1929-30 წლების გამოცემათა ნარჩენი არ უნდა აღემატებოდეს ყველა სახელწოდების მთელი ტირაჟის ათ პროცენტს;
4. შეჯიბრების შედეგთა შემოწმება ხდება 1930 წლის სექტემბრის დამლევს, ვინაიდან შეჯიბრების ყველაზე უფრო ინტენსიური მუშაობა ოცდამეათე წლის გაზაფხულსა და ზაფხულს ხდება".

ამ დამატებითი პირობებიდან საქართველოს სახელგამმა მიიღო პირველი ორი პირობა.

რა მოგვცა შეჯიბრებამ

ჭიათურა, 9 ნოემბერი. ჭიათურის და ნიკოპოლის შავი ქვის მაღაროებს შორის შეჯიბრება, მაგრამ შეჯიბრება ჭიათურაში ნელის ნაბიჯით მიმდინარეობს. აქ არსებობს მხოლოდ 5 დამკვრელი ბრიგადა, რომლებშიაც 88 კაცი ითვლება. მასები სუსტად არიან ჩაბმულნი ინდივიდუალურ შეჯიბრებაში, მიზეზი ის არის, რომ ახსნა-განმარტებითი კამპანია ცუდად იქნა ჩატარებული. არ მოიპოვება სპეციალური ფონდი პრემიების მისაღებად, ჯილდოებს პროფკავშირის სახსრებიდან არიგებდნენ. მიუხედავათ ამ დეფექტებისა, სოციალისტური შეჯიბრების წყალობით, არის მიღწევებიც. თვითღირებულება შემცირდა 18 პროცენტით, შავი-ქვის ამოღება გადიდდა 19 პროცენტით. 1928—29 წლის გეგმით, გათვალისწინებული იყო 600.000 ტონა შავი-ქვის გარეცხა, ფაქტიურად კი, სოც.შეჯიბრების წყალობით, გაირეცხა 630.000 ტონა. ხარისხითაც ეს შავი-ქვა წინანდელზე მაღლა სდგას. განახლდა მუშაობა 10 მაღაროში და ამჟამად მუშაობა 21 მაღაროში სწარმოებს. მუშაობის გაცდენა 0,8 პროცენტით შემცირდა. მაგრამ მუშები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ საწარმოო თათბირებს, ამ თათბირებს მუშების მხოლოდ 20 პროცენტი ესწრობა. თათბირების 245 წინადადებიდან განხორციელებულ იქნა მხოლოდ 102 წინადადება. ეკონომია 867.045 მანეთს უდრის. 735 მანეთის პრემია მიეცა 3 კაცს. პრემიის მისაღებად წარდგენილია 20 სხვა კაცი. ადმინისტრაცია მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებს საწარმოო თათბირების წინადადებებს. არ მოიპოვება იარაღისა და საჭირო მასალის საკმაო რაოდენობა. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების გასადიდებლად საწარმოო თათბირმა დაადგინა: უფრო ფართოდ იქნას ჩაბმული მასები ინდივიდუალურ შეჯიბრებაში, გადიდებულ იქნას დამკვრელი ბრიგადების რიცხვი, ჩაბმულ იქნან სოციალისტურ შეჯიბრებაში ტექნიკური ძალები, წინადადება მიეცეს ადმინისტრაციას—შექმნას სპეციალური ფონდი პრემიების გასაცემად, უზრუნველჰყოს აგრეთვე იარაღისა და მასალის დროზე მიწოდება; სათანადო დონეზე დააყენოს შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა, ამისთვის უფრო დაწვრილებით უნდა ჩამოყალიბდეს სოციალისტური შეჯიბრების შესახებ დადებულ ხელშეკრულებათა ის მუხლები, რომლებიც შეეხებიან შრომის ნაყოფიერების გადიდებას, თვითღირებულების შემცირებას და შრომის დისციპლინის აწევას. ამასთან შემოღებულ უნდა იქნას სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ წერილების გზავნა ნიკოპოლის მაღაროებში და იქიდან პასუხების მიღება, რასაც დღემდე ადგილი არ ჰქონია (ადს).

დავალება გადაჭარბებით განხორციელდა

ქუთაისი, 8 ნოემბერი. რადგან სოციალისტური შეჯიბრება წარმატებით მიმდინარეობდა და მუშათა კოლექტივი შეთანხმებულად მუშაობდა, და რადგან გაძლიერებულ იქნა მადნის დამუშავება, რასაც ბარიტის ახალი საბუდოების აღმოჩენა მოჰყვა, ბარიტის ამოღებამ 1928 — 29 წელს 204,4 პროცენტს მიაღწია. **გეგმით განზრახული იყო 8.000 ტონას ამოღება, ხოლო ამოღებულ იქნა 17.259 ტონა. ბარიტის თვითღირებულება 23 პროცენტით შემცირდა. საგრძნობლად გადიდდა შრომის ნაყოფიერება.** ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება 1927 — 28 წელს დღე-ღამეში 127 კილოგრამს უდრიდა, 1928 — 29 წელს კი 404 კილოგრამს უდრის.

წარმოებასთან დაახლოებისა და დამუშავების კონცენტრაციის მიზნით, ქუთაისიდან 27 კილომეტრის მანძილზე გაიხსნა სამადნო საწარმოო კანტორა. იქვე აგებულ იქნა სახლი, ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალისათვის, გაიხსნა სასადილო და კოოპერატივი, მუშებისათვის. სამადნოსთან მუშებისთვის აგებს 4 ბარაკი. აუმჯობესებენ სამთო ტრანსპორტს, ახლო მომავალში დამთავრდება საბაგირო ხაზის გაყვანა, რაც მადნის გადაზიდვას 300 პროცენტით გააიაფებს. რაიონზე ორი ბორანი მოეწყო.

ქუთაისის ბარიტის წისქვილში და სამადნოზე წარმატებით მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებას აშკარა წარმატება მოჰყვა: აგვისტოში თითო მუშის შრომის ნაყოფიერება დღე-ღამეში 433 კილოგრამს უდრიდა, სექტემბერში კი —579 კილოგრამს; აგვისტოში გაცდენილ იქნა 159 სამუშაო დღე, სექტემბერში კი—68 დღე. შეჯიბრების წყალობით, ბარიტის წისქვილში თვითეული წევრის მიერ პროგრამის გარეშე გამომუშავებული ბარიტის რაოდენობა 2 ტონას უდრიდა. (ადს).

შეჯიბრება ქაღალდზე დარჩა

საქ. ს. მ. უ. საბჭო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბეიჯანის სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ. საქ. ს. მ. უ. საბჭომ ეკონომკომისიის და ადმინისტრაციის საშუალებით გამოიმუშავა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც განხილულ იქნა ეკონომ-კომისიის გაფართოებულ თათბირზე და დამტკიცების შემდეგ, 17 აგვისტოს ხელშეკრულება ხელმოსაწერათ გადაეგზავნა აზერბეიჯანის სახ. მეურნეობის საბჭოს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოს არ უცნობებია რა ბედი ეწვია გადაგზავნილ ხელშეკრულებას, ამის გამო საქ. ს. მ. უ. საბ. დღემდე არ გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები ხელშეკრულების განსახორციელებლად.

გარდა ამისა, საქ. ს. მ. უ. საბჭოს სტატ. განყოფილებისა და საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შორის დადებული იქნა სოც. შეჯიბრების ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა ორთავე მხარემ, მაგრამ ამით ჯერ არაფერი გაკეთებიათ ხელშეკრულების განსახორციელებლად. ისე, რომ სოციალისტური შეჯიბრება აღნიშნულ დაწესებულებებში მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. სინამდვილეში ამ მხრივ სრულებით არაფერი გაკეთებულა.

ასეთი საქმიანობით შორს ვერ წავალთ. ადგილობრივმა პროფორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

ი. ლ.

განუწყვეტელი საწარმოო კვირა შემოღებულია საქართველოს უმეტეს წარმოებებში

განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლა ყველგან წარმატებით მიმდინარეობს

მუშები ესალმებიან განუწყვეტელი კვირის შემოღებას

როგორ ხდება განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა

განუწყვეტელი საწარმოო კვირაზე გადასვლის კამპანია საქართველოში ფაქტიურად დაიწყო აგვისტოს შუა რიცხვებიდან. ამავე ხანებში დაარსებულ იქნა განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემომღები ცენტრალური რესპუბლიკანური კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა რეფორმის გატარებას მთელ რესპუბლიკაში. რესპუბლიკანური კომისიის დაარსებამდე განუწყვეტელი მუშაობის შემოღებას ხელმძღვანელობდნენ ცალკე უწყებებთან გამოყოფილი კომისიები, რომლებიც შემდეგში გაუქმებულ იქნენ.

წარმოებებში განუწყვეტელი მუშაობის შემოღებამდე, ჩატარებულ იქნა ახსნა-განმარტებითი კამპანია, რომლის დროსაც მუშა-მოსამსახურეებს აცნობდნენ ახალი რეფორმის პრინციპებს და იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს განუწყვეტელი კვირის შემოღებას ერთის მხრივ თვით მუშების შრომის რაციონალურათ გამოყენებისა და მეორეს მხრივ, 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის სწრაფი განხორციელების თვალსაზრისით.

მუშები ყველგან იწონებდნენ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლას და მოითხოვდნენ ახალი რეფორმის დაუყოვნებლივ გატარებას ცხოვრებაში.

აგვისტოსა და სექტემბერში განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე უკვე გადაყვანილი იყო 70-ზე მეტი წარმოება. განუწყვეტელი მუშაობის შემოღების შემდეგ საგრძნობლად შემცირდა სამუშაო დროის გაცდენის შემთხვევები და ზრდა დაეტყო შრომის ნაყოფიერებას. პირველ ხანებში წარმოებებში შემოღებული იყო ზოგგან 7 დღიანი და ზოგან 6 დღიანი განუწყვეტელი კვირა, მაგრამ ოქტომბრის დასაწყისიდან ყველა წარმოებები გადავიდნენ 5 დღიან საწარმოო კვირაზე. მხოლოდ ზოგიერთ ისეთ წარმოებებში, სადაც 5 დღიანი განუწყვეტელი კვირის შემოღება რაიმე მნიშვნელოვან დაბრკოლებათა გამო არ აღმოჩნდა მიზანშეწონილი, დროებით დატოვებულ იქნა 7 და 6 დღიანი კვირა.

განუწყვეტელი კვირა საბჭოთა დაწესებულებებში

საბჭოთა დაწესებულებების უდიდესი ნაწილი გადავიდა განუწყვეტელი საწარმოო კვირაზე. საქმის წარმოება, მოსულ ქაღალდებზე პასუხის გაცემა და სხვადასხვა საკანცელარიო ოპერაციები თავის დროზე და დაუგვიანებლივ სწარმოებს. იმ დაწესებულებებში, სადაც კოლეგიალური მმართველობაა, დაწესებულია კოლეგიის წევრების მორიგეობა ისეთი ვარაუდით, რომ ყოველ 5 დღეში კოლეგიის ყველა წევრები ერთი მეორეს შეხვდნენ და საშუალება ექნეთ სხდომის გამართვისა.

განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასულ საბჭოთა დაწესებულებებში ჯერ-ჯერობით მოუგვარებელია მხოლოდ დაბალი მოსამსახურე პერსონალის მუშაობის წესი. კერძოთ, გამოურკვეველ მდგომარეობაშია შიკრიკებისა, დარაჯებისა და დამლაგებლების მუშაობის საკითხი. ზოგიერთ დაწესებულებებში მუშაობს ერთი დარაჯი, რომელიც ამავე დროს ასრულებს შიკრიკისა და დამლაგებლის მოვალეობასაც. ამიტომ ძნელი ხდება, რომ ასეთ თანამდებობაზე მომუშავემ დაისვენოს ყოველ 5 დღეში ერთხელ და ამავე დროს მის მაგიერ იმუშაოს. ამჟამად ამ საკითხს ამუშავებენ ცალკე დაწესებულებებთან არსებული რაციონალიზაციის ბიუროები და სულ მოკლე ხანში ეს საკითხიც მოგვარდება.

ვინ გადავიდა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე

განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემომღები რესპუბლიკანურ კომისიის ცნობით მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბრამდე განუწყვეტელი 5 დღიანი საწარმოო კვირა შემოღებული იყო შემდეგ წარმოებებში.

მშენებლობის დარგში — ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლის, თბილისში თამბაქოს ტრესტის საწყობის, ფოსტა-ტელეგრაფის შენობის, პურის ქარხნის, სამთო-ქიმფაკულტეტის, ნატახტარის წყალსადენის კასპის ცემენტის ქარხნის სამუშაოები და სხვა.

სულ განუწყვეტელ კვირაზე გადასულია 18 ახალი სააღმშენებლო სამუშაო. განუწყვეტელი მუშაობა შემოღებული არაა მხოლოდ 16 სააღმშენებლო სამუშაოზე.

სააღმშენებლო მასალათა მრეწველობაში—თბილისში 7 აგურის ქარხანაში, სამტრედიის აგურ-კრამიტის ქარხანაში, ქუთაისის და მოწამეთის კირის ქარხნებში, თბილისის აღმასკომის გრანიტის ქარხანაში და სააღმშენებლო ქვების სატეხ კარიერზე ხარაგოულში.

განუწყვეტელი მუშაობა არაა შემოღებული ახალ-სენაკის, ცხინვალის, შორაპნის და ქსანის აგურ-კრამიტის ქარხნებში.

სამთო-ქიმიურ მრეწველობაში განუწყვეტელ მუშაობაზე გადასული არიან — შროშის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანა, ქუთაისის ბარიტის წისქვილი, გუმბრინის ქარხანა, გუმბრინის მადნების სამუშაოები, ბარიტის მადნის ამოსაღები სამუშაოები, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, დიატომიტის სამუშაოები სოფ. ქისატიბში (ახალც. მაზრა), ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა (მაღაროები და ქარხნები) და „ლაბომომარაგების" ცენტრალური ლაბორატორია. რეფორმა გაუტარებელია — გლაუბერის მარილის მრეწველობაში, ლითოგრაფიული ქვების სამუშაოებზე, ბათომის ქიმიური საღებავების ფაბრიკაში და სახურავი ფიქალის სამუშაოებზე.

სატყეო მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო კვირა შემოღებული არ არის წარმოებათა უმრავლესობაში. 1-ლი ნოემბრისათვის განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებდა შამგონის სახერხ ქარხანაში, ყულევის და ფოთის სახერხ ქარხნებში, მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკაში და ხარისთვალის ქარხანაში. რეფორმა გაუტარებელია გაგრის, კოდორის ხულოს, ქობულეთის, ქუთაისის და თბილისის სახერხ ქარხნებში, ბორჯომის სატკეჩ ქარხანაში და ბათომის ხის დამმუშავებელ ფაბრიკაში. სატყეო მასალათა დამამზადებელ სამუშაოებზე რეფორმა არსად არაა განხორციელებული.

ლითონის მრეწველობაში განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს — თბილისის სპილენძის სატკეც ქარხანაში და 26 კომუნარების სახელობის ქარხანაში. ამჟამად განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასასვლელათ ემზადება ქარხანა „თემქა".

ტრანსპორტის ხაზით განუწყვეტელი კვირა შემოღებულია მხოლოდ საზ-ბა „ზაკავტოპრომტორგის" წარმოებებში. რეფორმა ნაწილობრივ გატარებულია აგრეთვე ნავთსადგურებში.

გარდა საწარმოებისა ამჟამად განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასული არიან ყველა სახალხო კომისარიატების ცენტრალური აპარატები, კოოპერატიული ორგანიზაციები, თბილისის სავაჭრო ქსელი, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიო-კავშირი, კინო-თეატრები, საავადმყოფოები, ამბულატორიები და სხვ.

ნოემბრის 1-ლიდან განუწყვეტელ მუშაობაზე გადავიდნენ დანარჩენ დაწესებულებათა უმეტესი ნაწილი.

8 ნოემბერს კომკავშირელმა მუშებმა თბილისში ჩაატარეს დიდი შაბათობა—პურის ტვირთების გადმოტვირთვა „ხლებოპროდუქტის" საწყობში. სურათზე—გადმოტვირთვის მომენტი.

სადგ. სვირში მომხდარ მკვლელობის გარშემო

ორი მეგობრის ხსოვნას

5 ნოემბერს სადგურ სვირში რკინის გზის დამცველ რაზმის მსროლელმა ლომინაძემ მოკლა ინჟ. **კოტე ფერაძე** და **ანტონ (ტუტუშა) ჯაფარიძე**. აღარ არის ჯან-ღონით სავსე ტუტუშა. ტუტუშას და კოტეს მოკვლით უღირსმა ადამიანმა ორი საუკეთესო ძალა მოსწყვიტა სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეს.

ტუტუშა ჯაფარიძე მოღვაწეობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. ის ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა საქ. წყალთა სამმართველოში როგორც ინჟინერი მელიორატორი, რომლის მოღვაწეობა ასე სასარგებლო და საჭირო იყო გლეხების მეურნეობისათვის, მაგრამ უბრალო შემთხვევამ ის მოსწყვიტა თავის საყვარელ საქმეს. ტუტუშა ჯაფარიძე და კოტე ფერაძე უკულმართი ხელის მიერ გასროლილი ტყვით განგმირულნი დაეცენ სოციალისტურ აღმშენებლობის საგუშაგოზე. ტუტუშა, სადაც კი მას შეუხვდებოდა სამუშაოდ ყოფნა, ყველგან ენერგიულად და სიყვარულით ეკიდებოდა თავის მოვალეობას. ის იცნობდა მუშების წრეს, მან იცოდა ამხანაგური და მეგობრული მიდგომა მუშებისადმი.

კოტე ფერაძეს იცნობენ ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრიდან. ის თავდადებით მუშაობდა ფაკულტეტის და სტუდენტთა საკეთილდღეოთ. კოტე ღრმად იყო დაჯილდოებული საზოგადოებრივი მუშაობის უნარითაც. ის კურსის დასრულებამდე ითვლებოდა ფაკულტეტის სტუდენტთა ტექნიკური სამეცნიერო წრის თავმჯდომარედ, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი თვითვე იყო. კოტესაგან ხშირად გაიგონებდით ჩივილს ჩვენი ფაკულტეტის მოუწყობლობაზე, მაგრამ ის უიმედობას არასოდეს არ ეძლეოდა. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი პოლიტექნიკური ფაკულტეტის მნიშვნელობა საბჭოთა აღმშენებლობისათვის.

ასეთი იყვნენ კოტე და ტუტუშა. სპეციალისტთა მასა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა დამწუხრებულია, მეგობრებო, თქვენი ტრაგიკული სიკვდილით. თქვენს დაობლებულ ცოლ-შვილს პატრონად და ნუგეშად ეყოლება საბჭოთა ხელისუფლება. თქვენი თავდადებული მუშაობა და ენტუზიაზმი მუდამ მაგალითი იქნება ყველა საბჭოთა სპეციალისტებისათვის.

გ. რუხაძე.

ლომინაძე სასტიკად და სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს

ასეთია რკ. გზ. დამცველ რაზმის ერთსულოვანი მოთხოვნა

გუშინ, 9 ნოემბერს, რკინის გზის დაცვის კლუბში შესდგა ა.-კ. რკ. გზის დაცვის სამმართველოს და დაცვის მეორე რაიონის მსროლელების და უფშემადგენლობის საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა ინფორმაცია ინჟინერ ჯაფარიძის და ფერაძის დაღუპვის შესახებ.

კრებაზე გამოსული მსროლელები აღშფოთებით მოითხოვდნენ მსროლელ ლომინაძის სასტიკათ დასჯას, რომელმაც ჩაიდინა უმსგავსო ბოროტმოქმედება. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„ა.-კ. რკინის გზების დაცვის სამმართველოს და მე-2 რაზმის მსროლელთა და უფშემადგენლობის გაერთიანებულ კრებამ, მოისმინა რა ინფორმაციული მოხსენება სად. სვირში 5 ნოემბერს მომხდარ მკვლელობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მსროლელ ლომინაძის მიერ ჩადენილი დანაშაული, ინჟინერ ფერაძის და ჯაფარიძის მკვლელობა აჭარბებს ჩვეულებრივ დანაშაულებას. ასე მხეცურად გასწორება მოქალაქეებთან, სწიხლავს საბჭოთა სამხედრო წესდებებს და დებულებებს და სახელს უტეხავს რევოლიუციონურ კანონებს. იმ დროს, როდესაც პარტია და ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ხმარობს შექმნას ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრი იმ ძნელი ამოცანის შესასრულებლად, რომელიც დასახული გვაქვს ხუთწლიანი გეგმით, ორი ინჟინერის ასე ვერაგულად მოკვლა ნიშნავს მიუტევებელ დანაშაულს ხელისუფლების წინაშე და შეიძლება ჩათვლილ იქნეს, როგორც მავნებლობა ჩვენი მეურნეობის მიმართ.

კრება გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ამ უმსგავსო შემთხვევის გამო და მოითხოვს რკინის გზის დამცველ რაზმის უღირსი წევრის ლომინაძის სასტიკად და სამაგალითოდ დასჯას".

ნეშტების ჩამოსვენება

გუშინ დილით თბილისში ჩამოასვენეს სად. სვირში მოკლული ინჟინრების —ანტონ ჯაფარიძის და კოტე ფერაძის ნეშტები. ცხედრებს თბილისში ჩამოყვნენ განსვენებულთა ნათესავები და ჭირისუფლები.

თბილისის სადგურზე ცხედრებს შეხვდნენ საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები, პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები და განსვენებულთა მეგობრები. სადგურიდან პროცესია გაემართა რუსთაველის პროსპექტისაკენ. ცხედრები დაასვენეს სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში.

სამოქალაქო პანაშვიდი

გუშინ საღამოს სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის დიდ დარბაზში, სადაც დასვენებულია ინჟ. ჯაფარიძის და ფერაძის ცხედრები, შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ პროფესიონალური კავშირების, მთავრობის ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამოქალაქო პანაშვიდი გაიხსნა ამხ. გ. ვაშაძის სიტყვით, რომელმაც ილაპარაკა საქ. მთავრობის სახელით და მწუხარება გამოსთქვა ინჟ. ჯაფარიძისა და კ. ფერაძის ტრაგიკულათ დაღუპვის გამო. ამხ. ვაშაძემ ამასთანავე განაცხადა, რომ მთავრობამ უკვე მოახდინა განკარგულება მკვლელობის სასწრაფოდ გამოძიების შესახებ და დასძინა, რომ მკვლელი მიიღებს სათანადო სასჯელს.

საქ. პროფსაბჭოს სახელით ილაპარაკა ამხ. გ. ანთიძემ, რომელმაც პროფესიონალური კავშირების სახელით მოითხოვა მკვლელის სასტიკად დასჯა. დაღუპულთა ვინაობის ვრცელი დახასიათებით გამოვიდა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ზ. გოგია და საქ. ინჟინერ-ტექნიკოსთა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე ინჟ. კორინთელი. ილაპარაკეს აგრეთვე მიწა-ტყის მუშათა კავშირის, ინჟინერ-ტექნიკოსთა სექციის, სოფ. საქარის გლეხების, სტუდენტთა ორგანიზაციების და სოფ. ობჩის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა.

სოფ. საქარისა და ობჩის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს ორივე დაღუპული სპეციალისტების დამსახურება და განაცხადეს რომ მათი სოფლები ამაყობდნენ ასეთი შვილებით. ორატორებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ აჯამეთის სარწყავ არხს, რომლის აღდგენასაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს განსვენებულებმა, ეწოდოს ინჟ. ჯაფარიძისა და ფერაძის სახელი.

პანაშვიდზე უკრავდა სიმებიანი ორკესტრი.

დამკრძალავი კომისიის სხდომა

გუშინ შესდგა დაღუპული ინჟინრების დამკრძალავი კომისიის სხდომა ამხ. ბ. მაჩაიძის თავმჯდომარეობით. კომისიამ გადასწყვიტა ინჟ. ჯაფარიძე და კ. ფერაძე დაკრძალულ იქნენ ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, დიდუბეში, დაკრძალვის ხარჯები იკისრა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ.

ცხედრებს გამოასვენებენ სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბიდან დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე. დაღუპული ინჟინრები დაკრძალული იქნებიან ერთ აკლდამაში.

დაკრძალვა

ტრაგიკულად დაღუპულ ინჟ. ჯაფარიძისა და კ. ფერაძის ცხედრების დაკრძალვა მოხდება დღეს, 10 ნოემბერს. გამოსვენება დღის 1 საათზე სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბიდან (რუსთაველის პრ., 19).

საქ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალური ბიურო მოუწოდებს ყველა სტუდენტობას მონაწილეობა მიიღოს სამგლოვიარო პროცესიაში.

დაღუპულთა ოჯახების უზრუნველყოფა

საქ. ინჟინერ-ტექნიკოსთა ცენტრალურმა ბიურომ შუამდგომლობა აღძრა დაღუპულ ინჟ. ან. ჯაფარიძის და კონ. ფერაძის ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ. განსვენებულებს დარჩათ მცირეწლოვანი ბავშვები.

ახალი კოლმეურნეობები

ქუთაისი. კოლექტივიზაციის დღესთან დაკავშირებით ხონის რაიონში დაარსდა 16 ახალი კოლექტიური მეურნეობა, რომელთაგან ორი მეფუტკრეობის კოლექტივია, ორი — მებრეშუმეობის და შესდგება ქალებისაგან, დანარჩენი 12 კი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივია. ყველა ეს კოლექტივები აერთიანებენ 131 ჰექტარ მიწას და 264 კომლს.

ამ ახალი კოლმეურნეობების 62 წევრი კომუნისტებია.

რა აფერხებს საბჭოს თავმჯდომარე-ქალთა მუშაობას

(თემსაბჭოს თავმჯდომარე ქალების თათბირი)

მშრომელ ქალთა დაწინაურებამ საბჭოების საპასუხისმგებლო სამუშაოზე პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა მიმდინარე წელში ჩატარებულ საბჭოთა არჩევნების დროს. მთელ რიგ თემებში სათემო აღმასკომების თავმჯდომარეებად არჩეულ იქნა მშრომელი ქალები. მოსახლეობის ერთი ნაწილი და განსაკუთრებით კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტები, ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში ქალების არჩევას მტრულის თვალით შეხვდნენ. საბჭოთა ხელისუფლების მტრები ყოველი ძალ-ღონით სცდილობდნენ ახლად დაწინაურებულ ქალების მუშაობისათვის ხელის შეშლას, პროვოკაციის გავრცელებას, რომ ქალები ვერ შესძლებდნენ თემაღმასკომებში მუშაობას და სხვა.

მიუხედავად ასეთი ხელისშემშლელი პირობებისა, საბჭოს თავმჯდომარეებად არჩეული ქალები ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას. თემსაბჭოების მუშაობის გამოკვლევის დროს დადასტურდა, რომ ის თემაღმასკომები, რომელთა თავმჯდომარეებად ქალები მუშაობენ, არაფრით არ ჩამორჩებიან და ზოგიერთი მათგანი უკეთაც მუშაობენ იმ თემაღმასკომებზე, სადაც მამაკაცები არიან არჩეულნი.

თემსაბჭოს თავმჯდომარე ქალებისთვის მოეწყო ერთთვიანი კურსები, სადაც მათ გაატანეს საბჭოს მუშაობის პრაქტიკული საკითხები და უმაღლეს ორგანოების დირექტივები საბჭოთა მუშაობის ხაზით. ამ დღეებში თბილისში დამთავრდა საბჭოს წევრ-ქალების ყრილობა.

იმის გამოსარკვევად, თუ რა მიღწევები აქვთ თემსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ქალებს და არ უშლის მათ ხელს მუშა-ში, 5 ნოემბერს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში ამხ. დ. ქურულორიას თავმჯდომარეობით შესდგა თემსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ქალთა თათბირი, თათბირზე თავიანთ მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენებები გააკეთეს ბოსლევის, საზანოს, ხაზუმეს, ორთაბათუმის თემსაბჭოს თავმჯდომარეებმა და ხონის სარაიონო აღმასკ[illegible] თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. იამანიძემ.

დარაიონების გატარებამდე ამბობს ამხ. **იამანიძე**, მე ვმუშაობდი გუბის თემაღმასკომის თავმჯდომარედ. საბჭოს უკანასკნელ არჩევნებამდე თემში აღმშენებლობითი მუშაობა 1923 წლის შემდეგ ძალზე სუსტად სწარმოებდა. უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში მუშაობა საგრძნობლად გაცხოველდა. შევაკეთეთ გზები, ხიდები, აღმასკომის შენობა, საბჭოსთან ჩამოყალიბებული გვქონდა ოთხი სექცია, ყველა მათგანში საბჭოს წევრებს გარდა მუშაობდნენ სოფლის აქტივიც. მაზრიდან ხელმძღვანელობა კარგი იყო. მუშაობაში ხელს მიშლიდა ერთ-ერთი პარტიული ამხანაგი, რომელიც პარტწმენდის დროს გარიცხეს პარტიიდან როგორც ინტრიგანი, თემში მთლიანად აკრეფილია სასოფლო-სამეურნეო და სახ. დაზღვევის გადასახადები. თემსაბჭოს მუშაობის გამოკვლევას დროს ჩემი მუშაობა მოიწონეს და ამის შემდეგ დამაწინაურეს სარაიონო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც ამავე დროს განვაგებ საადგილ-მამულო განყოფილებას.

ამხ. **შოგირაძე** (ხაზუმეს სას. საბჭო), ჩემი არჩევის პირველ ხანებში მამაკაცები ერთი ნაწილი ეჭვის თვალით მიცქეროდა. ისინი არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ქალი შესძლებდა საბჭოში მუშაობას და თემის საქმეების ხელმძღვანელობას, მაგრამ შემდეგში ეს ეჭვები თანდათან გაიფანტა. ჩემი მუშაობის დროს გავიყვანეთ შვიდი კილომეტრის მანძილზე გზა, შევაკეთეთ ხიდები, ავაშენეთ კლუბი, გვაქვს სამკითხველო, გლეხკომმა გააცხოველა მუშაობა, მაზრიდან ხელმძღვანელობაა. თემსაბჭოს სხდომაზე ვისმენთ სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის ანგარიშს და ვაძლევთ დირექტივებს შემდგომი მუშაობისათვის. ჩავაბარე მუშაობის ანგარიში გლეხობის საერთო კრებას. ამჟამად მშრომელი გლეხობა ძალზე მადლიერია თემსაბჭოს მუშაობით და პირადათ ჩემი მუშაობითაც.

ამხ. **ბარამიძე** (ორთაბათუმის თემი, აჭარისტანი). ჩემი არჩევის პირველ დღეებში სამაზრო აღმასკომიდან მპირდებოდნენ დახმარების გაწევას და საქმიან ხელმძღვანელობას. მიუხედავად ამისა, არავითარ ხელმძღვანელობას არ მიწევენ, მაზრის მუშაკებმა თემის გზაც კი არ იციან, ერთხელაც არ მოსულა ინსტრუქტორი. ჩვენი თემი დიდია, მასში 25 სოფელი შედის. ყველა სოფელში გვაქვს სკოლა. მოწაფეების ნახევარს ქალიშვილები შეადგენენ. გვაქვს ჭრა-კერვის შესასწავლი სკოლებიც. ეხლა ვხსნით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებს. გლეხობასთან მჭიდროდ დაკავშირების მიზნით საბჭოს პლენუმის სხდომებს ვიწვევდით სოფლებში, რომელსაც ადგილობრივი გლეხობაც ესწრებოდა და საკითხების განხილვაში იღებდა მონაწილეობას. საბჭოს წევრებათ თემში 15 ქალია, რომლებიც ესწრებიან სხდომებს და შეძლებისდაგვარად მუშაობენ. თუ გვინდა აჭარელი ქალთა გააქტივება, მათ დაწინაურებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. სინამდვილეში კი ეს ასე არ ხდება. ბათომში კურსებზე გაგზავნილი გვყავდა ოთხი ქალი, რომლებიც კურსების დამთავრების შემდეგ არ გამოიყენეს მუშაობაში. აჭარელ ქალებისადმი ასეთი უყურადღებობა ძალზე გვიშლის ხელს ქალთა შორის მუშაობაში. მშრომელი გლეხობა და პარტიული ორგანიზაცია ჩემი მუშაობით კმაყოფილია.

საინფორმაციო მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე ამხ. **ზ. მიქაბერიძემ** (ბოსლევის თემსაბჭოს თავმჯდომარე), ამხ. **ჩუბინიძემ** (საზანოს თემსაბჭოს თავმჯდომარე) და ამხ. **ხახუტურიანმა** (ახალქალაქის მაზრიდან), ყველანი თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდნენ ხელმძღვანელობის სისუსტეს, ამა თუ იმ ინტრიგანების მიერ მუშაობაში ხელის შეშლას, საორგანიზაციო ხარჯების სიმცირეს და სხვ.

ამხ. **არეშიძე** (ეწერის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე). საბჭოთა სექციების დაჯილდოების დროს ჩვენი თემის საგზაო სექციას მიუსაჯეს ჯილდო. ჯილდოს სახით ჩვენთვის უნდა მოეცათ 120 მანეთის ხე-ტყის მასალა, მაგრამ ეს ჯილდო დღემდისაც არ მიგვიღია. სამაზრო ხელისუფლებამ მიგვითითა ბაღდათის სატყეოზე, საიდანაც ხე-ტყის მასალის გამოტანა ძალზე ძვირი დაგვიჯდებოდა. ამნაირად ჯილდომ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რაც საბჭოზე ცუდ გავლენას ახდენს.

საერთოდ თათბირმა გამოამჟღავნა თემსაბჭოს თავმჯდომარეების მუშაობაში შემდეგი ნაკლოვანებანი: პირველყოვლისა აღსანიშნავია სამაზრო ორგანოებიდან ხელმძღვანელობის სისუსტე, ცოცხალი კავშირის უქონლობა. დაწინაურებულ ქალთა სუსტი პოლიტიკური მომზადება და მათი დაბალი კულტურული დონე. თათბირის მონაწილეთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთი თემსაბჭოს თავმჯდომარე ქალი სისტემატიურად არ ადევნებს თვალყურს ყოველდღიურ პრესას და სათანადოთ არ იცნობს ხელისუფლების და პარტიის დირექტივებს. ვერ იყენებენ ფართოდ თვითკრიტიკის ლოზუნგს, თავიანთ მუშაობაში არსებულ ხელისშემშლელ პირობებს არ აცნობებს ზემდგომ ორგანოებს და სხვ. ამ დეფექტების აღმოფხვრას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

თათბირის დელეგატებს მიეცა შესაფერი დირექტივები მათი მუშაობის შემდგომი გაცოცხალი ჯანსაღებისათვის.

უმსგავსოებანი სამხრეთ-ოსეთის ს. მ. საბჭოში

(საქართველოს მუშგლეხინის მასალებიდან)

კურსი „ჯანსაღ კერძო ვაჭარზე" სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოში. — საბჭოში მოკალათებული იყო მფლანგველთა ჯგუფი, რომელმაც საბჭოთა დაწესებულება საწველ ფურად გაიხადა. — სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელების უთადარიგობამ და უყაირათობამ კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩააყენა ს. მ. ს. წარმოებანი.

სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელებმა ვერ შეითვისეს სახელმწიფო მრეწველობის გაძღოლის წესები: მათ უთადარიგობამ, თავის მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებამ, უყაირათობამ და კერძო ვაჭრების მოწვევამ სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატში შედეგად მოჰყვა სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელების სამეურნეო პოლიტიკის სრული გაკოტრება, რამაც კატასტროფამდი მიიყვანა ს. მ. ს. წარმოებები.

ს. მ. ს. ყველა წარმოებები, გარდა ხე-ტყის სახერხ ქარხნისა, ყოველთვის ზარალს იძლეოდნენ. ასე, მაგალითად, 1929 წლის 1-ლ აპრილისათვის ზარალი უდრიდა 104,450 მანეთს. ყველა წარმოებების პროდუქციის რეალიზაცია (გარდა წიწვიანი ჯიშის დახერხილ მასალებისა) როგორც ადგილობრივ, ისე გარეშე ბაზრებზე სწარმოებდა თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში.

ს. მ. საბჭოს საქმეების არევ-დარევას და მისი ფინანსიური მდგომარეობის გაუარესებას ხელი შეუწყო თანამდებობისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ ეკონომისტ ბალბაშევსკის, მთავარ ბუხჰალტერ კულიჯანოვის და მდივან კისლაიას მხრიდან, რომლებმაც თავისი პირადი ინტერესებისათვის გამოიყენეს თანამდებობრივი მდგომარეობა; მათ გვერდს უმშვენებდნენ ხე-ტყის ქარხნის გამგე ქ. ჯატიევი, მონტიორები ა. კოჩაევი და ბიგულაევი.

ს. მ. ს. არასოდეს არ ადგენდა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას. თანხები იხარჯებოდა სრულიად თვითნებურად. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები იზრდებოდა. 1925-26 წელში ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები შეადგენდა 20.490 მანეთს, რაც საერთო შემოსავლის 22.6 პროც.-ს უდრის. 27-28 წელში ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები უფრო მეტი იყო —33.500 მანეთი. რაც შეადგენს სავაჭრო ბრუნვის 29,17 პროც.

განსაკუთრებით დამახასიათებელია მივლინების სიმრავლე და უსისტემობა.

1925-26 წელში მივლინებაში იყო 14 კაცი; რომლებმაც მივლინებაში გაატარეს 345 დღე. შემდეგ წელში მივლინებაში იყო 11 კაცი—329 დღე და კიდევ შემდეგ წელში 12 კაცი—90 დღე.

სახალხო მეურნეობის საბჭოს ბუხჰალტერიის ქაოტიურმა მდგომარეობამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ს. მ. ს. საქმეების აწეწვას და შექმნა ხელსაყრელი ნიადაგი ყოველგვარი მახინაციებისა და ბოროტმოქმედების დასაფარავად. ბუხჰალტერიის თანამშრომლებს შორის მუშაობა არასოდეს არ ყოფილა განაწილებული. მთავარი ბუხჰალტერი ნ. კულიჯანოვი უშუალოდ არ აწარმოებდა მუშაობას ბუხჰალტერიაში. მას საერთო ხელმძღვანელად მოჰქონდა თავი და უმთავრესად საგეგმო მუშაობას ეწეოდა.

საბჭო საწველ ფურად გადააქციეს

ს. მ. ს. მდივანი ე. კისლაია, რომელიც საქმიანად არ იყო დატვირთული თავის ძირითად სამუშაოზე, ყოველმხრივ ცდილობდა გამოენახა თავისი ჯამაგირის გადიდების საშუალებები. დამატებით თავისი ჯამაგირისა, კისლაია ყოველთვიურად ეძლეოდა გასამრჯელო საიდუმლო მიმოწერისათვის 30 მანეთის რაოდენობით. ამას გარდა კისლაია სისტემატიურად იღებდა ერთდროულ დახმარებებს. 1929 წ. მაისში ს. მ. ს. თავმჯდომარის მოადგილემ მ. ხეთაგუროვმა კისლაიას ყოველგვარი საბუთის გარეშე ჯამაგირი გაუდიდა 82 მანეთიდან 100 მან-მდე თვეში.

კისლაიამ ს. მ. ს.-ში მოაწყო მანქანაზე ბეჭდვის კურსები. უფასოდ სარგებლობდა ბინით და საბეჭდი მანქანებით და თვითეული მოწაფისაგან იღებდა 30 მანეთს თვეში.

მთავარ ბუხჰალტერმა კულიჯანოვმა სავსებით გამოიყენა პირად ინტერესებისათვის ს. მ. ს. ხელმძღვანელობის სისუსტე. დასკვნითი ბალანსის შედგენისათვის კულიჯანოვმა მიიღო 180 მანეთი, საწარმოო პროგრამის შედგენისათვის მ. ხეთაგუროვის განკარგულებით მას მიეცა კიდევ 525 მან; კულიჯანოვს აუნაზღაურებდნენ ტრამვაის ხარჯებსაც თბილისში ყოფნის დროს. 1929 წლის მაისში ხეთაგუროვმა კულიჯანოვს ჯამაგირი მოუმატა უკანა რიცხვით, ე. ი. 1928 წ. 1-ლ ოქტომბიდან და განსხვავების სახით მისცა 360 მანეთი. ასეთივე განსხვავების სახით კულიჯანოვმა 1927 წელში მიიღო 399 მანეთი.

ს. მ. ს.-ის თანამშრომელთა შორის, რომლებსაც დაუშვებელ მფარველობას უწევდნენ ს. მ. ს. ხელმძღვანელები, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **იური ბალბაშევსკის**. ჯერ ის დანიშნეს მოანგარიშეთ, შემდეგ სპეციალურად მისთვის შექმნეს ს. მ. ს. საქმეთა მმართველის თანამდებობა, რომელიც სრულებით არ იყო საჭირო სამხრეთ-ოსეთის პირობებში. საქმეთა მმართველად ყოფნის დროს ბალბაშევსკიმ გადასწყვიტა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესვლა და სთხოვა ს. მ. ს. დაენიშნათ ის წარმომადგენლად თბილისში; მას ეს სურვილი დაუყოვნებლივ შეუსრულეს, ს. მ. ს. რეალური ინტერესები კი მხედველობაში არ მიიღეს. ბალბაშევსკის თვიურად დაუნიშნეს 150 მანეთი და ამას გარდა არ აკლებდნენ საჩუქრებს და დამატებით გასამრჯელოს. ამას გარდა ბალბაშევსკი ყოველთვიურად იღებდა 15 მანეთს იმისათვის. რომ ს. მ. ს. თანამშრომლები სარგებლობდნენ მისი ოთახით თბილისში.

1929 წლის 13 ივლისს ბალბაშევსკი მოეწყო გზათა სახალხო კომისარიატში მოსკოვში. ხეთაგუროვმა მოუწყო მას მივლინება ათი დღით და საშუალება მისცა გადასულიყო მოსკოვში ს. მ. ს. ხარჯზე და მიეღო სამივლინებო ფული. გამგზავრების წინ ბალბაშევსკის უნდა დაებრუნებინა საბეჭდი მანქანა, რომელიც მის განკარგულებაში იყო, მაგრამ მან ის არ დააბრუნა.

როგორ იფლანგებოდა სახალხო ქონება

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დავალიანება ს. მ. საბჭოსადმი თანდათან იზრდებოდა, ს. მ. ს.-ის ხელმძღვანელები კი არავითარ ზომებს არ იღებდნენ ამ დავალიანების შესამცირებლად. კერძო პირების მონაწილეობა ამ დავალიანებაში შეადგენდა 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის — 55,80 პროც.-ს, 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის — 35,40 პროც. 1928 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის — 37,60 პროც. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა აგრეთვე იმ ავანსების განაღდებას, რომლებიც თანამშრომლებზე ირიცხებოდა. ასე მაგალითად, ს. მ. ს. მდივან კისლაიაზე ირიცხება 144 მანეთი, მემანქანე სანაკოევზე — 200 მან. ბუხჰალტერ პერესაშვილზე 351 მან., მთავარ ბუხჰალტერ კულიჯანოვზე — 552 მან. და სხვ.

ს. მ. ს. ბაქოს განყოფილება ს. მ. ს. თავმჯდომარის გაგლოევის მიერ მოწყობილი იყო იმ მიზნით, რომ სამუშაო მიეცა სტუდენტ ნანე ხეთაგუროვისათვის, რომელიც დანიშნულ იქნა სამხრეთ-ოსეთის ს. მ. ს. წარმომადგენლად ბაქოში. ამ ხეთაგუროვის მოღვაწეობას და გაგლოევის სიბეცეს შედეგად მოჰყვა ის, რომ ს. მ. ს. საბჭომ მოკლე დროის განმავლობაში სკამების რეალიზაციაზე იზარალა 5.690 მანეთი.

სიყვარული კერძო ვაჭრებისადმი

განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. მ. ს. დამოკიდებულება კერძო ვაჭრებისადმი. ეს დამოკიდებულება ხასიათდება ს. მ. ს. სრული კაპიტულიაციით კერძო ვაჭრების წინაშე.

1925 წლის მაისში მ. ხეთაგუროვმა კერძო ვაჭრების საზოგადოებისაგან 450 მანეთად იყიდა ლანცის — სისტემის — წისქვილი, წინდაწინ იცოდა რა, რომ ცხინვალში ასეთ წისქვილს არ ექნებოდა სამუშაო. ყიდვის დროს წისქვილი არ ყოფილა ტექნიკურად შემოწმებული, რის გამო მას დეფექტები აქვს. 1926 წლის ივლისში ხეთაგუროვმა იმავე კერძო პირებისაგან 225 მანეთად იყიდა აგურის პრესი, რომელიც დღემდე გამოუყენებელია.

1928 წლის 9 მაისს ს. მ. ს. კომუნალური განყოფილების ყოფილმა გამგემ სიხარულიძემ თბილისში კერძო პირისაგან, გოგლიძისაგან 7 ათას მანეთად იყიდა ავტობუსი, ს. მ. ს. თავმჯდომარე გაგლოევმა და მისმა მოადგილემ მ. ხეთაგუროვმა გარიგება დაამტკიცეს. ავტობუსი უვარგისი გამოდგა გორი-ცხინვალის გზაზე სამუშაოდ, მას ხშირად ესაჭიროება რემონტი, რის გამო მანქანაზე სულ ახალ-ახალი თანხები იხარჯებოდა. ამჟამად ავტობუსი უმოქმედოთ სდგას.

1925 წლის 25 ივნისს ხეთაგუროვმა ხელშეკრულება დასდო კერძო ვაჭარ მ. ქუთათელაძესთან, რომელიც ვალდებული იყო მოეწყო და ჩაებარებია ს. მ. უ. საბჭოსთვის 10 ათას მანეთად გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა. ხელშეკრულების ხელმოწერის დროს ხეთაგუროვმა ქუთათელაძეს ყოველგვარი გარანტიის გარეშე მისცა 2 ათასი მანეთი. ხელშეკრულებაში არაფერი არ არის ნათქვამი დაზგების ღირსებაზე და მათი მიღების და შეფასების პირობებზე. ფაბრიკის ამუშავებას შემდეგ მისი მოწყობილობა სპეციალურმა კომისიამ სცნო დაძველებულად და ფაბრიკა შეაფასა 3.493 მანეთად. ხეთაგუროვის წყალობით ქუთათელაძემ ფაბრიკის მოწყობაში ხელფასის სახით მიიღო 4.709 მანეთი, ამ საქმეზე იმუშავა კი სულ თვენახევარი.

1926 წლის 18 მაისს ს. მ. ს. თავმჯდომარის მოადგილე გოკინაევმა ხელშეკრულება დასდო ცხინვალში სახლის მეპატრონე მათე გაგლოევთან, რომლის ძალით ს. მ. ს. უნდა შეეძინა მისგან სახლი გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკისათვის. ეს სახლი ს. მ. ს. დაუჯდა 10.802 მან., მაშინ, როდესაც სპეციალურმა კომისიამ იგი შეაფასა 9 ათას მანეთად. სახლი ძველია და სრულიად გამოუსადეგარია ფაბრიკისათვის. სახლის ყიდვის დროს გაგლოევს ფულის გარდა მიეცა ასი მოჭრილი ხე. ეს ხეები გაგლოევმა შემდეგ ბაზარზე გაიტანა და გაყიდა, და ამრიგად ს. მ. ს. შეგნებულად შექმნა თავის წინააღმდეგ კონკურენტი—კერძო ვაჭარი.

ტრანსპორტის ექსპლოატაციის დარგში ს. მ. ს. მჭიდრო კონტაქტი აქვს კერძო პირებთან. მანქანების ექსპლოატაცია ცხინვალსა და გორს შორის სწარმოებს კერძო შოფერების მანქანებთან ერთად. ს. მ. ს. საერთო შემოსავლის ხუთ პროცენტს აძლევს მოქ. იარალოვს, რომელიც იმავე დროს არის კერძო შოფერების ჯგუფის წარმომადგენელი. იარალოვი გახდა ს. მ. ს. მანქანების ფაქტიური მეპატრონე, რადგან მას არავითარ კონტროლს არ უწევს ს. მ. ს.

ს. მ. ს. ფართო კრედიტებს აწვდიდა სააღმშენებლო მასალებით იმ კერძო პირებს, რომლებიც ახალ სახლებს აგებდნენ; ეს მასალები იყიდებოდა ს. მ. საბჭოსათვის საზარალო ფასებში.

თვითმომარაგების პოლიტიკა

ს. მ. ს. თავმჯდომარის მოადგილე მ. ხეთაგუროვმა თანამდებობრივი მდგომარეობა გამოიყენა თავის ცოლისათვის ა. ხეთაგუროვისათვის კრედიტების მიწოდების მიზნით; ხეთაგუროვის ცოლი შეუდგა საკუთარი სახლის აგებას ცხინვალში ს. მ. ს. მასალებით. ხეთაგუროვს სააღმშენებლო მასალები ცოლისათვის გამოჰქონდა თავის სახელზედაც და ორივეზე ამჟამად ირიცხება 1.159 მანეთი.

ს. მ. ს. ერთად-ერთი მომგებიან წარმოებაში, ხე-ტყის სახერხ ქარხნის მუშაობაში ადგილი აქვს მუდმივ დაბრკოლებებს იმის გამო, რომ ლოკომობილი არ არის საკმაოდ მძლავრი და ქარხანას არ გააჩნია საჭირო ხელსაწყოები. სახურავიდან წყალი ჩამოდის, რის გამო ფუჭდება მანქანები და მასალები და იტანჯებიან მუშები. ყველაფერი ეს უარყოფით გავლენას ახდენს ქარხნის მუშაობაზე.

ხუთი წლის განმავლობაში ხე-ტყის სახერხ ქარხნის გამგეთ იყო ვინმე **ქ. ჯატიევი**, რომელმაც თავი ისახელა როგორც ანტისაზოგადოებრივმა ელემენტმა. მან ქარხანა გამოიყენა პირადი სარგებლობისათვის; იგი გულგრილად ეპყრობა თავის მოვალეობას, აცდენს მუშაობას, მთვრალი ცხადდება სამუშაოზე და სხვ.

ასეთი გამგე იმის მაგივრად, რომ ის მოხსნილიყო სამუშაოდან, ს. მ. ს. თავმჯდომარის გაგლოევის ბრძანებით მოაყოლეს შემცირებაში. ს. მ. ს. თავმჯდომარის მოადგილის განკარგულებით კი ისევ აღადგინეს თანამდებობაზე უკანა რიცხვით.

საერთო უთადარიგობის, კონტროლის უქონლობის და ადმინისტრაციის დაუდევრობის წყალობით ჰიდროსადგურში შეიქმნა პირობები ბოროტმოქმედების ჩასადენად. მონტიორებმა **ა. კოჩაევმა** და **გ. ბიგულაევმა** ისარგებლეს მდგომარეობით და დაუსჯელად მიითვისეს აბონენტებისაგან აკრეფილი ფული.

ყველა აქ ჩამოთვლილი ფაქტები ნათლად ააშკარავებენ საბჭოთა სამეურნეო მუშაკებისათვის მიუღებელ კურსს „ჯანსაღ კერძო ვაჭარზე" და ამხილებენ სამხრეთ-ოსეთის ყველა იმ სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც საბჭოთა აღმშენებლობის წარმოებას ფიქრობდნენ ძველი მოიჯარადრეების მეთოდებით.

გ. ბ—ი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

ოპერა „ჩიო-ჩიო-სან" მუს. ჯ. პუჩჩინისა

ამ ოპერის მიმდინარე სეზონის რეპერტუარში შეტანა უეჭველად მიზანშეწონილია. ეს თხზულება დაწერილია იტალიის მსხვილ ბურჟუაზიის აპოლოგეტის ჯაკომო პუჩჩინის მიერ, ამ ბურჟუაზიის იდეოლოგიურ პოზიციების გასამაგრებლად იტალიის ბრძოლის დროს ინგლის-ამერიკის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. საბჭოთა სინამდვილეში ეს ოპერა გამოყენებულ უნდა იქნას არა მარტო ინგლის-ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის (მაშასადამე, თვით იტალიისაც) გახრწნის დამახასიათებელ საშუალებად. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ კაპიტალიზმის წინააღმდეგ — მისივე შინაგან ბრძოლის პროცესში გამომჟღავნებული ფაქტებით. ამ შემთხვევაში ხელს გვიწყობს არა მარტო თვით ოპერა „ჩიო-ჩიო-სან"-ის მხატვრული ღირსებანი. საჭიროა პუჩჩინის ამ ოპერის მხატვრული გაფორმება განხორციელებულ იქნას შესაძლებელი ნატურალობით, უტყუარი ექსპრესიით, საჭიროა შეგნებულად დაირღვეს ფსიქოლოგიურ განცდის გაზვიადების, გადაჭარბების და ყალბ პათოსზე დამყარებული პრინციპი. ყველა ეს გარემოებანი მოითხოვენ ამ ოპერაში მონაწილე ძალებიდან დიდ სიფრთხილეს და გამოცდილებას. ა. წ. ნოემბრის 6-ის წარმოდგენამ დაგვიმტკიცა, რომ ოპერა „ჩიო-ჩიო-სან"-ის მთავარი როლი (მადამ ბატერფლაი) გადაცემულია სამედო ხელში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი წლის განმავლობაში ჩვენი ოპერის სცენას არ უნახავს ისეთი შესანიშნავი ბატერფლაი, როგორსაც ხედავს დღეს ნიჭიერ მომღერლის ბარათოვას სახით. ბარათოვას შემოქმედება ძვირფასია არა მარტო აკადემიური უნაკლობით, არა მარტო ბგეროვან ხარისხით ან და დრამატიული ტექნიკის მტკიცე დამუშავებით, მისი შემოქმედების საუკეთესო თვისებად ჩაითვლება ის მძლავრი ემოციონალური ტალღა, რომელიც იბადება მსახიობის თამაშით, მძლავრად ხვდება მსმენელის გულს და იმორჩილებს მას მთელი მოქმედების განმავლობაში.

ანდღულაძის პირველმა ამ სეზონში გამოსვლამ პინკერტონის როლში—ფრიად გაგვაკვირვა თავისი მიზანშეუწონლობით. პინკერტონის როლი მეტად მცირეა, არ შეიცავს არც ერთ ადგილს სასიმღერო გაქანებისათვის, დრამატიულად ფუქსავატია (ნამდვილი მელოდრამატიზმით და შემდეგ ულტრა-ტრაგიზმით), ამიტომ ანდღულაძის ხმის და ნიჭის პატრონისათვის ეს როლი უსარგებლო და უმოქმედოა. ოპერის დირექცია კი ანდღულაძის ამგვარ გამოყენებისათვის—პირდაპირ გასაკიცხავია.

ჩვენი ძველი ნაცნობი და ჩვენ სცენაზევე აღზრდილი ვენაძე კონსულის როლში—ძველებურადვე ძალიან კარგად ასრულებს როლს; როგორც სჩანს, ვენაძეს შარშანდელი წელიწადი არ ჩაუტარებია უნაყოფოდ—მისი ხმა გამდიდრებულა, როგორც ელფერით, ისე ახალი ხერხებით ბგერათა მოტრიალებისა. წარმატება ეტყობა აგრეთვე ახალგაზრდა ძალის ხუმაროვას (ზუზუკი) ვოკალურ ტექნიკაში. მისი ხმა ბუნებრივად ყოველთვის მდიდარი იყო. ხუმაროვამ უნდა მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება, თუ მან არ მოუკლო მუშაობას—შედეგები ძალიან კარგი მოჰყვება.

„ჩიო-ჩიო-სან"-ის პარტიტურა—სახ. არტისტს ივანე ფალიაშვილს აქვს დეტალურად გაზეპირებული და საუცხოვოდ დამუშავებული: სჩანს ფალიაშვილი ეკიდება ამ პარტიტურას არა მარტო პროფესიონალური მოვალეობით, არამედ გულითადი სიყვარულითაც. არ არის იმიტომ საკვირველი, რომ ორკესტრი მისი ლოტბარობით ამ წარმოდგენაში დიდ სიმაღლეზე იდგა.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

ფოთის ქართული დრამის სეზონი

ფოთის ქართული დრამის ხელმძღვანელად და რეჟისორად წელს მიწვეულია ბორის გამრეკელი. გარდა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დასში მიწვეული არიან ალისა ქიქოძე, ნინო დოლიძე, ბებე ჯაიანი, გიორგი გორდაძე და ვახტანგ არეშიძე.

რეპერტუარში შეტანილია: ლავრენევის „რღვევა", კალაძის „როგორ"?, ა. შანშიაშვილის „პროტექცია", კირშონის „ქართა ქალაქი" და სხვ.

დასი უკვე შეუდგა მზადებას. სეზონის გახსნა განზრახულია დეკემბრის დამდეგს.

◆ **დღეს**, 10 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში მოწვეულია საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის კინო-სექციის საინიციატივო ბიუროს კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დ. რონდელი, ბ. ბუაჩიძე, ვ. ლუარსამიძე, შ. რადიანი; ბ. კიევლიანინი, გ. კრეიტანი, ს. აბულაძე, რავიჩი და მარტინი, სახკინმრეწვიდან: ესაკია, სუპატაშვილი, მდივანი და კაზანსკი.

◆ **12 ნოემბერს** გაიხსნება საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის პლენუმი.

სასამართლო

მამის მკვლელი

მკვლელობას ადგილი ჰქონდა ს. სარაჩლოში (ბორჩალოს მაზრა).

მოქ. ბაქირ მამედ-ოღლიმ ულუქმაპუროდ სახლიდან გააგდო თავისი ცოლი გიული. ბაქირის ვაჟი მამედი აღშფოთებული დარჩა მამის ასეთი საქციელით. ის შეეცადა თავშესაფარი ეშოვნა დედისათვის, მაგრამ მამამ ამის უფლება არ მისცა. მასაც დაემუქრა სახლიდან გაძევებით.

ბაქირმა შეირთო მეორე ცოლი. გიული წავიდა ხელცარიელი. გადაეყარა ვიღაც არაკეთილსინდისიერ კაცს, რომელმაც ის გაიტყუა სომხეთში ცოლად შერთვის დაპირებით. ცოტა ხნის შემდეგ იმედ გაცრუებული გიული ბრუნდება ისევ თავის სოფელში.

შვილი მამედი გაიგებს დედის დაბრუნებას. მიმართავს მამას თხოვნით: შეიბრალოს უპატრონოდ დარჩენილი გიული, მისცეს მას თავშესაფარი თავის სახლში, ან გაუნაწილოს ის ქონება, რომელიც საერთო შრომით არის შეძენილი ოჯახში.

მამა ცივი უარით ისტუმრებს შვილს. ამ ნიადაგზე მამა-შვილი ერთმანეთს წაეკიდნენ.

ბაქირ მამედ-ოღლი თავის მეორე ცოლით სცხოვრობდა პირველ სართულში. ზედა სართულში სცხოვრობდა ვაჟი მამედი. ერთ დღეს, როცა მამა ბაქირი და მისი მეორე ცოლი სახლში არ იყვნენ, მამედმა მათ დაუკითხავად მოიყვანა უმწეო მდგომარეობაში მყოფი დედა და ჩაასახლა ზედა სართულში თავის ოთახში.

სახლში დაბრუნებისას ბაქირმა რისხვა დაატეხა თავს მამედს ასეთი ურჩობისათვის და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ გახედევნა სახლიდან დედა, რომელიც ბაქირმა უშვერი სიტყვებით მოიხსენია.

შვილი გამოვიდა მოთმინებიდან, წაავლო ხელი თოფს და ესროლა მამას. ბაქირს ტყვია მოხვდა გულში და იქვე გარდაიცვალა.

გამოძიება დამთავრებულია. მამედ ბაქიროღლი დაპატიმრებულია. საქმეს გაარჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლო. **ზერ.**

რკინის გზებზე

მატარებლების დაჯახება

7 ნოემბერს სადგ. ულუხანლუში მორიგე მარქარიანმა საქონლის მატ. № 3103 შეცდომით მიიღო ვაგონებით დაკავებულ ხაზზე. მატარებელი დაეჯახა ვაგონებს. დაჯახების დროს დაიმსხვრა ექვსი ვაგონი და დაზიანდა ოთხი. ორთქლმავალი და ორი ვაგონი გადაბრუნდა ფერდზე. ხაზი დაზიანდა 100 მეტრის მანძილზე.

ერევნიდან და ლენინაკანიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებლები, რომელთა საშუალებით აღდგენილი იქნა მოძრაობა.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

სად. ხაშურში

7 ნოემბერს მანევრების დროს სადგ. ხაშურიდან გორის მიმართულებით წავიდა 14 დატვირთული ვაგონი.

ისრებზე ვაგონები დაეჯახა მეორე სამანევრო შემადგენლობას. ლიანდაგს ასცდა ორი ვაგონი.

მატ. № 65

ბათომიდან თბილისისაკენ მომავალი სახალხო მატარებელი № 65 გაჩერდა ლიხის სემაფორთან. ეს ვერ შეამჩნია უკან მომავალმა ორთქლმავალმა და მძლავრად დაეჯახა მატარებელს.

დაჯახების გამო დაზიანდა ბოლო სამგზავრო ვაგონი.

ქალაქის სადგურების გადაცემა

14 ნოემბერს მოსკოვში მოწვეულია რკ. გზების წარმომადგენელთა თათბირი, „სოვტორგფლოტი"-სთვის ქალაქის სადგურების გადაცემის საკითხის განსახილველად.

გათვალისწინებულია სადგურების გადაცემა სანაპირო და ნავთსადგურის ქალაქებში.

თათბირზე იგზავნება ა.-კ. რკ. გზების წარმომადგენელიც.

7.770.000 მანეთი ნოემბრისათვის

ნოემბრისათვის ა.-კ. რკინის გზებს გაეხსნა კრედიტი 7.770.000 მანეთის რაოდენობით.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. მუშფაკი

ა.-კ. რკ. გზების გამგეობის დადგენილებით რკინის გზის მუშფაკს თბილისში ეწოდა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის მუშფაკი.

საქართველოს პროფსაბჭოს მე-7 პლენუმი

გაიხსნება 11 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში.

პლენუმის წევრების, კანდიდატების, აგრეთვე კავშირების ცენტრ. გამგეობების და ქალაქის ფაბქარხკომების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

ქრონიკა

ს. მ. უ. საბჭოს პლენუმი

15 ნოემბრისათვის თბილისში მოწვეულია საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მორიგი პლენუმი, რომელსაც დაესწრებიან ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოების და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები.

პლენუმის დღის წესრიგში სხვათა შორის დასმულია: ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება 1928-29 საოპერაციო წლის მუშაობის შედეგებზე, ამხ. ელბაქიძის მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულებების ხელახალი დადების შესახებ და მოხსენება მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღების შესახებ.

250.000 მან. მელიორაციისათვის

ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა მელიორაციის საქმისათვის გადასდო 250.000 მან. ამ თანხიდან საქართველოში დაიხარჯება 90.000 მან. მელიორაციისათვის მიღებული კრედიტი მოხმარდება ალაზნისა და ტირიფონის ველის მორწყვას და სხვა არხების მშენებლობას.

საყვედურის გამოცხადება

შრომის კომისარიატმა გამოიკვლია ბორჯომის ქარხნებში შრომის პირობების დაცვის საქმე. გამოირკვა, რომ ბორჯომის არც ერთ ქარხანაში არაა დაცული შრომის პირობები. ადგილობრივი შრომის ორგანოები არავითარ ზომებს არ ღებულობენ დეფექტების გამოსასწორებლად.

შრომის კომისარიატმა საყვედური გამოუცხადა ბორჯომის რაიონის შრომის ინსპექტორს **ხაჩიძეს** და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ბორჯომის ქარხნებში შრომის დაცვის გასაუმჯობესებლად.

გრძელვადიანი სესხი

ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკმა დაამტკიცა სასოფლო მეურნეობისათვის გრძელვადიანი სესხის მიწოდების გეგმა 3.378.000 მ. რაოდენობით.

მწერლები და ხუთწლიანი გეგმა

ამ მოკლე ხანში საბჭოთა მწერლების ფედერაციაში ჩატარდება მოხსენებები პოლიტიკურ და კულტურულ საკითხების შესახებ. პირველ რიგში მოხსენებას წაიკითხავენ: ამხ. **გიორგი ყურულაშვილი**—„ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა“ და ამხ. **დ. კანდელაკი**—„კულტურული მშენებლობის 5-წლიანი გეგმა“.

დახმარება მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ გლეხობას

ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა, დასავლეთ საქართველოს მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით 1928-29 წლის მოგებიდან გადასდო 2.000 მან.

გარდა ამისა ბანკი მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ გლეხობას მისცემს გრძელვადიან შეღავათიან კრედიტებს.

პროლეტ. სტუდენტთა ბიუროში

◆ **ბრძოლა წერა - კითხვის უცოდინარობასთან.** წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით ბიურომ დაადგინა — ყოველმა სტუდენტმა წერა - კითხვა შეასწავლოს სამ კაცს.

◆ **დახმარება სტუდენტთა კომუნებს.** რუსულ - სომხურ მუშფაკის სტუდენტთა კომუნის საშუალებების გასაძლიერებლად პროლეტარულ სტუდ. ბიურომ გაიღო 426 მან.

◆ **კონტრაქტაცია და განუწყვეტელი პრაქტიკა.** პროლეტ. სტუდ. ბიუროს უკანასკნელ პლენუმზე დამუშავებულ იქნა სტუდენტთა კონტრაქტაციისა და განუწყვეტელ პრაქტიკაზე გადაყვანის საკითხი.

◆ **ბიუროს პლენუმი** — მიმდინარე თვის შუა რიცხვებში (15-16) შესდგება პროლეტ. სტუდენტთა ბიუროს პლენუმი.

◆ **სტუდენტთა პროფ. ორგანიზაციების გადარჩევა,** იანვრის პირველ რიცხვებში ყველა უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყება სტუდენტთა პროფესიონალურ ორგანიზაციების გადარჩევა.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **კურსები.** შრ. კომისარიატი ახლო ხანში ხსნის სოციალზღვევის მუშაკთა გადასამზადებელ კურსებს.

◆ **დასასვენებელი სახლი.** შრ. კომისარიატმა გადასწყვიტა წაღვერში აავოს დიდი დასასვენებელი სახლი.

◆ **ყრილობა.** 1 დეკემბერს მოწვეულია შრომის ინსპექტორთა სრ. საქართველოს ყრილობა.

სხვა და სხვა

◆ **ა.-კ. სახ.-სამ. ბანკის გამგეობის წევრად** დაინიშნა ამხ. ზაგიროვი.

◆ **სკოლის კვირეული.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს სკოლის კვირეულის შედეგები.

შემთხვევები

დაჯახება

გუშინწინ პირველ სამილიციო უბანში ჯაკოფ გალუსტის ძე ასლანიანცს დაეჯახა ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი გრიგოლ კოლოტაძე. ასლანიანცი მძიმედ დაშავდა. იგი გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

ეტლი, რომელიც მიჰყავდა ანდრია ჩულკიანს რიყის ქუჩაზე დაეჯახა ტრამვაის ვაგონ № 97. ვაგონი სერიოზულად დაზიანდა, დაიმსხვრა ეტლი და დაშავდა მეეტლე. გამოძიება სწარმოებს.

მხეცი დედა

პარასკევა სტეფანეს ასულმა ერმაკოვამ თავისი ახლად შობილი ბავში გადააგდო მტკვარში. ერმაკოვის ქალი მიცემულია პასუხისგებაში.

ხულიგნები

ქუჩაში დებოშის მოხდენისათვის მილიციამ დააპატიმრა სურენ ვასილის ძე ფრიდონოვი, გიორგი ნიკოლოზის ძე სამხარაძე და პეტრე დიმიტრის ძე მეზერელი.

დაჭრა

ვიღაც უცნობმა პირმა დანით დასჭრა პავლე გიორგის ძე ბერაძე და მიიმალა;—მიხა ამბარცუმიანმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა სიმონ ამბარცუმიანი, რომელიც გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

დაპატიმრება

ქურდობისა და ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს: ახატ მახმედ აბდულოვი, ალექსანდრა შევჩენკო (მცხ. ორჯონიკიძის ქ. № 32), ლადო აბრამის ძე სტეფანოვი, ავეტიკ ანდრონიანცი (მცხ. კლარა ცეტკინის ქ. № 20) და ოგანეზ არტემის ძე მხიტაროვი.

ქურდობა

გაქურდეს მე-5 საბჭოთა აფთიაქი (ქ. ცეტკინის ქ. № 107), წაიღეს ფულად 60 მანეთი;—შალვა ხვინგიას ბინიდან (ბესიკის ქ. № 26) მოიპარეს 700 მანეთის ნივთები; — გარდა ამისა, 8 ნოემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 8 შემთხვევა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დასავლეთ საქართველოსა, აფხაზეთის სს რესპუბლიკასა, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან მებრძოლი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დასავლეთ საქართველოსა, აფხაზეთის ს.ს. რესპუბლიკასა, აჭარისტანის ს.ს. რესპუბლიკასა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან მებრძოლი კომიტეტის შესახებ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვ. ამხ.
გ. ყურულაშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. ოქტომბრის 22.
თბილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დასავლეთ საქართველოსა, აფხაზეთის სს რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან მებრძოლი კომიტეტის შესახებ.

1. დასავლეთ საქართველოსა, აფხაზეთის სს რესპუბლიკასა, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან მებრძოლ კომიტეტს, რომელიც დაარსებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ოქტომბრის 11-ის დადგენილებით (გაზ. „კომუნისტი“ 1929 წ. ოქტომბრის 17-ისა № 240 (2586),—დაეკისრება:

ა) გამოარკვიოს, სათანადო ორგანოების მეშვეობით, ზარალი, რაც სახალხო მეურნეობას მიაყენა სტიქიურმა უბედურებამ დასავლეთ საქართველოს რაიონში და აფხაზეთის სს რესპუბლიკასა, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, შეიმუშაოს საერთო გეგმა და ღონისძიებანი დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად და მეურნეობის აღდგენისათვის ხელის შესაწყობად;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს, შეათანხმოს და გააერთიანოს სახალხო კომისარიატებისა, ცენტრალურ რესპუბლიკანური დაწესებულებებისა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედება ზემოაღნიშნულ რაიონებში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების საქმეში;

გ) ჩააბას დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში საბჭოთა საზოგადოებრიობა და წარმართოს საზოგადოებრივი ინიციატივა ამ საკითხში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად კომიტეტს უფლება აქვს:

ა) დააკისროს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას კომიტეტის მიზნებიდან გამომდინარე მინდობილობათა და დავალებათა შესრულება და აგრეთვე მოითხოვოს საჭირო ცნობებისა, ნარკვევებისა და მასალის წარდგენა;

ბ) დამოუკიდებლად გადასწყვიტოს სტიქიურ უბედურებათა შედეგების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ცენტრალური რესპუბლიკანური ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში და აღძრას ხოლმე საჭირო შემთხვევაში შუამდგომლობა, დადგენილი წესისამებრ, ა.-კფსრ და სსრ კავშირის ორგანოების წინაშე;

გ) გამოიყენოს ყველა თანხა, რაც სახელმწიფო სახსრიდან სპეციალურად გაცემულია ზემოაღნიშნულ რაიონებში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლისათვის და აგრეთვე მისცეს სავალდებულო დირექტივები კრედიტების განმკარგულებელთ იმ თანხების წარმართვის შესახებ რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლისათვის და რაც გადადებულია ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებების საუწყებო ხარჯთ-აღრიცხვით და ადგილობრივი ბიუჯეტით;

დ) გამოაცხადოს სახსარის ნებაყოფლობითი შეკრება დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად და გამოიყენოს ამ წესით შეგროვილი მთელი სახსარი.

3. კომიტეტის ყველა დადგენილება და განკარგულება, რაც საკანონმდებლო წესით დამტკიცებას არ მოითხოვს, საბოლოოა და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესრულებული სათანადო ცენტრალურ უწყებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა მიერ.

შენიშვნა: განკარგულება ისეთი საკითხის შესახებ, რაც დაუყოვნებელ გადაწყვეტას მოითხოვს, გაიცემა კომიტეტის სახელით თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ, ხოლო ეს გარემოება შემდგომ უნდა ეცნობოს კომიტეტს.

4. კომიტეტის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის და მიმდინარე საკითხების გადაწყვეტისათვის კომიტეტი აირჩევს პრეზიდიუმს, ხოლო კომიტეტის საქმეების გამგებლობისათვის—პასუხისმგებელ მდივანს.

5. კომიტეტის დადგენილებათა და განკარგულებათა ადგილობრივ განხორციელების საქმისათვის თვალყურის სადევნელად, კომიტეტის მინდობილობათა და დავალებათა შესასრულებლად და სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან მებრძოლი ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად,—კომიტეტის საერთო დირექტივების მიხედვით,—კომიტეტი დანიშნავს თავის რწმუნებულთ აფხაზეთის სს რესპუბლიკასა, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და აგრეთვე ქუთაისის ოლქში და სენაკისა, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში.

აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან შეიძლება მოეწყოს სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან მებრძოლი კომიტეტები, რომელნიც იმოქმედებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით და მისი დირექტივების მიხედვით.

6. კომიტეტში საკითხების განხილვის წესი დადგენილ იქნება თვით კომიტეტის მიერ.

რადიო-გადაცემა

კვირა, 10 ნოემბერი

დღეს თბილისის რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება: პიონერისა და მოსწავლის საათი—ქართულ ენაზე; საბავშვო ლიტერატურულ-მუსიკალური დილა; სოფლის საათი—ექიმის საუბარი; საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვა—ქართულ ენაზე; პოპულიარული კონცერტი; პიონერისა და მოსწავლის საათი „ჩვენი სკოლა“—რუსულ ენაზე; აგრონომის საუბარი: „ხილის შენახვა ზამთარში“—ქართულ ენაზე; კომკავშირელთა რადიო-გაზეთი ქართ. ენაზე; საუბარი ციკლიდან „საბჭოთა პედაგოგის დასახმარებლად“,—„ანტირელიგიური აღზრდა 1-ლ საფეხურის სკოლებში“—ქართულ ენაზე. საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვა ქართულ ენაზე; რადიოს მეგობართა საზოგადოების საათი (ტექნიკური კონსულტაცია); ოპერა „ცისანა“-ს ტრანსლიაცია; ინფორმაცია და ცნობები; უკანასკნელი ამბები.

პარტიული კალენდარი

დღეს დილის 12 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა. სხდომას უნდა დაესწრონ ამხ. ამხ. ა. ერქომაიშვილი, ა. პაპავა, დ. ბლაგიძე, თ. მელიქაძე, ს. ბერაძე, გ. ცინცაძე; ს. თაბაგარი, ი. ყიფიანი და მ. პირველი.

—:—

ორშაბათს, 11 ნოემბერს, დღის 1 საათზე, ლენრაიკომში შესდგება ს. ს. პ. ი. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის და ს. ს. პ. ი. პარტუჯრედის მდივნების გაერთიანებული სხდომა.

კვირას, 10 ნოემბერს, დღის 2 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება თათბირი საბავშვო კულტფილმის შესახებ. საჭიროა დასწრება: სოც. აღზრდის მთავარ მმართველობის, განსახკომის, თბილისის განათლების განყოფილების, პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, ცეკას და თბ. კომიტეტის, კომკავშირის; საქ. თავდაცვა-ავიაქიმის, სახკინმრეწვის და ცეკას და თბ. კომიტეტის ქალთა განყოფილების წარმომადგენლების, ამხ. დარახველიძის (მოზარდ მაყურებელთა თეატრი), ჩხარტიშვილის და სოსიანის.

გაუბედურებული მეუღლე ეკატერინე შვილებით—ქეთევანი, ნელი და თეიმურაზი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას

ანტონ (ტუტუშა) კაიხოსროს-ძე ჯაფარიძის

ტრაღიკულად დაღუპვას. გამოსვენება კვირას, 10 ნოემბერს დღის 1 საათზე სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბიდან (რუსთაველის პროსპექტი № 21). დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

სიმამრი კონსტანტინე აპოლონის-ძე ყიფიანი და მეუღლე მისი სადიკო შვილებით: ბიჭიკო, მარგარიტა, გუგული, სიძე ჭუჭულა მაჭავარიანი, რძლები მაია და ლათუშა, შვილისშვილები თამაზ, მერაბ, გიორგი და ძმისწული ვასიკო ყიფიანი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი სიძის

ანტონ (ტუტუშა) კაიხოსროს-ძე ჯაფარიძის

ტრაღიკულად დაღუპვას.

ძმა ვლადიმერი მეუღლით ცაბურია, რძალი მარო შვილებით ფატი, თამარ, ოთარ და ჯანსული, და ვარინკა, და მეუღლე მისი კოკი მიქელაძე პატარა ნოდარით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ ადამიანის ინჟინერ

ანტონ (ტუტუშა) კაიხოსროს-ძე ჯაფარიძის

ტრაღიკულად დაღუპვას.

გაუბედურებული მეუღლე ქაქალო, შვილი გურამი, სიდედრი ოლღა ჩუბინიძისა, ცოლისძმები ტრიფონ, შალვა და გრიგოლ ჩუბინიძეები ცოლშვილით, მიხეილ ჩუბინიძე და ბენო მესხი ცოლშვილით მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

ინჟ. კოტე ფერაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. (შ)

უახლოესი მეგობრები: გ. ჩუბინიძე, ინჟ. დ. კაკაბაძე, ე. ცერცვაძე, ა. ცერცვაძე, ი. შუკაკიძე, ი. გაბუნია და ა. ლოსაბერიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სად. სვირში, სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს ტრაღიკულად დაიღუპა

ინჟ. კოტე ფერაძე

4157

თბილისის ჰიდროტეხნიკუმის პრეზიდიუმი, საბჭო და მოწაფეობა აუწყებენ საზოგადოებას, ძვირფას ამხანაგის და მასწავლებლის

ინჟ. კოტე ფერაძის

ტრაღიკულად დაღუპვას. დაკრძალვა 10 ნოემბერს, დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. 4151

სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშათა კავშირის სრულიად საქართველოს ცენტრალური კომიტეტი აუწყებს კავშირის წევრებს, რომ 5 ნოემბერს სადგ. სვირში ტრაღიკულად გარდაცვალებულ ინჟინრების

კონსტანტინე (კოტე) ფერაძის

და

ანტონ (ტუტუშა) ჯაფარიძის

გამოსვენება სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბიდან (რუსთაველის პროსპ. № 21) მოხდება 10 ნოემბერს შუადღის 1 საათზე. დაკრძალვა მოხდება დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. ნ. 3319

ვარლამ, მელიტონ, მარუსია, ფედოსი შვილებით და ვერა ფერაძეები ღრმა მწუხარე ბით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ბიძაშვილის და მეგობრის

ინჟ. კოტე ფერაძის

ტრაღიკულ დაღუპვას. (ე)

ენუქიძის სახელობის მუშათა საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას—ამხანაგობის ერთ-ერთი უაქტივესი წევრის

ინჟ. კოტე ფერაძის

მშენებლობის სადარაჯოზე ტრაღიკულად დაღუპვას. 4159

ინჟ. რ. ჯიქია, მ. ბრეგვაძე, დიპლომანტები: ა. მაქაცარია, გ. ჩარბაძე, კ. კოქოსაძე და დ. ლეჟავა ვგლოვობთ ძვირფას მეგობრის

ინჟ. კოტე ფერაძის

ტრაღიკულად დაღუპვას 4149

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო და ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციათაშორისო ბიურო აუწყებენ ყველა ინჟინრებს და ტეხნიკოსებს, რომ ა. წ. 5 ნოემბერს სადგურ სვირში ტრაღიკულად დაიღუპნენ ინჟინრები

კონსტანტინე (კოტე) ფერაძე

და

ანტონ (ტუტუშა) ჯაფარიძე

გამოსვენება სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბიდან (რუსთაველის პრ. № 21) დღეს, 10 ნოემბერს, დღის 1 საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. ნ. 3320

საქართველოს სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მელიორატორთა სექციის ცენტრალური ბიურო აუწყებს სექციის წევრებს და საზოგადოებას, რომ 5 ნოემბერს სადგურ სვირში ტრაღიკულად დაღუპულ ინჟინრების

კონსტანტინე (კოტე) ფერაძის

და

ანტონ (ტუტუშა) ჯაფარიძის

გამოსვენება სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბიდან მოხდება კვირას, 10 ნოემბერს შუადღის 1 საათზე. დაკრძალვა დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. ნ. 3320

ქუთაისის მშენებელ ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექცია გულითად მწუხარებას გამოსთქვამს

ინჟ. ანტონ (ტუტუშა) ჯაფარიძის

და

ინჟ. კონსტანტინე ფერაძის

ვერაგულად მოკვლის გამო სადგურ სვირში ა. წ. 5 ნოემბერს. ნ. 3315

ნოვოჩერკასკის პოლიტეხნიკუმის ყოფილი მსმენელები ინჟ. შალვა ივანეს-ძე ლიაძე და ინჟ. პეტრე ნიკოლოზის-ძე ჯაიანი ოჯახითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი მეგობრის

ინჟ. ტუტუშა ჯაფარიძის

ტრაღიკულად დაღუპვას. 4162

მწუხარებაში მყოფნი თბილისის ჰიდროტეხნიკუმის მე-IV კურსის მსმენელნი აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 5 ნოემბერს სად. სვირში ტრაღიკულად დაიღუპა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მასწავლებელი

ინჟ. კოტე ფერაძე

4135

რიონჰესში მომუშავე ამხანაგები, გიორგი გუდაძე, საშა მჟავანაძე, პავლე შენგელია, გიორგი ჩოგოვაძე, ბენია ჯანელიძე, ვანო ჭანკოტაძე, არჩილ მაღრაძე, ქრისტეფორე ანდღულაძე და ვახტანგ ეზიანი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელი მეგობრის

ინჟ. კოტე ფერაძის

ტრაღიკულად დაღუპვის გამო. 4155

უახლოესი მეგობრები: შ. ახალკაცი, დ. ქვარიანი, ა. ცერცვაძე, ნ. თუშიშვილი, დ. გუნია, ა. ლოსაბერიძე, ი. გაბუნია, დ. კაკაბაძე, ნ. ქეიშვილი და გ. მიქელაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ 5 ნოემბერს სად. სვირში ვერაგულად მოკლულ იქნენ ძვირფასი ამხანაგები

ინჟ. კოტე ფერაძე

და

ინჟ. ტუტუშა ჯაფარიძე

4146

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები მირიანე და ანტანინა, დეიდა ანეტა, ბიძა ირაკლი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი

ნინელ (ნელი) გეგენავას ასულის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება საკ. ბინიდან, მაგისტრალის ქ. № 27, 10 ნოემბერს დღის 4 საათზე. (შ)

ღრმად დამწუხრებულნი ბიძები ბიქტორი, ვანო, ვლადიმერი, პართენი, დეიდა ქსენია და დიდედა ქრისტინა ჩიქობავები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის საყვარელი

ნინელ (ნელი) გეგენავას ასულის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 10 ნოემბერს დღის 4 საათ. საკ. ბინ.. მაგისტრალის ქუჩა № 27. (შ)

კვირას, 6 ნოემბრის 10-ს დღის 3 ნახ. საათ. ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

მარო კაკაბაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც მწუხარებით იუწყებიან უბედური დედა ნატალია, გულმოკლული დები: კატო და ანიჩკა და ძმები: ილია, ვარლამი, კირილე და აკაკი კაკაბაძეები ოჯახობით. (ე)

დამწუხრებული მშობლები მინორა და ზაქარო შვილებით: იესე, მარულია, კარლოსი და ზაქარია აუწყებენ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარ

დოდო ზაქარიას ასულის ცინცაძის

ხსოვნის აღსანიშნავად დღეს 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. (ე)

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს ადგილკომი და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 8 ნოემბერს გარდაიცვალა ძვირფასი თანამშრომელი და ამხანაგი

ელენე ირაკლის ასული წერეთელი

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე რესპუბლიკის ცენტრალურ საავადმყოფოს პროზექტურაში, გამოსვენება ცენტრალურ საავადმყოფოს პროზექტურიდან სამშაბათს, 12 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. (ე)

დამწუხრებულნი შვილი ალექსანდრე, დები—პისტი და ტერეზი, დისშვილები: პროკოფი და რძალი თამარა ღლონტები, ილიკო, ნინა და დარეჯან კილაძეები, თამარა, დიომიდე და ცუცა გირკელიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

კონსტანტინე (კოწია) აროზელიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან ვერის ახალ სასაფლაოზე დღის 1-ლ საათზე. 4161

გაუბედურებული მშობლები: თამარ დავითის ასული და პავლე გიორგის ძე ჯუგუშვილები შვილებით: ქეთო, ვარა და ნადიკოთი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას იმედის უფროს ქალიშვილის

ელიჩკა (ელენე) პავლეს ასულ გუგუშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს საღ. 6 საათზე საკუთარ ბინაზე მალაკნის ქუჩა № 13. გამოსვენე ბა ბინიდან და დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე სამშაბათს, 12 ნოემბერს 4 საათზე 4156

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო შვილებით: ეთერი, ლიდია, ზინა, ნადია, ფანაოზი, ძმები: შაქრო, გიორგი, ნიკოლოზი, რძლები: ევა, სონა, ბარბალე, სიძე შალვა ხაჭაპურიძე იუწყებიან ძვირფას

იაკობ დავითის-ძე მენთეშაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან ბელინსკის ქ. № 13, დღეს, 3 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 4138

გულმოკლული ეთერი და შალვა ხაჭაპურიძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი მამის

იაკობ დავითის-ძე მენთეშაშვილის

უდროოდ დაკარგვას. 4141

მწუხარებაში მყოფნი სიძე ნიკოლოზ ონისიმეს-ძე გოგოლაშვილი, მეუღლე თამარით, შვილები მერი და ქეთინოთი, სიძე გერვასი ივლიანის-ძე გოგოლაძე მეუღლე ნინა პატარა ნაირათი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი

იაკობ დავითის-ძე მენთეშაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4143

იოსებ მიხეილის-ძე ბეგიაშვილი, დედით ზენოთი, მეუღლით ნინოთი, შვილებით: ქეთო და ლოლათი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 6 ნოემბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი სიძე

იაკობ დავითის-ძე მენთეშაშვილი

გამოსვენება ბინიდან ბელინსკის ქ. № 13, დღეს, 3 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 4133

დამწუხრებულნი მოსე ზაალის-ძე ჯალიაშვილი, მეუღლე ტასოთი, შვილებით—სარდიონი, ნინა, მარიამი და თინიკოთი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას და დაუვიწყარ

იაკობ დავითის-ძე მენთეშაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4140

ღრმად დამწუხრებული იოსებ ზაქარიას-ძე თანდილაშვილი დედით ელისაბედი, მეუღლე ანიკოთი შვილებით—შალვა და ლიზიკოთი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას ბიძის

იაკობ დავითის-ძე მენთეშაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4139

ღრმად დამწუხრებულნი ძმა გიორგი მენთეშაშვილი ცოლშვილით და სიძე ლადო ინაშვილი ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

იაკობ დავითის ძე მენთეშაშვილი

გამოსვენება 10 ნოემბერს დღის 3 საათზე, ბელინსკის ქუჩა № 13. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (ნ)

ისიდორე (შალვა) იაგორის-ძე ტოროშელიძე პატარა ვახტანგით აუწყებს საზოგადოებას, ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 6 ნოემბერს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მისთვის უძვირფასესი მეუღლე

თამარ ლაზარე იოზიძის ასული ტოროშელიძისა

დასაფლავება ქ. ქუთაისში კვირას, 10 ნოემბერს, გამოსვენება დღის 3 საათზე—არქიელის გორა, ვოიკოვის ქუჩა, № 6. 4136

გაუბედურებული ბებია ივლიტე და ბაბუა ონისიმე გოლეთიანები, ძმა გრიშა იობიძე, დეიდა ოლღა ბანძალაძე ქმრით ესტატეთი და შვილით ამირანით აუწყებენ საზოგადოებას და ნათესავებს საყვარელი და დაუვიწყარი

თამარ ლაზარე იოზიძის ასული ტოროშელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ქუთაისში კვირას, 10 ნოემბერს, გამოსვენება საკუთარი ბინიდან ვოიკოვის ქ. № 6, დღის 3 საათზე. 4136

ღრმად დამწუხრებულნი შვილი ფატი, სიძე ილია, შვილისშვილები თეიმურაზ და გულნარა ყიფიანები, გიორგი ზაალის-ძე და თამარა ყიფიანები შვილებით აუწყებენ ნათესავებს და საზოგადოებას, რომ 7 ნოემბერს დილით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

მელიტონ ანტონის-ძე დუმბაძე

გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, 10 ნოემბერს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 4150

დამწუხრებულნი გიორგი და თამარა კენკაძეები შვილებით მერი, თამარი, ნელი, გიორგი და შვილისშვილი, ცისანათი, ვასო ბასიშვილი, ლევან და გუგული ცალქალამანიძეები აუწყებენ ნათესავებს და საზოგადოებას, რომ 7 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მელიტონ ანტონის-ძე დუმბაძე

გამოსვენება ყოფილი მიხეილის საავადმყოფოდან დღეს 10 ნოემბერს 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 4151

ღრმად დამწუხრებულნი მიხეილ და ნინო, ანდრო და ანტისა ჩხეიძეები აუწყებენ ნათესავებს და საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 7 ნოემბერს, გარდაიცვალა მათთვის საყვარელი ბიძა

მელიტონ ანტონის-ძე დუმბაძე

გამოსვენება ყოფილი მიხეილის საავადმყ. დღეს, 10 ნოემბერს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 4158

გაუბედურებული მშობლები ნატალია და მიხაკო, ცოლი ბუჟუჟა, დაი ლიუდმილა, ძმები: სანდრო, ფილიპე, სიმონ, ბესო და საშა; რძლები: ვარდო, ნატო და ქსენია შვილებით უღრმესი მწუხარებით იუწყებიან, რომ კვირას, 10 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ

ასლან მიხეილის-ძე შონიას

მოსაგონებლად. 4154

დამწუხრებული ბუჟუჟა, მარო, ტოგო, მარიკო შავიშვილები და კასინა კონტრიძე იუწყებიან, რომ დღეს, 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, პირველის მეუღლის და დანარჩენების სიძის

ასლან მიხაკოს-ძე შონიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 4148

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

კვირას, 10 ნოემბერს მე-8 აბონ. 1-ლი წარმოდგენა **ცისანა** მონაწ. მ. ბლანკმანი, ნ. გ. ქუმსიაშვილი. დამს. არტ. სანდრო ინაშვილი, ე. ლ. სუხოდოლსკი, ს ა. გარიბოვი, ა. ა. დემიანენკო, გ. ჯანაშია, გ. ქურხული. დადგმა ა. რ. წუწუნავასი, დირიჟორი ვ. პ. ულრიხი, მხატ. ნ. ი. იონოვი, ცეკვა დადგ. ს. ნ. სერგეევის მიერ.

ორშაბათს, 11 ნოემბრიდან მე-2 აბონ. 1ლი წარმოდგენა ნ. კ. პეჩკოვსკის მონაწილეობით **პიკის ქალი**

სამშაბათს, 12 ნოემ-ბრიდან მე-10 აბონ. 1-ლი წარმოდ. პრემია **გედების ტბა**

ოთხშაბათს, 13 ნოემბერს მ. პ. მაკსაკოვას და ნ. კ პეჩკოვსკის მონაწ. აბონომენტს გარეშე **ვერტერი**

ყველა სააბონემენტო წარმოდგენებზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია თეატრის სალაროში საერთო წესით გასასყიდად.

მთლიანად ფასგადახდილ ტალონებით ბილეთები გაიცემა თეატრის სალაროში რიგს გარეშე დღის 2 საათამდე.

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929—1930
ნ. 3313

კვირას, 10 ნოემბერს,
ტრამვაის მუშების და რკ! გზელთა კავშირების წარმოდგენა
ვ. კირშონი **ქართა ქალაქი**
3 ნაწ და 15 სურ. თარგ. ს. შანშიაშვილის და ალ. ბოკერიასი
დადგმა — **ალ. ახმეტელის.** მხატვარი — **ირ. გამრეკელი.**
მუსიკა — **გოკიელის.** დირიჟ. — **გრ. კილაძე.**
რეჟ. თანაშემ. — **ია ქანთარია.** დასაწყისი სრულ 8 საათზე.

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — **ალ. ახმეტელი.**
დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.

აპოლო — **სამი გამოცდა** — 11 ნოემბრიდან ცოცხალი ლეში
სოლეი — **პირველი თუ მეორე** — 11 ნოემბრიდან ცოცხალი ლეში
მინიონი — **ეს ჩემი საქმროა** — 11 ნოემბრიდან ცოცხალი ლეში
პალასი — **სილამაზის საიდუმლოება** — 11 ნოემბრიდან—იგივე
არფასტო — **ინჟენერი ელაგინი** — 11 ნოემბრიდან შავი ციკლონი
დარბაზი — **ნაძირალა** — მარ-ქნაბეს გასტროლები
მალე—მკვდარი მარჯუში
0—7

კინო-დარბაზი
ორშაბათიდან,
11 ნოემბრიდან
ყოველ სეანსში
ალფრედ ვილიამსის
გასტროლები
ამერიკული ცეკვა
ეკრანზე საზღ.-გარეთის
კომედია
„რადიო ლომი“
1-ლი სეანსის დასაწყ.
6 საათ. 15 წ.
ნ. 3321

ა-წ. 15 ოქტომბერს
დაიკარგა
საქართველოს ცაკთან არსებული ბავშთა კავშირის რგვალი ბეჭედი. დაკარგული ბეჭდის ნაცვლად კომისიამ შეიძინა მოგრძო ბეჭედი. ყველა დოკუმენტები, რომლებსაც აზის მრგვალი ბეჭედი, გაუქმებულად ჩაითვალოს ა-წ. 15 ოქტომბრის შემდეგ. ნ. 3318.

„მეჟრაბპომფილმ“-ის (მოსკოვის) და „პრომეთე“-ს (ბერლინი) საერთო დადგმა

ცოცხალი ლეში

ლ. ნ. ტოლსტოის დრამის მიხედვით
რეჟისორი ფ. ოცეპი. ოპერ. ა. გოლოვნია

ფედია პროტასოვი	ვ. პუდოვკინი
ლიზა	მარია იაკობინი
მაშა	ნატა ვაჩნაძე
კარენინი	დისელი
საშა	ვიოლა გარდენი

ორშაბათიდან 11 ნოემბრიდან კინო-თეატრებში
აპოლო-სოლეი-მინიონში

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—64.

კვირას, 10 ნოემბერს
ორი დიდი წარმოდგენა
დღისით და საღამოთი
განახლებული პროგრამით, 4 დემინდის მონაწილეობით. წარმოდგენები სამ გაიყოფილებათ **ტრიო კორადოს** უკანასკნელი დღეები.
დღის წარმოდგენის დასაწყისი 2 საათზე, ღამის - საღამოს 8 ნახევარ საათზე.
ნ. 3314 დირექცია.

1929 წ. ნოემბრის 20 1-ლ ქართულ საარტილერიო ლეგიონში—საბურთალოზე მოხდება დაწუნებულ
ცხენების გაყიდვა
უპირატესობა ეძლევა დაწესებულების წარმომადგენლობას
4145.

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02. 25—13

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დღის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

— მუშკოოპმა მიიღო —
სპილენძის ჩასაბერი საკრავები
საკრავების მისაღებათ ჩაწერა გრძელდება. შეკვეთები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: კომინტერნის ქუჩა, მუშკოოპის მაღაზია № 500.
ნ. 3310—3—1

აბონენტთა და მაყურებელთა საყურადღებოთ

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად რუსთაველის თეატრის დირექცია აცხადებს, რომ **წარმოდგენები იწყება სრულ 8 საათზე** და ვინაიდან მოქმედებებში სურათებს შორის ანტრაქტები არ არის, მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ მოქმედების დასრულებამდე. 2—1 ნ. 3322

ლენინის სახელობის საბინაო საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 13 ნოემბერს, ოთხშაბათს, საღამოს სრულ 6 საათზე, ქალ. თბილისში, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში (რუსთაველის პრ.) შესდგება ამხანაგობის წევრთა საზოგადო საგანგებო კრება

კრების განსახილველი საკითხები:

1. წევრთა შორის რიგის და ბინების განაწილების გეგმის დამტკიცება.
2. გამგეობის ინფორმაციული მოხსენება 1930 წლის საერთო მშენებლობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ამხანაგობის წევრთა გამოცხადება დანიშნულ დროს სავალდებულოა ნ. 3316.

მ. ო. ზანდუკელი შინაგან და ნერვიულ სნეულებათა ელექტროსინათ. სამკურნალო კაბინეტი. იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4-82. 25—15

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— თბილისის საბჭოს მანდატი № 620 ელენე მუხი კუპრის სახელზე. 4116.
— უვადო პირადობის მოწმობა ნიკა როსტომის ძე ყაზარიშვილის სახ. 4144.
— კავშირის წიგნაკი № 1140 გერონტი გამყრელიძეს სახელზე. 4153.
— მუშკოოპის წიგნაკი № 17651 ლიუდმილა თავზარაშვილის სახელზე. 4147.

ვილეგ
საკერავებს როგორც ახალს, აგრეთვე გადასაკეთებელს — კაბებს, კოსტიუმებს, პალტოებს შეღავათიან ფასებში კარგად და სწრაფად.
ლენინის ქ. № 66 ბეგიაშვილი 1442.

მათემატიკის მასწავლებელი ივ. მაჩაიძე
ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში (არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავლ. მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტექნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.), ვასწავლი სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 ან ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ.
8—8 3583

ზესტაფონი
ექიმი
პ. ს. ანანოვი
სიფილისი (შეხმაუნება 914) ვენერიული (სუსუნატი და მისი შედეგები) და კანის სნეულებანი. მიღება: 1—2 დღით, საღამოს 6—8 ს. 25 თებერვლის ქ. 130.
25—1

ნ. გ. გეგეჭკორი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6—7 საათამდე. პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

ტირაჟი—44.940

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამ ოს ქუჩა № 68

მთავლიტი № 904